დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2023 წლის
20 - 26 თებერვალი
N 9 1473
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# მიგვიფურთხებია ასეთი ევროპისათვის!


2-3



## დანიგან, ნუ გახდები დეგნანი!

8-9

## კუზილიუსები

27



**შოთა კაპანაძე:** ისე ვარ მისგან გამწარებული, ძალიან ვნანობ, უროლოგი გურამ ქარაზანაშვილი აქამდე რომ არ მოვკალი!

4



5

გურამ ქარაზანაშვილის მსგავსი ექიმების სკალპელმა, პაციენტების კვალდაკვალ, ჯანდაცვის სისტემასაც არ უნდა გამოსჭრას ყელი!

## ჯანდაცვის მინისტრმა უნდა იცოდეს!



უკრაინის საგარეო დაზვერვის ყოფილმა შეფმა დაადასტურა, რომ სააკაშვილი „კაგებეს“ მიერ გამოზრდილი კადრია!

6



## «ხალხი უნდა იცნობდეს

25

## AGENT OF INFLUENCE

## უცხოეთის გავლენის აგენტებს!»



## მადლობა თინა ბოკუჩავას!

19



შევარდნაძის ნაშობი და ხაბეიშვილის გაგდებული

## წაროძან-წაკუაონდა!

13

# მი-გვი-ფურთხ-ებია ასეთი ევროპისათვის!

***ევროპარლამენტმა, სადაც კორუფციული სკანდალი მძვინვარებს და რომლის დეპუტატებსაც პანტაპუნტით იჭერენ, 2023 წლის 15 თებერვალს საქართველოსთან დაკავშირებით კიდევ ერთი მტრული რეზოლუცია მიიღო.***

კერძოდ, რეზოლუციაში, რომელსაც ხმა ჯერჯერობით დაუპატიმრებელმა და კორუფციისათვის **პასუხისგებაში მიუცემელმა 577-მა ევროდეპუტატმა** მისცა, წერია, რომ საქართველოს ევროპული მომავალი, არც მეტი, არც ნაკლები, **პატიმარ სააკაშვილის** თავისუფლებაზე გადის და თუ **სისხლის სამართლის დამნაშავე ნაცბელადს** საზღვარგარეთ სამკურნალოდ არ გაუშვებენ, ქვეყანა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებს.

რეზოლუციაში, რომელიც **ჯერჯერობით დაუპატიმრებელმა და კორუფციისათვის პასუხისგებაში მიუცემელმა ევროდეპუტატებმა** მიიღეს, ასევე წერია, რომ სააკაშვილი „ოლიგარქ ივანიშვილის პერსონალური ვენდეტის მსხვერპლია", ხოლო ივანიშვილი — ქართული დემოკრატიის მტერი, რომლისთვისაც სანქციების დაწესებაზე ევროპის აღმასრულებელმა ინსტიტუტებმა უნდა იმსჯელონ.

2023 წლის 15 თებერვალს ევროპარლამენტის მიერ სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილის სასარგებლოდ და ქართული სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ მორიგი რეზოლუციის მიღებას წინ რამდენიმე ევროდეპუტატის დაკავება უძღოდა. კერძოდ, **10 თებერვალს, კორუფციისა და ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ბელგიის პოლიციამ ევროპარლამენტარი მარკ ტაბარელა დააკავა, 11 თებერვალს კი იტალიის პოლიციამ ევროპარლამენტარი ანდრეა კოცოლინო აიყვანა.** ორივე ევროდეპუტატს კორუფციაში, კრიმინალური ორგანიზაციის წევრობასა და ფულის გათეთრებაში სდებენ ბრალს.

ასევე შეგახსენებთ, რომ **კორუფციის ბრალდებით წინასწარ პატიმრობაში იმყოფება ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი ევა კაილი, რომელიც ორი თვის წინათ დააკავეს. მას ბრალი ედება 2022 წლის საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობასთან დაკავშირებით ყატარის ინტერესების უკანონო ლობირებაში, რისთვისაც დიდი ოდენობით ქრთამის აღებას ედავებიან.**

მოკლედ, ერთ დროს მართლაც ავტორიტეტიანი და პატივსაცემი დასავლური ინსტიტუცია — **ევროპარლამენტი დღეს პოლიტიკური და მორალური დეგრადაციის ფსკერზე იმყოფება, კორუფციის ჭაობში იხრჩობა და იმის თავიც კი აღარ შერჩენია, საკუთარი უსაფრთხოება უზრუნველყოს!**

დიახ, სწორედ იმ დღეს, როცა **ჯერჯერობით დაუპატიმრებელმა და კორუფციისათვის პასუხისგებაში მიუცემელმა ევროდეპუტატებმა** ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მორიგი მტრული რეზოლუცია გამოაცხვეს, ევროპარლამენტის სხდომათა დარბაზში **ქურთისტანის მუშათა პარტიის ლიდერის,** 1999 წლიდან პატიმრობაში მყოფი **აბდულა ოჯალანის** მომხრეები შეიჭრნენ და აქცია-პერფორმანსი მოაწყვეს, რის გამოც უსაფრთხოების სამსახური იძულებული გახდა, ევროდეპუტატების ევაკუაცია მოეხდინა.



## ჯერჯერობით დაუპატიმრებელმა და კორუფციისათვის პასუხისგებაში მიუცემელმა ევროდეპუტატებმა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მორიგი მტრული რეზოლუცია გამოაცხვეს!

სიმართლე თუ გინდათ, **სრულიად ლოგიკური და ბუნებრივია, რომ ტერორიზმის ბრალდებით გასამართლებული აბდულა ოჯალანის მიმდევრები თავიანთი ბელადის მხარდამჭერ ლოზუნგებს სწორედ იმ დარბაზში გაჰყვიროდნენ, სადაც იმავე დღეს 577-მა ევროდეპუტატმა პოლიტიკური ტერორიზმის ტოლფასი რეზოლუცია გამოსცა და საქართველოს ევროპული მომავლის დახშობით დაემუქრა,** თუ მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი სააკაშვილი პატიმრობიდან არ იქნება გათავისუფლებული!

გარდა ამისა, იმავე დღეს, როცა **ჯერჯერობით დაუპატიმრებელმა და კორუფციისათვის პასუხისგებაში მიუცემელმა ევროდეპუტატებმა** მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის ბელადი სააკაშვილი „ოლიგარქ ივანიშვილის პერსონალური ვენდეტის მსხვერპლად" მონათლეს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლად აღიარა ყოფილი პატიმარი **აკაკი ოჩიგავა,** რომელიც 2011 წელს გლდანის ციხეში განსაკუთრებული სისასტიკით, გონების დაკარგვამდე სცემეს, შემდეგ კი მორგში ჩაიყვანეს და გვამების გარემოცვაში მილზე მიაბეს.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ 2011 წლის ნოემბერში სასტიკი ცემის შედეგად მსჯავრდებულ **ოჩიგავას** ხერხემალი დაუზიანდა და სიარულის უნარი დაკარგა. **როცა ნაწამებმა პატიმარმა ამის გამო პროტესტი გამოთქვა, გამომძიებელმა ურჩია, განეცხადებინა, რომ ტრავმა საწოლიდან გადმოვარდნის გამო მიიღო, თუმცა, ოჩიგავა ამას არ დათანხმდა, რის გამოც ციხის თანამშრომლებმა თითები ბეისბოლის ჯოხით დაუმტვრიეს.**

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასევე აღნიშნულია, რომ სასტიკად ნაწამებ პატიმარს სათანადო სამედიცინო დახმარებაც არ გაუ-

## საქართველოსა და ქართველ ხალხს ევროპარლამენტში მეგობრები არ ჰყავს, იქ მხოლოდ სააკაშვილისა და მისი ჯალათური რეჟიმის მეგობრები სხედან!







კორუფციისა და ფულის გათეთრების ბრალდებით დაპატიმრებული ევროპარლამენტარები — ევა კაილი, ანდრეა კოცოლინო, მარკ ტაბარელა

## ევროდეპუტატებს პანტაპუნტით იჭერენ, ევროპარლამენტი კი სააკაშვილს უჭერს მხარს!

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ტაბულას" დამფუძნებელი*



წარმოიდგინეთ, **ზელენსკი** რომ რუსებს ტყვედ ჩაუვარდეს და ერთი ამბავი ატეხოს, მოლდოველი ვარ, მოლდოვურის თარჯიმანი მომიყვანეთ და ჩემი გული იქ დამარხეთო.

წარმოიდგინეთ, **ამბროსი ხელაია** რომ ბოლშევიკებს ტყვედ ჰყავდათ, ჩემი გული სხვა ქვეყანას ეკუთვნისო, გამოეცხადებინა და ქართულად ლაპარაკი შეეწყვიტა.

**დაფიქრდით, ლიდერს ვის უწოდებთ და იმაზეც დაფიქრდით, რომ ფარჩაკისთვის ლიდერის წოდებით საკუთარ თავზე გაცილებით მეტს იძახით, ვიდრე სააკაშვილზე.**

„ფეისბუქი"

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ჩვენი ხალხი ხედავს ყოველდღე, რომ **ეს რადიკალურ-ექსტრემისტური პარტია რაღაც კომიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნა.** ჩვენ უნდა ვაკეთოთ საქმე, ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს. **ჩემთვის ნამდვილად არ არის საინტერესო,** ისინი რას გეგმავენ. **ჩემთვის მთავარია,** რომ ყველა საკითხი გადავჭრათ, მოვაგვაროთ და **კიდევ უფრო ძლიერი და მაგარი ქვეყანა გვქონდეს, ვიდრე გვაქვს!**

„საქართველოს რესპუბლიკა"

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ხაბეიშვილის** თავმჯდომარეობით **მეტეორი მოხვდა ნაციონალურ მოძრაობას.** დღეს **სააკაშვილი** ე.წ. მეგობრებთან ერთად ცდილობს, თავი დააღწიოს ციხეს, მაგრამ **ჩვენ ვცხოვრობთ სამართლებრივ სახელმწიფოში, მას მოუწევს, კანონის წინაშე აგოს პასუხი!**

„პირველი არხი"

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



უნდა ვიომოთ, როცა სხვანაირად სამშობლოს გადარჩენა შეუძლებელია; **როცა გადარჩენის გზა სხვაგვარია და ომს გვაძალებენ,** ეს ჩვენი მომავლის ინტერესებს არ ემსახურება.

„რეზონანსი"

# ევროპა, რომელიც კოლექტიური კუბილიუსის წესებით თამაშობს, ნამდვილად ფურთხის ღირსია!



ანდრიუს კუბილიუსი



წიეს, ხოლო ერთ-ერთი ინციდენტის დროს ციხის თანამშრომლებმა საშხაპე ოთახში სრულად გააშიშვლეს, ცივი წყლის ჭავლი მიუშვირეს და რეზინის ხელკეტებით სასტიკად სცემეს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ **აკაკი ოჩიგავას** საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ **სააკაშვილის რეჟიმის დროს ქართულ ციხეებში ადგილი ჰქონდა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემდეგ ფორმებს:**

*ციხეში ახალშეყვანილ პატიმართა აუცილებელ ცემას — ე.წ. საკარანტინო პროცედურას;*

***პატიმრების სისტემატურ ცემას კვირაში რამდენჯერმე;***

*დასჯის მიზნით, პატიმრის ხანგრძლივად მოთავსებას ე.წ. კარცერსა და მცირე ზომის სამარტოო საკანში, სადაც მეტალის საწოლის გარდა არაფერი იდგა და დღის განმავლობაში პატიმრებს ცემენტის იატაკზე უწევდათ ჯდომა. აკეცილ და კედელზე საკეტით მიმაგრებულ საწოლს ციხის თანამშრომლები ღამის 10 საათზე ხსნიდნენ და პატიმრებს უფლებას აძლევდნენ, დილის 8 საათამდე დაწოლილიყვნენ;*

***საკანში ერთდროულად რამდენიმე პატიმრის მოთავსების შემთხვევაში, მსჯავრდებულები იძულებული იყვნენ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფეხზე მდგარიყვნენ, რადგან ჩამოჯდომის საშუალებაც არ ჰქონდათ;***

*პატიმრებს შეზღუდული ჰქონდათ საკვების მიღება და საპირფარეშოს გამოყენებაც კი. ასევე გამუდმებით უზღუდავდნენ ოჯახის წევრებთან შეხვედრის უფლებას;*

***ხშირად ხდებოდა პატიმრებისათვის სპეციალური ჩაფხუტის ჩამოფარება და პირში ბურთის ჩაჩრა, რათა მათ არ ესაუბრათ;***

*პატიმრებს უფლება ჰქონდათ, ერთმანეთში მხოლოდ ჩურჩულით ესაუბრათ.*

ექსპატიმარ ოჩიგავას საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ **სააკაშვილის რეჟიმის დროს ქართულ ციხეებში პატიმრების წამება და არაადამიანური მოპყრობა „იყო სისტემური ხასიათის და მთელი სისტემისათვის დამახასიათებელი“!**

ასე და ამრიგად, ორმა ევროპულმა ინსტიტუტმა ერთსა და იმავე დღეს ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ორი დოკუმენტი დადო: **ევროპარლამენტის რეზოლუციის მიხედვით, სააკაშვილი ციხეში ზის არა იმის გამო, რომ დამნაშავეა, არამედ იმიტომ, რომ ივანიშვილის პირადი შურისძიების მსხვერპლია, ხოლო ევროსასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, სააკაშვილის მმართველობის დროს საქართველოში პატიმრების რეგულარული და სისტემური წამება ხდებოდა!**

ე.ი. გამოდის, რომ **ევროპარლამენტი ესარჩლება, იცავს და თვით საქართველოზე მაღლაც კი აყენებს სააკაშვილს, რომლის რეჟიმიც პატიმრებს სასტიკად სცემდა, აწამებდა და მორგში მიცვალებულებზე აგამდა,** რასაც, ევროსასამართლოს თქმით, სისტემური ხასიათი ჰქონდა!

მაინც რატომ არის ასეთი კარდინალური განსხვავება ევროსასამართლოსა და ევროპარლამენტის მიდგომებს შორის?

პასუხი მარტივია: **ევროსასამართლო კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით ხელმძღვანელობს, ხოლო ევროპარლამენტი — მხოლოდ აღქმებით!**

ევროსასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას პოლიტიკური გავლენებისაგან თავისუფალია, ხოლო ევროპარლამენტი ორმაგი პოლიტიკური სტანდარტების ტყვეა!

რაც მთავარია, **ევროსასამართლოს მოსამართლეები კორუფციასა და მექრთამეობაში არ არიან მხილებული, ევროპარლამენტის წევრებს კი კორუფციისა და მექრთამეობის ბრალდებით პანტაპუნტით აპატიმრებენ!**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, სააკაშვილის მმართველობის დროს საქართველოში პატიმრების სისტემური და სასტიკი ცემა-წამება ხდებოდა, განაჩენია არამხოლოდ სააკაშვილისა და მისი რეჟიმისათვის, არამედ იმ 577 ევროპარლამენტარისთვისაც, რომელიც სააკაშვილის თავისუფლებასა და საქართველოს ევროპულ მომავალს შორის ტოლობის ნიშანს სვამს!

სხვანაირად რომ ვთქვათ, **ევროსასამართლომ 577 ევროპარლამენტარი სისტემური წამების მთავარი შემოქმედის — მიხეილ სააკაშვილის მფარველობაში ამხილა!**

## თუ საქართველოს ევროპული მომავალი მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი სააკაშვილის ციხიდან გაშვებაზეა დამოკიდებული, მაშინ საქართველოს ასეთი მომავალი არაფერში სჭირდება!

## ევროსასამართლომ 577 ევროპარლამენტარი სისტემური წამების მთავარი შემოქმედის – მიხეილ სააკაშვილის მფარველობაში ამხილა!

ქართველი ხალხისათვის აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რატომ მფარველობს ევროპარლამენტი **მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის** მთავარ შემოქმედ სააკაშვილს! კატასტროფაა, თუ ევროპარლამენტარები ამას ქრთამის სანაცვლოდ აკეთებენ, მაგრამ კიდევ უფრო დიდი კატასტროფაა, თუ ქრთამს არ იღებენ და მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი სისტემის შემქმნელ სააკაშვილთან ორგანული, პოლიტიკური და სულიერი ერთობა გააჩნიათ!

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადზე უცხადესია: **საქართველოსა და ქართველ ხალხს ევროპარლამენტში მეგობრები არ ჰყავს, იქ მხოლოდ სააკაშვილისა და მისი ჯალათური რეჟიმის მეგობრები სხედან!**

თუ საქართველოს ევროპული მომავალი მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემოქმედი სააკაშვილის ციხიდან გაშვებაზეა დამოკიდებული, **მაშინ საქართველოს ასეთი მომავალი არაფერში სჭირდება!**

თუ დღევანდელი ევროპა ის სივრცეა, სადაც პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი სისტემის ბელად სააკაშვილს ისე ეფარებიან, როგორც მატროსოვი — ამბრაზურას, **მაშინ ასეთ სივრცეში საქართველოს ადგილი არ არის!**

თუ დღევანდელი ევროპის თამაშის წესები ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელყოფასა და ქართველი ხალხისათვის სულში ჩაფურთხებას გულისხმობს, **მაშინ საქართველო ამ წესებით არ ითამაშებს,** მიუხედავად იმისა, რომ ევროდეპუტატი კუბილიუსი ღიად გვემუქრება — თუ ჩვენი წესებით არ ითამაშებთ, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებთო!

**ევროპა, რომელიც კოლექტიური კუბილიუსის წესებით თამაშობს, ნამდვილად ფურთხის ღირსია და მიგვიფურთხებია ასეთი ევროპისათვის!**

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**არნო ხიდირბეგიშვილი**
*პოლიტოლოგი*



**„ერთი ადამიანის სიკვდილი ტრაგედიაა, მილიონების სიკვდილი — სტატისტიკა“** — არა აქვს მნიშვნელობა, ვინ და როგორ თქვა ეს ფრაზა — **ტუხოლსკიმ, რემარკმა თუ სტალინმა.** ანგლოსაქსების სამი პროექტი — **„კოვიდ-19“-ის პანდემია, ომი უკრაინაში და მიწისძვრა თურქეთში** — არის უვერტიურა, რათა ადამიანების ცნობიერება თანდათან შეეგუოს მასობრივ მსხვერპლს ზესახელმწიფოების — რუსეთისა და აშშ-ის ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენებამდე. რაც შეეხება ამერიკის ახალ ელჩს საქართველოში, ვფიქრობ, **დანიბანი დეგნანზე** უარეს **დაგნარს** მოგვიწყობს!

**ანდრიუს კუბილიუსი**
*ევროპარლამენტარი*



ჩვენ მკაფიო გზავნილი გვაქვს „ქართული ოცნებისთვის“ — **ვერ მიიღებთ სტატუსს, თუ არ ითამაშებთ ჩვენი წესებით!**

„პალიტრანიუსი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



ის საქართველო შევარცხვინე, რომელიც **კუბილიუსისა და ბრეგოროვას** თამაშის წესით განვითარდება.

„ინტერპრესნიუსი“

**ჯონდი ბაღათურია**
*„ქართული დასის“ ლიდერი*



**ხაზე სასარგებლო იდიოტია!** დაადონ ყადაღა **ალასანიას** ანგარიშებს და დავინახავთ, რამდენ განცხადებას გააკეთებენ მერე ეს კოლექტიური **კუბილიუსები.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ბექა დავითულიანი**
*პარლამენტარი*



თუ შეგვიძლია, რომ ნაცმოძრაობის შიგნითაც ჩავატაროთ არჩევნები, **მათი მფარველები ქვეყნის გარეთ ჩვენს ჭკუაზე ვატაროთ,** მაშინ რაღას გვებრძვიან საერთოდ?! დაყარონ ფარ-ხმალი და ჩაგვბარდნენ.

„TV იმედი“



# შოთა კაპანაძე: ისე ვარ მისგან გამწარებული, ძალიან ვნანობ, უროლოგი გურამ ქარაზანაშვილი აქამდე რომ არ მოვკალი!



***საქართველოში სათანადოდ არ არის დაცული ექიმებისგან დაზარალებული პაციენტების უფლებები, რის გამოც მათ და პაციენტების ახლობლებს პირადი შურისძიების გარდა, სხვა გამოსავალი აღარ რჩებათ. „ახლახან შევიტყვე, რომ ბოროტ და თაღლით ექიმს გურამ ქარაზანაშვილს, რომელმაც წლების წინ ოპერაცია გამიკეთა, სამუდამოდ დამახეიბრა და ყველაფერთან ერთად დამცინა კიდეც, სამაგიერო სხვისი ხელით მიეზღო! თურმე, ერთ-ერთი პაციენტის ახლობლებმა, რომელიც ამ ვაი-ექიმის გამო უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება, საკუთარ კლინიკაში თავ-პირი დაალეწეს!“ — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან ინტერვიუ „ასავალ-დასავალის“ ძველმა რესპონდენტმა შოთა კაპანაძემ:***

— „ასავალ-დასავალი“ ხშირად წერდა ჩემი ტრაგედიის შესახებ, მაგრამ **გურამ ქარაზანაშვილს** გავლენიანი მფარველები ჰყავს და ყოველთვის ახერხებდა პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას, არადა, ჩემ მსგავსად კიდევ ბევრი პაციენტი ჰყავს გაუბედურებული, განმკითხველი კი დღემდე არავინ იყო.

**— შეახსენეთ მკითხველს, რა გადაგხდათ?**

— 2008 წლის ზაფხულში წინამდებარე ჯირკვალზე, ე.წ. ტურის ოპერაციის დროს საშარდე მილი დამიზიანეს. ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა და გამოსავლის ძებნაში ახლობელმა მირჩია, **პროფესორ გურამ ქარაზანაშვილთან** მივსულიყავი, რომელსაც ჩემთვის ხელოვნური სფინქტერი უნდა ჩაედგა. მართლაც გავიკეთე ეს საკმაოდ ძვირადღირებული ოპერაცია, თუმცა, შვეიცარიული წარმოების 4500 ევროს ღირებულების სფინქტერი, რომელიც ჩამიდგეს, ჩემი მკურნალი ექიმის **პაატა გიორგაძის** დასკვნით, თავიდანვე დაზიანებული ყოფილა, მანჟეტი იყო გაბერილი და ვერ ამუშავდებოდა. **ქარაზანაშვილი ოპერაციამდე მიმტკიცებდა, დიდი გამოცდილება მაქვსო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არამხოლოდ საქართველოში, მთელ ამიერკავკასიაში პირველს მე გამიკეთეს ეს ოპერაცია, ანუ კაცმა ჩემზე ივარჯიშა!**

ვიდეოთვალი დამყურებდა ზემოდან. ორსაათ-ნახევარი აწყობდა იმ ხელოვნურ სფინქტერს, ექვსსაათ-ნახევარი მიკეთებდა ოპერაციას, თუმცა, ირწმუნებოდა — საათ-ნახევარში დავამთავრეო! **ოპერაციიდან 5 დღეში საშარდე გზა გადამეკეტა. ქარაზანაშვილი, რალა თქმა უნდა, თავიდანვე მიხვდა, თავისი უცოდინარობით რაც დამმართა, მაგრამ არ შეიმჩნია და ეს მოშლილი სფინქტერი მთელი 5 თვის განმავლობაში სხეულით მატარებინა. უფრო მეტიც — თავი არ შეიწუხა, რათა საკუთარი შეცდომა გამოესწორებინა და იმავე ფირმის სრულიად ახალი სათადარიგო სფინქტერი ჩა**წინდაუხედავად გაბერილმანჟეტიანი, 4500 ევროს ღირებულების სფინქტერი ჩამიდგეს სხეულში, რომელსაც სათადარიგო სფინქტერიც მოჰყვებოდა, მაგრამ ქარაზანაშვილმა ის სადღაც გააქრო!

არსებობს სათანადო სამედიცინო დასკვნებიც, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ამ კაცს ყველგან ჰყავს გავლენიანი მფარველები!

## 15 წელია, არაადამიანურად ვიტანჯები. ჩემი მდგომარეობის

რების გამო **გურამ ქარაზანაშვილს** 3 თვით მაინც შეუჩერებდნენ ლიცენზიას და მისგან დაზარალებულ პაციენტებზე ზრუნვას შეუდგებოდნენ, მაგრამ აქაც გავწბილდი — აღმოჩნდა, რომ საქართველოს კანონმდებლობით, შემთხვევიდან 5 წლის შემდეგ ექიმს პასუხისმგებლობა აღარ ეკისრება!

ქარაზანაშვილმა, ეტყობა, გავლენიან მფარველებთან წინასწარ მოაკვარახჭინა საკითხი, რადგან სხდომაზე შესვლამდე მან და მისმა ძმამ ცინიკური ღიმილი და დამამცირებელი

# მერამდენედ?

**ედგა, რომელიც სხვა ოპერაციისთვის ჰქონდა გადადებული.**

ვაი-უროლოგმა, რომელმაც შემოსავალი არ დაიკლო, არც კი გამიმხილა, რა დამმართა, ცდილობდა, პასუხისმგებლობა აერიდებინა. ერთი თვის განმავლობაში გაუფორმებლად ვიწექი მის კლინიკაში და მეუბნებოდა — მადლობა მითხარი, დღეში 60 ლარს რომ არ გახდევინებო! ამ ხნის განმავლობაში 4000 ლარის ღირებულების წამლები ჩემი ფულით მაყიდვინა, ხოლო ხუთი თვის თავზე აპარატმა საშარდე მილი გამიწყვიტა და ორგანიზმმა თავად გამოდევნა გარეთ. ბოლოს, ხუთწუთიანი მომსახურებაც დამამადლა, რომ თვეში ერთხელ სხეულში ჩადგმული ორლარიანი კათეტერი გამოეცვალა და დამამცირებელი ფორმით იმ კლინიკიდან გამომაგდო, სადაც გამაუბედურა — **აქედან აახვიე და სადაც გინდა, იქ მიჩივლეო!**

**— იჩივლეთ?**

— 10 წელი ვიარე ჯანდაცვის სამინისტროში. სხვადასხვა ინსტანციაში 200-მდე განცხადება მაქვს შეტანილი, სადაც ვწერ, რომ ექიმებმა ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული —

## გამო იზოლაციაში აღმოვჩნდი, ყველამ ზურგი მაქცია, „ასავალ-დასავალის“ რედაქციის გარდა, რომელიც საზოგადოებას პერიოდულად ახსენებდა ჩემს ტრაგედიას და ჩემი უფლებების დაცვას ცდილობდა.

პირველად მცირე იმედი მაშინ ჩამესახა, როცა ახლად დანიშნულმა ჯანდაცვის მინისტრმა **დავით სერგეენკომ** თქვენთან ინტერვიუში საჯაროდ განაცხადა, რომ ჩემზე ზრუნვას საკუთარ თავზე აიღებდა, მაგრამ თითი თითზე არ დაუკარებია. მეორედ იმედი 2018 წლის ოქტომბერში მომეცა, როცა ჯანდაცვის სამინისტროში საბჭოს სხდომაზე ჩემი საკითხი გაიტანეს. ველოდი, რომ ჩემი და კიდევ სხვა კონკრეტული პაციენტების გაუბედუ-

სიტყვები მტყორცნეს... იმედი გადამეწურა, რომ ოდესმე მდგომარეობას გავიუმჯობესებ. **ამ ნაძირალების გადამკიდე, 15 წელია, არაადამიანურად ვცხოვრობ, სხეულზე მიმაგრებულ შარდით სავსე ბოთლებს დავატარებ, რომლებსაც 2 საათში ერთხელ დაცლა სჭირდება.**

## ადამიანებთან კონტაქტს გავურბივარ, რომ ჩემი არაესთეტიკური მდგომარეობით ვინმე არ შევაწუხო – ასეთ დღეში ჩამაგდო ქარაზანაშვილმა და იქამდე მიმიყვანა, რომ მზად ვარ, სადაც წავაწყდები, ტყვია დავახალო!

აი, ამ მდგომარეობაში მყოფმა შევიტყვე, რომ ახლახან კიდევ ერთი პაციენტი გააუბედურა, მაგრამ ამჯერად მშრალად ვეღარ გამოძვრება!

**— ახლა რაღა მოხდა?**

— მორიგი წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ ცხვირ-პირი მაგრად დაუნაყეს პაციენტის გულშემატკივრებმა! ქარაზანაშვილი გულდაგულ ჩქმალავს ამ ამბავს, მაგრამ „შუბი ხალთაში არ იმალება“, რადგან კლინიკაში ის სძულთ! ნუ დამასახელებინებთ, ამ ვაი-უროლოგის რომელი თანამშრომლისაგან გავიგე ეს ამბავი, არ მინდა, პრობლემა შევუქმნა და სამსახური დავაკარგვინო. როგორც მიამბეს, პაციენტის გულშემატკივრები დაინტერესებულან, როგორ ჩაიარა ოპერაციამ, ქარაზანაშვილს კი წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ მათთვის აგდებულად უპასუხებია, არნახული შეურაცხყოფა მიუყენებია და საპასუხოდ წიხლქვეშ გაუგდიათ. ამ ყასაბს ახასიათებს ასეთი დამოკიდებულება — როცა მისი უმეცრების შედეგად პაციენტის მდგომარეობა რთულდება, ის ხდება ცინიკოსი, ამცირებს და შეურაცხყოფს ყველას, ვისაც მის კომპეტენციაში ეჭვი შეაქვს, „გაღმა შედავების“ პრინციპით პაციენტს და მის გულშემატკივრებს პირიქით ადანაშაულებს და ამ ფორმით ცდილობს პასუხისმგებლობის არიდებას. **ისე ვარ მისგან გამწარებული, ძალიან ვნანობ, უროლოგ გურამ ქარაზანაშვილი აქამდე რომ არ მოვკალი. ჩემი სიცოცხლე მაინც ტანჯვაა და რომ მომეკლა, ჩემ შემდეგ სხვა პაციენტებს ველარ გააუბედურებდა, მათ შორის, ვერც ცხონებულ გია მერებაშვილს,** რომელსაც მუცელში ორი კათეტერი ჩაუტოვა და მერე თავისი შეცდომა სხვას გადააბრალა. მარჯვენა დაელოცოს, ვინც კაცთმოძულე ყასაბს ცხვირ-პირი დაულეწა, მადლობას ვუხდი, რადგან ჩემი გასაკეთებელი მან გააკეთა!

მინდა, ჯანდაცვის ახალ მინისტრს **ზურაბ აზარაშვილს** მივმართო, რომელიც გულისხმიერ კაცად მეჩვენება — **შეაჩერეთ ეს კაცი, დაუხურეთ კლინიკა, თორემ კიდევ მრავალ პაციენტს გააუბედურებს!** მთლად უსამსახუროდ ნუ დატოვებთ, მისთვის უფრო შესაფერის თანამდებობაზე — მორგის დირექტორად გადაიყვანეთ, ვიდრე რომელიმე ჩემნაირად გამწარებული ტყვიით შუბლს არ გაუხვრეტს!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***


# ექიმებო, ეს კაცი თქვენი კოლეგაა???

პრემიერმა და პრეზიდენტმაც უნდა იცოდნენ!

გურამ ქარაზანაშვილის მსგავს ნაძირლებზე და კორუმპირებულებზე 800 მილიონი კი არა, 800 მილიარდიც არ ეყოფათ!

„ასავალ-დასავალი“, 2013 წლის №50

ერიდეთ ძალად პროფესორს!

დამკლა!

„ასავალ-დასავალი“, 2014 წლის №1

„ასავალ-დასავალი“, 2013 წლის №51

როგორ და რის ფასად დაანგრია „ლეჩკომბინატი“ გურამ ქარაზანაშვილმა

შოთა კაპანაძე:

პროფესორ ქარაზანაშვილის სკალპელს ჩემი მტერი ენდოს!

„ჯანდაცვის მინისტრი გვყავს თუ არ გვყავს?“

„ა-დ“. 2014 წლის №2



# ქარაზანაშვილის მსგავსი ექიმების სკალპელმა, პაციენტების კვალდაკვალ, საქართველოს ჯანდაცვის სისტემასაც არ უნდა გამოსჭრას ყელი!

## ღია წერილი საქართველოს ჯანდაცვის მინისტრს, ბატონ ზურაბ აზარაშვილს!



# როდემდე?

***ბატონო ზურაბ, გასულ კვირას „ასავალ-დასავალი“ კიდევ ერთ ისტორიულ გადაწყვეტილებაზე წერდა, რომლის მიხედვითაც საქართველოში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებს 2025 წლიდან საერთაშორისო აკრედიტაციის გავლა მოუწევთ.***

*ქართული კლინიკების საერთაშორისო სტანდარტებზე მორგება თავისთავად გულისხმობს მაღალი დონის სამედიცინო მომსახურებას, პაციენტთა უფლებების დაცვასა და სამედიცინო დაწესებულებებში როგორც პაციენტების, ასევე ექიმების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, რაც ქართულ რეალობაში უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს.* ***ჯანდაცვის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილება, ჩვენი ღრმა რწმენით, დადებითად აისახება ექიმებსა და პაციენტებს შორის უკიდურესად დაძაბულ ურთიერთობებზეც, რაც არაერთხელ ფატალურად დასრულდა.*** *ყოველდღიურად სამედიცინო დაწესებულებებში მომხდარი ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს კლინიკებისთვის საერთაშორისო აკრედიტაციის გავლის აუცილებლობას, სადაც ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნას ექიმთა უწყვეტი განათლება წარმოადგენს.*

გასულ კვირას **„ემ ემ ტე ჰოსპიტალში“** უროლოგ **ზურამ ქარაზანაშვილს** პაციენტის ოჯახის წევრები მძაფრად დაუპირისპირდნენ. შეგახსენებთ, რომ **ეს ის გურამ ქარაზანაშვილია, რომელსაც არაერთი პაციენტის გაუბედურებაში მიუძღვის წვლილი, პოლიციაში არაერთი საჩივარი აქვს დაწერილი მუქარისა და შეურაცხყოფის ფაქტებზე და უკვე არაერთხელ გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას, დაინვალიდებული პაციენტების ღია მუქარების მიუხედავად.**

ჩვენს ერთგულ მკითხველს კარგად ემახსოვრება **პაციენტ შოთა კაპანაძის** ისტორია, რომელიც 10 წელზე მეტია, **გურამ ქარაზანაშვილის მიერ დაშვებული შეცდომისა და გულგრილობით მიყენებული ზიანის გამო** დღემდე იტანჯება.

უროლოგი **ზურამ ქარაზანაშვილი** კი, რომელიც შოთა კაპანაძის გარდა **გიზო დოლიძის, დავით კუბლაშვილის, გია მერებაშვილის, აბელ მამარდაშვილის** და სხვა არაერთი პაციენტის იმქვეყნად გასტუმრებისა და დაინვალიდების შემოქმედია, საქმიანობას დღემდე უდრტვინველად აგრძელებს.

**ამჯერად მისი მსხვერპლი 67 წლის პაციენტი მ.ზ. აღმოჩნდა, რომელიც უმძიმეს, კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფება.**

რკინიგზის საავადმყოფოს შენობაში განთავსებული არაერთი კლინიკისა და თავად **„ემ ემ ტე ჰოსპიტალის“** თანამშრომლები კულუარულ საუბრებში ქარაზანაშვილის ფსიქიკურ მდგომარეობაზეც დაეჭვებით საუბრობენ.

### როგორც მისი კოლეგები აღნიშნავენ, მაგიდაზე ფეხებშემოწყობილი ექიმი ქარაზანაშვილი დაზარალებული პაციენტის გაჯავრებულ ახლობლებს უშვერი მიმართვებით აგდებს კაბინეტიდან.

უნდობლობა და დაუნდობლობა, რომელიც ქართველ პაციენტებს დღეს ღირსეული ექიმების მიმართაც კი დიდი დოზით აქვთ, **სწორედ ქარაზანაშვილის მსგავსი ვაი-ექიმების** დამსახურებას წარმოადგენს. მათ პაციენტების უმთავრესი უფლების შესახებ, ალბათ, არაფერი სმენიათ, როდესაც ურცხვად არღვევენ საქართველოს კანონმდებლობას, რომლის მიხედვითაც საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, მისთვის გასაგები ფორმით მიიღოს ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია, მოიძიოს ალტერნატიული მოსაზრება საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

აქვე შეგახსენებთ 2014 წელს დატრიალებულ ტრაგედიას — **2014 წლის 27 იანვარს მიცკევიჩის ქუჩაზე, „დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში“ განთავსებულ ვენერიულ სნეულებათა დეპარტამენტში საკუთარ კაბინეტში 65 წლის დერმატოლოგ-ვენეროლოგი, პროფესორი ზურაბ ბენდელიანი პაციენტმა მოკლა და მერე იქვე თავადაც მოისწრაფა სიცოცხლე.**

„დედა, მაპატიე, არ შემიძლია ამხელა ტკივილის ატანა. ბოლოს მოვუღებ იმას, ვინც მე ამ მდგომარეობაში ჩამაგდო“, — ამ შინაარსის წერილი აღმოაჩინეს სამართალდამცავებმა 31 წლის **ანზორ ბექურაშვილის** ავტომანქანაში, რომელიც იმ პოლიკლინიკასთან იდგა.

ექიმებსა და პაციენტებს შორის უკიდურესად გამწვავებულ ურთიერთობას ადასტურებს ჯანდაცვის სამინისტროს გავრცელებული ოფიციალური სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც **2022 წელს ჯანდაცვის სამინისტროში 296 ექიმის პროფესიულ პასუხისმგებლობაზე იმსჯელეს. მათ შორის, პროფესიული პასუხისმგებლობა 219 ექიმს დაეკისრა, აქედან 6 მედიკოსს სახელმწიფო სერტიფიკატი გაუუქმდა, ხოლო 56 ექიმს სხვადასხვა ვადით შეუჩერდა.**

სამწუხაროდ, 2019 წელს **ზურამ ქარაზანაშვილი** მხოლოდ იმ მიზეზით გადაურჩა პასუხისგებას, რომ **რეგულირების სააგენტომ** მისი საქმის შესწავლა წლების განმავლობაში გაწელა და მხოლოდ მას შემდეგ დანიშნეს საბჭოს სხდომა, როცა საქმეს უკვე ხანდაზმულობის ვადა რამდენიმე დღის გასული ჰქონდა (?!).

**ბატონო მინისტრო, იქნებ პირადად დაინტერესდეთ გურამ ქარაზანაშვილითა და მისი მსგავსი ექიმების საეჭვო საქმიანობით, რომელთა წინააღმდეგ საჩივარი საჩივარზე შემოდის რეგულირების სააგენტოში.**

მკითხველს შევახსენებ, რომ პროფესიული განვითარების საბჭო, რომელიც სამედიცინო პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებულ განცხადება-საჩივრებს განიხილავს, რეგულირების სააგენტოს მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე. **შოთა კაპანაძის საქმის შესწავლა აღნიშნულმა უწყებამ იმდენი წელი გაწელა, სანამ პროფესიული პასუხისმგებლობის საბჭოზე პაციენტს ცინიკურად არ განუცხადეს, რომ სახეზე იყო მთელი რიგი გადაცდომები, თუმცა, საქართველოს კანონმდებლობით შემთხვევიდან 5 წლის შემდეგ ექიმს არანაირი პასუხისმგებლობა აღარ ეკისრებოდა.**

თქვენი და პასუხისმგებელი პირების კეთილ ნებასა და მყისიერ რეაგირებას შეუძლია დღესვე გადაარჩინოს იმ პაციენტების სიცოცხლე, რომელთა გარდაცვალების შემდეგ მათი ოჯახის წევრების მიერ შემოტანილ საჩივრებს წლების განმავლობაში უნდა სწავლობდეს რეგულირების სააგენტო.

**აქვე მინდა, მადლობა გადავუხადოთ ჯანდაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ქალბატონ ეკატერინე ადამიას,** რომლის მიერ განხორციელებულმა ზარმა ბოკერიას კლინიკაში 2020 წლის 14 ნოემბერს გადაარჩინა ერთ-ერთი ვაი-ექიმის კ.გ.-ს მიერ სასიკვდილოდ განწირული და დიალიზზე დამოკიდებული 22 ადამიანის სიცოცხლე.

**დიახ, ბატონო ზურაბ, სამწუხაროდ, ასეა!**

**სანამ რეგულირების სააგენტოს მიერ შესწავლილი საქმეები თქვენამდე მოაღწევს, ადამიანები იტანჯებიან, იღუპებიან, ღატაკდებიან, ხოლო ექიმები, კლინიკების მფლობელები, განყოფილების გამგეები, პროფესორები** (ნაყიდი დიპლომებით), **მედიცინის დოქტორები** (ნაყიდი სადისერტაციო ნაშრომებით) **უფრო და უფრო მეტად ზულუქდებიან.**

### ნდობა, რომელიც პაციენტებს უნდა ჰქონდეთ ღირსეული ქართველი ექიმების მიმართ, სწორედ ქარაზანაშვილის მსგავსი ყასბებისა და ფულის ხამი ვაი-ექიმების დამსახურებით გაქრა.

დაინტერესდით, გამოავლინეთ და საკუთარი ადგილი მიუჩინეთ **ქართული ჯანდაცვის სისტემის წურბელებს,** რომლებიც, დაუსჯელობის სინდრომითა და ფულის სიყვარულით დაბრმავებულნი, აუცილებლად შეგიშლიან ხელს თქვენ და თქვენს გუნდს იმ ისტორიული მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, რომელსაც პოსტზე მოსვლის დღიდან ადგახართ და რომელიც ქართველი ექიმებისა და პაციენტებისთვის სრულყოფილი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებისკენ მიდის!

***მეგი საჯაია***


„ა-დ“. 2014 წლის №4

დავით კუბლაშვილი: შოთა კაპანაძე:

უკვე ისეთ მდგომარეობაში ვართ, ჩვენს თავზე პასუხს აღარ ვაგებთ!

P.S.


ყასაბ-ექიმის გურამ ქარაზანაშვილის მსხვერპლი შველას ითხოვს!

შოთა კაპანაძე

„ა-დ“. 2017 წლის №47

# ხელის დადებაც

***აი, თურმე, რატომ ნერვიულობდა გიული ალასანია 2021 წელს — არ ვიცი, რუსეთს რა რეაქცია ექნება ჩემი შვილის უკრაინიდან საქართველოში დაბრუნებაზეო! აი, თურმე, რატომ ღელავდა და შიშობდა ნაცბელადის დედა — ვაითუ, ისევ რუსებმა არ ჩათვალონ საჭიროდ მიშას საქართველოში დაბრუნებაო!***

მოდით, სტენოგრამიული სიზუსტით გავიხსენოთ, რას ამბობს **გიული ალასანია** თვენახევრის წინათ გავრცელებულ ფარულ აუდიოჩანაწერში, რომელიც განუზაჟებელი სააკაშვილის ტრაილერში ჩადებამდე და არაჟნებთან ერთად საქართველოში შემოპარებამდე ცოტა ხნით ადრეა გაკეთებული:

***„მთავარი ის არის, რუსეთი რას ფიქრობს ამ მომენტში. რუსებსაც არ უნდათ ეს ივანიშვილი. ხომ ჩანს ახლა, ამ მასალებს რომ აწვდიან მელაძეს და ეს მელაძე ჩვენ გვაჩვენებს — ეს ხომ რუსები აწვდიან. ამ სიტუაციაში მე არ ვიცი, ამ ჩემს შვილს აქ რა დახვდება, მე არ ვიცი. აი, შეიძლება, ისევ თვითონ რუსეთმა არ ჩათვალოს საჭიროდ“.***

**გიული ალასანია** ნერვიულობდა, რადგან არ იცოდა, გაჩნდა თუ არა სააკაშვილს რუსეთის ნებართვა, უკრაინიდან საქართველოში შემოპარულიყო და არჩევნების წინ დიდი პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოეწვია!

**სააკაშვილის დედა ღელავდა და ბორგავდა, რადგან არ იცოდა, იყო თუ არავიზირებული კრემლისა და რუსული სპეცსამსახურების მიერ სააკაშვილის გეგმა, რომელიც საქართველოში არეულობის მოწყობასა და ხელისუფლების დამხობას გულისხმობდა!**

გიული ალასანია ამ ყველაფერზე ნერვიულობდა, რადგან ძალიან კარგად იცის, რომ მის შვილს საქართველოსა და უკრაინაში არასოდეს არცერთი სერიოზული ნაბიჯი არ გადაუდგამს კრემლის ნებართვისა და რუსული სპეცსამსახურების დავალების გარეშე!

**გიული ალასანია ამ ყველაფერზე ღელავდა, რადგან ძალიან კარგად იცის, რომ ჯერ კიდევ 1992 წელს, საბჭოთა უშიშროების საკადრო ლაბორატორიის — კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი საქართველოში „კაგებეს“ დავალებით ჩამოვიდა!**

ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **განსაკუთრებით კი, მისი საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი,** საბჭოთა სპეცსამსახურების კადრების სამჭედლო რომ იყო, ამის შესახებ გასულ კვირას წვრილად და საფუძვლიანად ისაუბრა **უკრაინის საგარეო დაზვერვის ყოფილმა ხელმძღვანელმა, გენერალმა ნიკოლაი მალომუჟმა.** მან ცნობილ უკრაინელ ჟურნალისტ **დიმიტრი გორდონთან** ინტერვიუში პირდაპირ განაცხადა, რომ უკრაინის ყოფილ პრეზიდენტ **პეტრო პოროშენკოსა** და საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილს,** კიევის უნივერსიტეტში სწავლისას, საბჭოთა სპეცსამსახურები რეკრუტირებას უწევდნენ, ანუ „ავერბოვკებდნენ“ და დაზვერვის თანამშრომლებად ამზადებდნენ.

აი, შესაბამისი ფრაგმენტი ჟურნალისტ გორდონის მიერ უკრაინის საგარეო დაზვერვის ყოფილ შეფთან ნიკოლაი მალომუჟთან ჩაწერილი სკანდალური ინტერვიუდან:



დიმიტრი გორდონი

**უკრაინის საგარეო დაზვერვის ყოფილმა შეფმა დაადასტურა, რომ სააკაშვილი „კაგებეს“ მიერ გამოზრდილი კადრია!**


ნიკოლაი მალომუჟი

## სააკაშვილმა დამკვეთთა იმედები გაამართლა და განუხრელად ემსახურა კრემლის ინტერესებს, ანტირუსული რიტორიკის საფარქვეშ ეფექტიანად აკეთა რუსული საქმე!

*„**დიმიტრი გორდონი:***
*— 2013 წელს მოსკოვში ინტერვიუ ჩავწერე ლეგენდარულ ადამიანთან, საბჭოთა კავშირის „კაგებეს“ თავმჯდომარის ყოფილ პირველ მოადგილესთან, არმიის გენერალ **ფილიპე დენისის ძე ბობკოვთან.** მას არასოდეს ჰქონდა მიცემული ინტერვიუ, მითუმეტეს, ვიდეოინტერვიუ და ეს მისი პირველი ინტერვიუ იყო. ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ კამერის მიღმაც და მან მითხრა, რომ საბჭოთა დროს ძალიან კარგად იყო დამუშავებული „ვერბოვკის“ სისტემა. მომიყვა, რა პრინციპით „ავერბოვკებდნენ“ ადამიანებს. **ნიჭიერ, იმედისმომცემ, პერსპექტიულ ადამიანებს ჯერ კიდევ უმაღლეს სასწავლებლებში აკვირდებოდნენ. ყოველ ინსტიტუტში, უნივერსიტეტში გვყავდა ჩვენი წარმომადგენლები,** — მითხრა ფილიპე დენისის ძემ — **რომლებიც დაკავებულნი იყვნენ, როგორც პერსპექტიული სტუდენტების „დავერბოვკებით“, ასევე კავშირზე იმყოფებოდნენ უკვე „დავერბოვკებულ“ სტუდენტებთან და პედაგოგებთან.** თქვენ საბჭოთა დროს „კაგებეს“ ერთ-ერთი წარმომადგენელი იყავით და მუშაობდით **შევჩენკოს სახელობის კიევის უნივერსიტეტში.** მართალია თუ არა, რომ „დავერბოვკებულ“ სტუდენტებსა და ლექტორებს შორის თქვენთან კავშირზე უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ორი მომავალი ხელმძღვანელიც იმყოფებოდა?*

***ნიკოლაი მალომუჟი:***
*— კონკრეტული მიმართულება, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, ეს იყო დაზვერვა და კონტრდაზვერვა. სტუდენტები, ასპირანტები და პედაგოგები უკრაინაში წარმოდგენილი იყვნენ მსოფლიოს 102 ქვეყნიდან — ცენტრალური ევროპიდან, ლათინური ამერიკიდან, აღმოსავლეთ აზიიდან, აფრიკიდან და ა.შ. საერთო ჯამში, უნივერსიტეტში 2500 უცხოელი სტუდენტი სწავლობდა. **ნებისმიერ ქვეყანაში ეს იყო ბაზა დაზვერვისა და კონტრდაზვერვისათვის.** როგორც წესი, ესენი იყვნენ ელიტის — პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრების, მეფეების, შეიხების, ძლიერი კლანების ლიდერთა შვილები.*

***დიმიტრი გორდონი:** — **მომავალი პრეზიდენტები, მეფეები, შეიხები...***

***ნიკოლაი მალომუჟი:***
*— დღე და ღამე ვმუშაობდით დაზვერვისათვის, არალეგალური დაზვერვისათვის. **პირდაპირ გეტყვით, რომ დღეს ბევრი ქვეყნის სათავეში სწორედ ის ხალხი დგას, რომლებთანაც ჩვენ აქ ვმუშაობდით. დაზვერვისა და კონტრდაზვერვისათვის კადრებს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებიდან ვარჩევდით.** კიევის შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტი **იყო ძირითადი ბაზა, რადგან იქ ფუნქციონირებდა საერთაშორისო ურთიერთობებისა და უცხო ენების ფაკულტეტები.** დაზვერვის მომავალი თანამშრომლებისათვის მნიშვნელოვანი იყო უცხო ენების ცოდნა. ეს კონტინგენტი, პოროშენკოსა და სააკაშვილის ჩათვლით, განიხილებოდა, როგორც მომავალი შესაძლო დაზვერვის თანამშრომლები. შესწავლა ხდებოდა არა იმდენად აგენტურის, არამედ დაზვერვის ან კონტრდაზვერვის ფორმატში სამუშაოდ. **ამ შემთხვევაში კარგი განათლება და, სულ მცირე, ორი უცხო ენის ცოდნა იყო საჭირო, შემდეგ — სამწლიანი აკადემია და უკვე მზად იყვნენ საზღვარგარეთ პირველადი დავალების შესასრულებლად.** ყველას შესწავლა ხდებოდა, თუმცა, მათი ნაწილი ვერ გახდა დაზვერვის თანამშრომელი, მაგრამ გავიდნენ სხვადასხვა თანამდებობაზე, **პრეზიდენტის თანამდებობის ჩათვლით.***

***დიმიტრი გორდონი:** — **„კაგებე“ მუშაობდა პოროშენკოსა და სააკაშვილზე?***

***ნიკოლაი მალომუჟი:***
*— თავდაპირველად მათთან მუშაობდნენ **უკრაინული სპეცსამსახურები,** რომლებიც „კაგებეს“ შემადგენლობაში შედიოდნენ, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ — **უკრაინის უშიშროების სამსახური.***

***დიმიტრი გორდონი:** — **პოროშენკო და სააკაშვილი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს სწავლობდნენ.***

***ნიკოლაი მალომუჟი:***
*— დიახ, უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდი იყო. **სააკაშვილმა რეკომენდაცია მიიღო საქართველოსთან დაკავშირებით და წავიდა, რადგან საბჭოთა კავშირი დაიშალა.** საქართველოში ომი იყო, **გამსახურდიამ** ამბოხება მოაწყო. სააკაშვილს ვისთვის უნდა ეჩვენებინა რეკომენდაცია, რომ სისტემური მომზადება და სამედიცინო შემოწმება გაიარა? **უკრაინული მხრიდან ყველა რეკომენდაცია მიიღო იმ ვარაუდით, რომ საქართველოში კოლეგები დახვდებოდნენ, მაგრამ აღარავინ იყო, ვინც მიიღებდა. ამიტომ სააკაშვილი პოლიტიკაში წავიდა, საზღვარგა-***

## სააკაშვილი არც ქართველია და არც — უკრაინელი, იგი თხემით ტერფამდე კაგებელი გახლავთ!

### კვირგვინოსნები


**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*

20 პოლიციის მანქანა ცისფერი გალერეის უკანა ეზოში... **მხატვარი ესოდენ საფრთხეს უქმნიდეს სახელმწიფოს?** ცოტა არ იყოს, სხვა ეპოქას გვახსენებს და თანამედროვე საქართველოს კი ნამდვილად არცხვენს!

„ახალი თაობა“


**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*

ვანდალიზმს ხელოვნებად რომ წარმოაჩენთ, ხოლო **საკუთარი პრეზიდენტობის ხანას — საბჭოთა სისხლიანი რეპრესიების დროდ,** კი უნდა დაფიქრდეთ, **სირცხვილი რა არის, ქალბატონო პრეზიდენტო!**

„იმედინიუსი“


**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

შეუძლებელია, ქართველი ხალხი მათ გვერდით დადგეს, **ვინც ითხოვს, რომ დამნაშავე გათავისუფლდეს, ვინც ადამიანის ჩაგვრის სისტემა შექმნა,** სააკაშვილის ამ საკითხს ხალხის მხარდაჭერა არა აქვს.

„პირველი არხი“


**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

უკრაინის საგარეო დაზვერვის ყოფილი თავმჯდომარის განცხადება ადასტურებს, რომ **მიხეილ სააკაშვილი არის აგენტი** და მოქმედებს ქვეყნის ინტერესების საზიანოდ.

„პირველი არხი“


**ბესიკ ადამია**
*„მაღვიძარა“ ქუთაისიდან*

ადამიანები დღევანდელ დღეზე მეტად **მომავალზე რომ ზრუნავდნენ** და ანალიტიკური აზროვნებით აფასებდნენ წარსულს, სამყარო **უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლსა და ატომური ომის საშიშროებას** უთუოდ აიცილებდა თავიდან.

# ამას ჰქვია!



„კაგებეს“ მთავარი შენობა მოსკოვში, ლუბიანკაზე

*რეთ ისწავლა და პრეზიდენტი გახდა“.*

კარგად დავუკვირდეთ და ჩავუღრმავდეთ უკრაინის საგარეო დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელის განცხადებას: **სააკაშვილმა, რომელმაც „კაგებეს“ ხელში სისტემური მომზადება გაიარა, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე მიიღო რეკომენდაცია, წასულიყო საქართველოში და ჩაბმულიყო პოლიტიკურ პროცესებში.**

აქ საკვანძო სიტყვებია — **„მიიღო რეკომენდაცია საქართველოსთან დაკავშირებით“!**

ე.ი. სააკაშვილი, როგორც უკვე კარგად მომზადებული კადრი, **სპეცსამსახურებმა საგანგებოდ გამოგზავნეს საქართველოში,** რომელსაც, ის-ის იყო, საბჭოთა იმპერიის მარწუხებისაგან თავი დაეხსნა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზას შესდგომოდა.

ყურადღება მიაქციეთ იმასაც, რომ **უკრაინის საგარეო დაზვერვის ყოფილი შეფი ამბობს: *„გამსახურდიამ ამბოხება მოაწყო“.*** ე.ი. პუტჩისტების მიერ მოწყობილ სამხედრო გადატრიალებასა და საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობას **მალომუჟი „გამსახურდიას მიერ მოწყობილ ამბოხებას“** უწოდებს. **შესაბამისად, ცხადი ხდება, თუ რატომ მიიღო „კაგებეს“ მიერ „დავერბოვკებულმა“ სააკაშვილმა უკრაინიდან საქართველოში წასვლის რეკომენდაცია — მას „ამბოხებული გამსახურდიას“ წინააღმდეგ უნდა ებრძოლა!**

რა გააკეთა სააკაშვილმა მას შემდეგ, რაც საბჭოთა „კაგებეს“ ხელში სისტემური მომზადება გაიარა და საქართველოში ჩამოვიდა? **მაშინვე ზვიად გამსახურდიას მოწინააღმდეგეთა ბანაკს მიაშურა და გაწევრიანდა ე.წ. ინტელექტუალი პუტჩისტების პარტიაში, რომელსაც „ქარტია-91“ ერქვა.** მანვე ვრცელი ინტერვიუ მისცა პოლონურ გამოცემა **„ვპროსტს“,** რომელშიც ზვიად გამსახურდიას ტირანი უწოდა, **კავკასიის სადამ ჰუსეინად** მოიხსენია და ე.წ. სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების დაწყებაში დასდო ბრალი!

ერთი სიტყვით, **2005-2010 წლებში უკრაინის საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელის ნიკოლაი მალომუჟის სკანდალური განცხადება ცხადყოფს, რომ მიხეილ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში თავიდანვე „კაგებესა“ და მისი მემკვიდრე სპეცსამსახურების მიერ იყო ხელდასხმული!**

უკრაინის საგარეო დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელის ინტერვიუთი დასტურდება ისიც, რომ **„კაგებეს“ ხელში სისტემურად მომზადებული სააკაშვილი** თავიდანვე გამოყენებული იყო პოლიტიკურ ინსტრუმენტად საქართველოს დამოუკიდებლობისა და ქართული სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ!

საერთოდ, **უკრაინის საგარეო დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელის მიერ დიმიტრი გორდონისათვის მიცემული სკანდალური ინტერვიუ ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს და მკაფიო პასუხს სცემს ყველა კითხვას, რომელიც სააკაშვილის პოლიტიკურ კარიერას უკავშირდება.**

**ქერძოდ:** 2003 წლის 23 ნოემბერს, ე.წ. ვარდების რევოლუციის გადამწყვეტ მომენტში, რატომ იდგა სააკაშვილის გვერდით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **იგორ ივანოვი!**

2004 წელს, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, სააკაშვილი პირველივე ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში რატომ ჩავიდა და რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ რატომ განაცხადა — **„პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს, მე მას ვენდე და არ შევმცდარვარ!“**

სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველ წლებში რატომ ესწრებოდა მთავრობის სხდომებს ბიძამისი, **„კაგებეს“ სტაჟიანი ოფიცერი თემურ ალასანია,** რომელსაც საქართველოს ხელისუფლებაში არავითარი ოფიციალური სტატუსი არ გააჩნდა, მაგრამ სახელმწიფო კანცელარიაში კაბინეტიც კი ჰქონდა გამოყოფილი!

**რატომ დაარქვა სააკაშვილის ხელისუფლებამ კოდორის ხეობას „ზემო აფხაზეთი“ და რატომ შეიყვანა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში ახალგორის რაიონი!**

რატომ ჩააბარა სააკაშვილმა უბრძოლველად რუსეთს იგივე კოდორი და ახალგორი!

**— სარკოზი-მედვედევის დოკუმენტიდან სააკაშვილმა საკუთარი ხელით რატომ ამოშალა პუნქტი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრა მხოლოდ საერთაშორისო კონსენსუსის საფუძველზე უნდა მომხდარიყო და რატომ გაუხსნა რუსეთს ხელფეხი ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებისათვის!**

რატომ მოაწერა ხელი სააკაშვილის ხელისუფლებამ ევროსაბჭოს რეზოლუციას, რომელშიც 2008 წლის აგვისტოს ომის დამწყებად საქართველოა გამოცხადებული!

**რატომ მიჰყიდა სააკაშვილმა რუსეთს საქართველოს სტრატეგიული ობიექტები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ!**

ყველა ამ კითხვას ერთადერთი პასუხი აქვს: **სააკაშვილი, ჯერ კიდევ კიევის უნივერსიტეტში სწავლისას, საბჭოთა სპეცსამსახურებმა „დაავერბოვკეს“ და იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოში გამოგზავნეს, როგორც კარგად მომზადებული კადრი, რომელმაც დამკვეთთა იმედები გაამართლა და ხელისუფლებაში ყოფნისას განუხრელად ემსახურა კრემლის ინტერესებს, ანტირუსული რიტორიკის საფარქვეშ ეფექტიანად აკეთა რუსული საქმე!**

## სააკაშვილის გული უკრაინაში კი არ უნდა დაიმარხოს, როგორც ამას თვითონ ითხოვს, არამედ მოსკოვში, ლუბიანკაზე, „კაგებეს“ მთავარი შენობის წინ!



ორთავენი კიევის უნივერსიტეტში სწავლისას გამხდარან საბჭოთა უშიშროების „ღვიძლი შვილები“!

პეტრო პოროშენკო და მიხეილ სააკაშვილი

## სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში თავიდანვე „კაგებესა“ და მისი მემკვიდრე სპეცსამსახურების მიერ იყო ხელდასხმული!

**უკრაინის საგარეო დაზვერვის ყოფილი შეფის ნიკოლაი მალომუჟის ინტერვიუ იმასაც ცხადყოფს, თუ რატომ შეიფარა და აღაზევა ქართული სახელმწიფოს მიერ ძებნილი სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ!** აკი, ორთავენი კიევის უნივერსიტეტში სწავლისას გამხდარან საბჭოთა უშიშროების „ღვიძლი შვილები“!

**უკრაინის საგარეო დაზვერვის ყოფილი შეფის ინტერვიუს შემდეგ აღარც ის არის გასაკვირი,** თუ რატომ მოუწოდა რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** უკრაინის პრეზიდენტ **ვოლოდიმირ ზელენსკის** — სამართლიანობა აღადგინე და სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა დაუბრუნეო, რაც ზელენსკიმ ოპერატიულად შეასრულა!

**სააკაშვილს, როგორც „კაგებეს“ ლაბორატორიაში გამოყვანილ პოლიტიკურ ბაცილასა და კრემლის ინტერესების მსახურს, სხვადასხვა დროს არაერთმა ადამიანმა დაადო ხელი, მაგრამ ხელის დადება სწორედ იმას ჰქვია, რაც უკრაინის საგარეო დაზვერვის ყოფილმა ხელმძღვანელმა, გენერალმა ნიკოლაი მალომუჟმა გააკეთა!**

**ეს სულ სხვა რანგისა და სულ სხვა ხარისხის მხილებაა!**

**ეს არის ის, რასაც წყალი არ გაუვა!**

**ეს ცხადყოფს და ამტკიცებს, რომ ქართველობის მრავალჯერ უარმყოფელი და უკრაინელობის დამჩემებელი სააკაშვილი არც ქართველია და არც — უკრაინელი, იგი თხემით ტერფამდე კაგებელი გახლავთ!**

ასე რომ, სააკაშვილის გული უკრაინაში კი არ უნდა დაიმარხოს, როგორც ამას თვითონ ითხოვს, არამედ მოსკოვში, ლუბიანკაზე, „კაგებეს“ მთავარი შენობის წინ!

**მან ეს ნამდვილად დაიმსახურა და, ვფიქრობთ, არც დაამადლიან!**

**ჯაბა ხუბუა**

### კვირგვინოსნები

**ალეკო ასლანიშვილი**
*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელი რედაქტორი*



**უკრაინაში** ცა და მიწა იწვის, **თურქეთ-სირიაში** მიწისძვრამ 35 ათასი კაცი შეიწირა... **ჩვენ კი ისევ ავადმყოფ მიშაზე ვლაქლაქებთ!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ელიზბარ ჯაველიძე**
*აკადემიკოსი*



8 აგვისტოს ომში რომ დავმარცხდით, **ზელენსკიმ** შარვალი ჩაიხადა, ისე უკრავდა როიალზე, თან **პუტინის** გულის გასახარად ქართველებს ჩასვრილებს გვეძახდა! ეს არის მეგობრობა?! **უკრაინა არის ჩვენი მეგობარი** მაშინ, როცა, ვინც უნდა გაგვესამართლებინა — **ადეიშვილი, სააკაშვილი** და სხვები, შეიფარა და ყველას საკვანძო თანამდებობები ჩააბარა!

„საერთო გაზეთი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



**სააკაშვილს ხაბეიშვილის მოწყობილი ცირკის არ სჯერა.** ოპოზიცია მიეჩვია ფუფუნებას, სტეიკის ჭამას. **ტრენინგი კი არ უნდა ჩაუტარონ ხალხს, მჭადი უნდა ჭამონ მათთან** და მერე გაიგებენ, მოსახლეობას რა უნდა!

„ახალი თაობა“

**ვალერი გელბახიანი**
*ადვოკატი*



სააკაშვილი **ციხეში** იქნება, **უკრაინაში,** თუ, ჯვარი სწერია და, **მიწაში,** მაინც დაამარცხებს ივანიშვილს!

„ალია“

# დანიგან, ნუ

***რამდენიმე დღის წინათ, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი საქართველოში თავის მისიას მალე დაასრულებს და მის ადგილს რობინ დანიგანი დაიკავებს, „ასავალ-დასავალის“ რედაქციაში სატელეფონო ზარი გაისმა. ხმის მიხედვით თუ დავასკვნით, შუახანს გადაცილებული მამაკაცი რეკავდა, რომელმაც გვითხრა, რომ ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველია და, ცოტა არ იყოს, უცნაური კითხვა დაგვისვა — ორშაბათის ნომერში ხომ დაწერთ, რომ კელი დეგნანი საქართველოდან მალე წაეთრევა, წაშავდება და წაბნელდებაო?***

თავიდან გაგვეცინა, შემდეგ კი ვეცადეთ, მკითხველისათვის აგვეხსნა, რომ ერთობ უხერხული იქნება, თუ ამერიკის ელჩის საქართველოდან წასვლას **წათრევად, წაშავებად** და **წაბნელებად** შევრაცხავთ.

იმ საქმიანობისა და რიტორიკის გამო, რომლითაც აშშ-ის ელჩი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამოირჩეოდა, შეიძლება, მისი წასვლა **წათრევად, წაშავებად და წაბნელებად** მონათვლას მართლაც იმსახურებდეს, მაგრამ, ყველაფერს რომ შევეშვათ, **კელი დეგნანი** ქალია და თანაც — სტუმარი ქალი.

მართალია, თავად აშშ-ის ელჩი სტუმარივით კი არა, აქაურობის ბატონ-პატრონივით იქცეოდა, გენერალ-გუბერნატორისა თუ მეფისნაცვლის ფუნქციებს კისრულობდა და ღამის არსთა გამრიგეობაზე იქაჩებოდა, მაგრამ ქართული ზრდილობა და სტუმართმოყვარეობა მაინც არ მოგვცემს საშუალებას, მას **წათრეული, წაშავებული და წაბნელებული** ვუწოდოთ.

სამაგიეროდ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **კელი დეგნანის** დიპლომატიური მისიის ამოწურვასთან ერთად იხურება ერთ-ერთი ყველაზე შავბნელი ფურცელი საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ბოლო 30-წლიანი ურთიერთობის ისტორიაში!

არადა, **კელი დეგნანმა,** რომელიც ამერიკამ საქართველოში ელჩად 2019 წელს, **დონალდ ტრამპის** პრეზიდენტობისას გამოუშვა, თავიდან მართლაც კარგად დაიწყო — ნამდვილი დიპლომატივით იქცეოდა, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებს არ სცდებოდა, საქართველოს შიდა პოლიტიკაში ხელებს არ აფათურებდა და დირექტივებს არ იძლეოდა! თუმცა, **როგორც კი აშშ-ის ხელისუფლებაში რეინკარნირებული ჩერნენკო — ჯო ბაიდენი მოვიდა თავის დემოკრატებთან ერთად, დეგნანიც 180 გრადუსით გადასხვაფერდა და მაშინვე რადიკალი ნაცლიბერალების დაუფარავ მოკავშირედ იქცა!**

საქართველოში **კელი დეგნანის** საქმიანობა თუნდაც მარტო იმიტომ არის სამარცხვინო, რომ თავის მთავარ დასაყრდენად **ვანო მერაბიშვილის მიერ კაპიტნის წოდებით დაჯილდოებული ეკა გიგაური და ქართველი ხალხის მიერ „სანაცო დამცველად“ შერაცხილი ნინო ლომჯარია გაიხადა!**

დიახ, **კელი დეგნანი** საქართველოში ჩამოვიდა, **როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი** და საქართველოდან მიდის, როგორც **გიგაურისა და ლომჯარიას დაქალი,** რომელსაც ე.წ. ლგბტ პრაიდის მიერ ორგანიზებული არცერთი ღონისძიება არ გამოუტოვებია!

**კელი დეგნანი** საქართველოში საქმიანობას ისე ამთავრებს, რომ პასუხი არ გაუცია კითხვაზე — **ამერიკის საელჩომ რა უფლებით მოსთხოვა ახსნა-განმარტება ქართველ მოსამართლეს, რომელმაც ნიკა გვარამიას პატიმრობა მიუსაჯა და რატომ ამოიღო იგი ამერიკაში ტრენინგზე მიწვეული მოსამართლეების სიიდან?**



## დეგნანის შემცვლელმა დანიგანმა უნდა იცოდეს, რომ 300-წლიანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მქონე აშშ-იდან ელჩად მოდის 3000-წლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მქონე საქართველოში!



მეთიუ ბრაიზა და მიხეილ სააკაშვილი

## იმედია, დეგნანის შემცვლელი ქალბატონი დანიგანი, რომელიც ახლა მეთიუ ბრაიზას ყოფილ თანამდებობაზე მუშაობს, საქართველოს კაბიან მეთიუ ბრაიზად არ მოევლინება!

## კელი დეგნანი საქართველოს ისე ტოვებს, რომ პასუხი არ გაუცია კითხვაზე – უკრაინაში ომის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ რატომ შეხვდა პოლიტიკიდან წასულ ბიძინა ივანიშვილს და ითხოვდა თუ არა მისგან საქართველოს ომში ჩართვას?

რაც ყველაზე მთავარია, **კელი დეგნანმა,** რომელსაც პირდაპირ ევალებოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისადმი ქართველი ხალხის რწმენა, იმედი და პატივისცემა განემტკიცებინა, სრულიად საპირისპირო ვითარება შექმნა — **ქართველი ხალხის უდიდეს ნაწილს ამერიკის შეერთებული შტატებისადმი რწმენა, იმედი და პატივისცემა იმაზე არანაკლებად შეურყია, ვიდრე მისმა წინამორბედმა იან კელიმ!**

ყოველივე აქედან გამომდინარე, სულაც არ გვიკვირს იმ პა-

## კვირგვინოსნები



**პაველ ჰერჩინსკი**
*ევროკავშირის ელჩი*

საქართველოს ჯერ კიდევ აქვს დრო იმის დასამტკიცებლად, რომ მზად არის, მაგიდასთან დაჯდეს, **როგორც ევროკავშირის მომავალი წევრი** — ჯერ არაფერია გადაწყვეტილი და არაფერია გარდაუვალი.

„ინტერპრესნიუსი“



**ამირან სალუქვაძე**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში*

ევროკავშირის ელჩს მინდა, ვკითხო: **თუ ჩვენ სანქციებს შევუერთდებით, რაც ეკონომიკურად საქართველოს დააზარალებს,** ვინმე მზად არის, ეს ზარალი ფინანსურად სრულად აგვინაზღაუროს?

„ახალი თაობა“



**ვესელინ ვალკანოვი**
*საქართველოში ბულგარეთის ელჩი*

ვფიქრობთ, საქართველო მეტს იმსახურებს და იმედი გვაქვს, რომ **წლის ბოლოსთვის კანდიდატის სტატუსზე ნათელი და კარგი გადაწყვეტილება გვექნება** — ეს საკვანძო მომენტია ქვეყნისთვის.

„ინტერპრესნიუსი“



**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

საქართველო კი არ ასცდა ევროპულ გზას, არამედ თავად ევროპა ასცდა საკუთარ თავს — **ჯერ თვითონ ევროპაა ევროპაში დასაბრუნებელი** და მერე ჩვენ უნდა მივყვეთ მას.

„ინტერპრესნიუსი“



**ალუდა ღუდუშაური**
*პარლამენტარი*

**ევროპარლამენტის რეზოლუციები** ავტორიტეტს და ძალას კარგავს — **ივანიშვილს ებრძვიან,** რადგან ხედავენ, რომ საკუთარი ქვეყნისა და ხალხის გვერდით შეუპოვრად დგას.

„ინტერპრესნიუსი“



**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

მოდუნდით **ათასი რჯულის „ენჯეოშნიკებო“, უსამშობლოებო** და გაამზადეთ დოკუმენტაცია, **ფინანსური ვალდებულებების წარმოდგენა მოგიწევთ** ქართველი საზოგადოების წინაშე.

„იმედინიუსი“

# გახდები დეგნანი!



კელი დეგნანმა ქართველი ხალხის უდიდეს ნაწილს ამერიკის შეერთებული შტატებისადმი რწმენა, იმედი და პატივისცემა იმაზე არანაკლებად შეურყია, ვიდრე მისმა წინამორბედმა იან კელიმ!

ტიოსანი მკითხველის, რომელმაც რედაქციაში დაგვირეკა და გვკითხა — **ხომ დაწერთ, რომ დეგნანი საქართველოდან მიეთრევა, მიშავდება და მიბნელდებაო?**

უკვე ცნობილია, რომ საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე კელი დეგნანს კარიერული დიპლომატი **რობინ დანიგანი** ჩაანაცვლებს, რომელიც ამჟამად სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეა ევროპისა და ევრაზიის საკითხებში.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში — ეს ზუსტად ის თანამდებობაა, რომელიც წლების წინათ ეკავა ჩვენთვის კარგად ნაცნობ **მეთიუ ბრაიზას,** ვინც სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი რეჟიმის თავგადაკლული მეგობარი გახლდათ, 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში კი ვაშინგტონიდან პამპერსები და გამოხდილი წყალი ჩამოგვიტანა.

იმედია, **დეგნანის შემცვლელი ქალბატონი დანიგანი,** რომელიც ახლა **მეთიუ ბრაიზას** ყოფილ თანამდებობაზე მუშაობს, საქართველოს **კაბიან მეთიუ ბრაიზად** არ მოევლინება!

**რობინ დანიგანმა,** რომელიც საქართველოში **კელი დეგნანის** პოსტს უახლოეს ხანში დაიკავებს, უნდა იცოდეს, რომ **დიპლომატიური მისიით მოდის არა ამერიკის შეერთებული შტატების ვასალ ქვეყანაში, არამედ დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოში, რომელსაც საკუთარი ეროვნული ინტერესები გააჩნია!**

**დეგნანის შემცვლელმა დანიგანმა** უნდა იცოდეს, რომ 300-წლიანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მქონე აშშ-იდან ელჩად მოდის 3000-წლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მქონე საქართველოში, რომელსაც საკუთარი თვითმყოფადობის, მამულის, ენისა და სარწმუნოების შესანარჩუნებლად **ატლანტის ოკეანისხელა სისხლი აქვს დაღვრილი!**

**დეგნანის შემცვლელ დანიგანს ზედაპირული წარმოდგენა მაინც უნდა ჰქონდეს იმ ქვეყნის ისტორიაზე, სადაც დიპლომატიური მისიით მოდის და უნდა იცოდეს,**

**რომ ეს 9 ძმა ხერხეულიძის, 300 არაგველის, 100 000 წმინდა მოწამის, რუსთველის, ოპიზრების, მთაწმინდელების, პეტრე იბერის, სამი ანბანისა და სამყაროში არსებული 14 დამწერლობიდან ერთ-ერთის ქვეყანაა, რომელმაც ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციასა და კულტურას იმაზე ბევრად მეტი მისცა, ვიდრე ერთ ქვეყანასა და ერთ ერს, მით უფრო, პატარასა და მცირერიცხოვანს შეეძლო!**

## კელი დეგნანის დიპლომატიური მისიის ამოწურვასთან ერთად იხურება ერთ-ერთი ყველაზე შავბნელი ფურცელი საქართველოსა და აშშ-ის ბოლო 30-წლიანი ურთიერთობის ისტორიაში!

**ქალბატონმა დანიგანმა უნდა იცოდეს,** რომ ეს ქვეყანა, სადაც მას ელჩად აგზავნიან და ეს ერი, რომელიც მას აქ დახვდება, თავში ხელის წამორტყმას კი არა, პატივისცემასა და დაფასებას იმსახურებს!

**ქალბატონმა დანიგანმა უნდა იცოდეს** ისიც, რომ ქართველი საზოგადოებისათვის, რომელსაც სააკაშვილის მტარვალი რეჟიმის მიერ მიყენებული ღრმა ჭრილობებიდან სისხლი დღემდე სდის, **სააკაშვილისა და მისი კრიმინალური ნაცხროვის მხარდაჭერა მკაფიო წითელი ხაზია,** რომლის გადაკვეთასაც იგი არავის აპატიებს, ამერიკის კი არა, თუნდაც მთელი სამყაროს ელჩი იყოს!

ცხადია, კარგად ვიცით, რომ ამერიკის ახალი ელჩი, მისი ყველა წინამორბედის მსგავსად, საქართველოში არა საქართველოს, არამედ ამერიკის ინტერესების დასაცავად და გასატარებლად მოდის, მაგრამ ამის გაკეთება ღირსეულადაც შეიძლება და არა ისე, როგორც დეგნანი აკეთებდა!

**საქართველოში აშშ-ის ახალ ელჩ დანიგანს, სულ ცოტა, ის ევალება, რომ დეგნანად არ იქცეს!**

იმედია, **ქალბატონი დანიგანი** ამ პროგრამა მინიმუმს მაინც შეასრულებს!

**ჯაბა ხუბუა**



ნინო ლომჯარია



ეკა ბიგაური

**კელი დეგნანი საქართველოში ჩამოვიდა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი და საქართველოდან მიდის, როგორც გიგაურისა და ლომჯარიას დაქალი!**

## კვირგვინოსნები



**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*

**გილოცავთ ხალხო, კელი დეგნანი მოგვცილდა.**

„GTMEDIA“



**კობა ხაბაზი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

**დეგნანი — დანიგენი** სხვადასხვაა თუ შეცდომით ასო-ბგერებია გადანაცვლებული? — ასო-ბგერების გადანაცვლება შინაარსს მნიშვნელოვნად შეცვლის.

„აიპრესი“



**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*

ოპოზიციის წარმომადგენლებს ვურჩევდი, პირველ რიგში, **დაინტერესდნენ იმ რუსული რუბლების წარმომავლობით,** რომლითაც მათი ლიდერები ფინანსდებიან.

„პირველი არხი“



**გიორგი ჩალაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

გაუშვით მიშა, გაძლევთ პირობას, **ბიძინას გაყინულ ფულს მე ჩავუდგები სათავეში,** რომ გავათავისუფლებინო.

„TV პირველი“



**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

**გიორგი ჩალაძემ** აღიარა, რომ **ბიძინა ივანიშვილის** თანხა დაბლოკილია უცხოეთში მათი მეპატრონეების მხრიდან.

„პირველი არხი“



**ვლადიმერ ბოქაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*

რამდენი ხანიც არ უნდა გაგრძელდეს **ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური შანტაჟი,** შედეგს მაინც ვერ მიაღწევენ, რადგან მას არასდროს დაუყენებია საკუთარი ინტერესები საქართველოს ინტერესებზე წინ.

„იმედინიუსი“

*ძველი წელთაღრიცხვის 146 წელს რომაელებმა სციპიონ ემილიანუსის ხელმძღვანელობით საბოლოოდ აისრულეს საუკუნეზე მეტი ხნის ნატვრა და მიწასთან გაასწორეს კართაგენი, რომელიც გადახნეს და ხნულში მარილი დათესეს, რაც იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ ამ ადგილზე სიცოცხლე ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამკვდარიყო!*

**ასეც მოხდა და იმ დღიდან კართაგენში დრო გაჩერდა!**

ტუნისის ყურეში ტურისტებს დღესაც აოცებთ 2 200 წლის წინანდელი ნაშთები ერთ დროს დიადი და ძლევამოსილი ზესახელმწიფოსი, სადაც ქრისტეს შობამდე საუკუნენახევრით ადრე ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი თავფურცელი ერთხელ და სამუდამოდ ჩაიხურა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის განადგურებას ვერ მოესწრო, რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი **მარკუს პორციუს კატონი** სენატში ნებისმიერ თავის გამოსვლას ასე ამთავრებდა — **„კართაგენი უნდა დაინგრეს!“**

კატონობისა რა გითხრათ, მაგრამ მეც გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მაღალი ტრიბუნიდან საზოგადოებასა და საქართველოს ხელისუფლებას მოვუწოდებ, რომ თბილისის ცენტრში ქვეყნის გაუბედურების, ღალატის, კორუფციის, მუქთახორობის, უნიჭობის, უგემოვნობისა და, რაც ყველაზე მთავარია და ბოლო დროს გამოჩნდა, სოდომიის ბუდე — **„საზოგადოებრივი მაუწყებლის“** შენობა უნდა დაინგრეს, ხოლო ურეიტინგო, არაფრის მაქნისი და ბიუჯეტის წურბელა ტელევიზია დაიკეტოს!

## ეს ცოდვიანი ადგილი, რომლის კიბიდანაც 1991 წლის შემოდგომაზე საქართველოს დაქცევა დაიწყო, უნდა გადაიხნას ზუსტად ისე, როგორც ეს კართაგენში მოხდა და ხნულში მარილი დაითესოს!

ამ რამდენიმე წლის წინათ ოქროყანაში ერთი ჩემი ახლობლის გერმანელმა ცოლმა, რომელიც მართლმადიდებლად მოინათლა და საქართველოს ორ ვაჟკაცს უზრდის, ულამაზეს ბუნებას თვალი რომ მოავლო და იქვე ნაძვნარში ხეებზე შერჩენილ „ცელოფნის“ პარკებსა და მიწაზე ნახევრად დანაზშირებულ პლასტმასის ბოთლებს, შპრიცებსა და სიგარეტის ნამწვავებს მოჰკრა თვალი, მითხრა — დრო რომ მქონდეს და არ მივდიოდე, შევკრებდი ბავშვებს და აქაურობას დავასუფთავებინებდი, რადგან ბავშვების აღზრდა ჯერ კიდევ შესაძლებელიაო! **ანუ მაღალი გერმანული ზრდილობით სავსე კეთილშობილმა ქალბატონმა ტაქტიანად და ნართაულად მიმანიშნა — თქვენი გამოსწორება აწი აღარ იქნება, მაგრამ იქნებ ბავშვებს მაინც ეშველოთო!**

სწორედ ასე, **„საზოგადოებრივი მაუწყებლის“** თუ **საზოგადოების დამაწყევრის ბორდს, ბორდის თითოეულ წევრს, ანუ ბორდელს** და სოდომიაში ჩავარდნილ იმ ტვინმოღრეცილებს, რომლებზეც ქვემოთ უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ, ცხადია, ამ ტელევიზიის დაკეტვითა და იქაურობის გადახვნით ვერაფერს ვუშველით, რადგან მათი საქმე დიდი ხანია, წასულია, მაგრამ ამით იქნებ იმ ბავშვებს მაინც ვუშველოთ, რომლებსაც **ე.წ. „ტელესკოლის“** ეგიდით ცხვირში **ლგბტ პროპაგანდას** ტენიან და სადომაზოხისტური აღტყინებით აიძულებენ, უყურონ ვინმე **თაკო შავგულიძის** ლესბოსურ „ფილმს“ — **„კომეტები“**, რომელიც 2019 წელს ეროვნული კინოცენტრის დაკვეთით გადაუღიათ და იმავე წელს ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზეც წაუთრევიათ.

საერთოდ, რაც ძველი **„პირველი არხის“**, ანუ იმავე **„საზოგადოებრივი მაუწყებლის“** გენერალური დირექტორი ვინმე **თინათინ ბერძენიშვილი** გახდა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 120 მილიონით დაფინანსებულ ტელევიზიაში **ლგბტ პროპაგანდამ და განსაკუთრებით ლესბოსელებზე გადაღებულმა ფილმებმა** იმატა, რაც, ნებსით თუ უნებლიეთ, გვიტოვებს განცდას, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენდირექტორი **თიკო ბერძენიშვილი** ან ლატენტური ლესბოსელია, ანდა ცნობილმა გეი-აქტივისტმა და ლევან ბერძენიშვილის „დამ“ — **დავით ბერძენიშვილმა**, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე, პარლამენტის წინ, ჯღაოდა — **„მე სექსუალური უმცირესობების საქართველო მინდა!“** — ივა კუზანოვთან ოპერაცია გაიკეთა, წონაში დაიკლო და **თიკო ბერძენიშვილად** გადაკეთდა!

მოკლედ, კვირა არ გავა, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერი **ამ მართლაცდა წყეულებმა** რომელიმე ლესბოსური ფილმით არ წაბილწონ. აი, მაგალითად,ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს საქართველოს მოსახლეობას უკვე დიდი ხანია, „გამოწერილი“ აქვს სერიალი **„სიყვარულს მიღმა“**, სადაც პარადი ასევე ლესბოსელებს მიჰყავთ. ამ სერიალის დირექტორები და სულისჩამდგმელები **დავით გოგიჩაიშვილი** და **სხვა ირაკლი კაკაბაძე** გახლავან, ხოლო ერთ-ერთ მთავარ როლს **ქეთი ბეზეშიძე** ასრულებს, რომელმაც ლესბოსელი ქალის — ნანას როლი **თამარ შავგულიძის „კომეტებშიც“** განასახიერა.



# „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შენობა უნდა დაინგრეს, ხოლო ურეიტინგო, არაფრის მაქნისი და ბიუჯეტის წურბელა ტელევიზია დაიკეტოს!




„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი

# ფრთხილად,

სწორედ ნანას აკითხავს ქალაქგარეთ აგარაკზე **ნინო კასრაძის** კინოგმირი — **ირინა** და სახლის პირველი სართულის ჩაბნელებულ ოთახში კინაღამ „მიაპახტაკორებს“... **ირინა** ევროპაში, კერძოდ, კრაკოვში ცხოვრობს. მან მთელი გერმანია და პორტუგალია შემოიარა და საქართველოში იმიტომ ჩამოვიდა, რომ გარდაცვლილი მამიდის მიერ დატოვებული ბინა გაეფორმებინა. რაც შეეხება **ნანას,** მას ორი შვილი ჰყავს — **ირინა და გიორგი,** შვილიშვილებიც ჰყავს, ხოლო ქმარი, რომელსაც ცოლის ლესბოსური წარსულის შესახებ სცოდნია, შემთხვევით თუ ნებით, ავტოავარიაში დაღუპულა.

„ფილმი“ ერთი შენელებული კადრია, რომელსაც არავითარი მხატვრული ღირებულება არ გააჩნია. ეს არის **გაკეთებული, დადგმული, ყურით მოთრეული სიბილწე,** რაშიც, დიდი ალბათობით, აღებულია მსუყე გრანტი და მთელი ეს სიმყრალე ემსახურება სოდომიის, კონკრეტულ შემთხვევაში კი, ლესბოსელობის პროპაგანდასა და სკოლის მოწაფეებში იმ აზრის დამკვიდრებას, რომ ლესბოსელობა ნორმალურია და ერთნაირსქესიანთა სიყვარულს უნდა ვუგულშემატკივროთ!

უფრო მეტიც, ლესბოსელები ვარსკვლავები, „კომეტები“ არიან, რომლებსაც „უკვდავი სული“ ჰქონიათ.

„ფილმის“ დასკვნითი სცენიდან იმასაც ვგებულობთ, რომ, თურმე, დედის ლესბოსელობის შესახებ სცოდნია მის ქალიშვილს — **ირინასაც,** რომელსაც ეს სახელი შემთხვევით არ ჰქვია და რომელიც ირინასა და ნანას ინტიმური სცენის დროს კინაღამ თავზე დაადგა.

**აი, ეს ყველაფერი აყურებინეს ბავშვებს და მერე მოაწყვეს ფილმის განხილვა, სადაც დომინირებდა აზრი — „აქ არაფერია საშიში და მიუღებელი! ფილმის ანონსს უფრო მოჰყვა ამბავი, ვიდრე ფილმს!“**




„ტელესკოლის“ ეთერში ლესბოსური ფილმი უჩვენეს და მერე მსახიობ ნინო კასრაძის თანდასწრებით ბავშვებთან მისი განხილვაც მოაწყვეს...

საერთოდ, „პირველ არხზე“ გარდა იმისა, რომ **ლგბტ თემი და თემა** ვასიკო მაღლაფერიძის „ბასანოჟკებივით“ აყროლდა, ისეთი „ფულაობაა“, ნაცი და ქოცი ერთმანეთშია აზელილი. **120-მილიონიან ბიუჯეტს ვირთხების ჯოგი ისე ჯიჯგნის, როგორც მამუკა ხაზარაძემ ქართველი მეანაბრეების ფულები დაჯიჯგნა და შეთქვლიფა.** ასე, მაგალითად, პროექტ **„ვოისში“,** რაშიც ძალიან დიდი თანხები ჩაყარეს

## კვირგვინოსნები

**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელმაც **პირველი პრეზიდენტი** მოკლა, **მეორე პრეზიდენტის** ორჯერ აფეთქებას ცდილობდა, **მესამე პრეზიდენტს** წამებით ვკლავთ.

„ახალი თაობა“

**გია ჯაჯაძე**
*ანალიტიკოსი*



ბრიუსელში განიხილავენ **უცხოელი ლობისტებისა და აგენტების** რეესტრის მსგავსი კანონის დამტკიცებას, არადა, „ხალხის ძალის“ მიერ დაინიცირებულ მსგავს კანონპროექტს რადიკალებმა **„რუსული“** უწოდეს.

„იმედინიუსი“

**ეკა ბესელია**
*პოლიტიკოსი*



ნდობა დასრულდა იქ, სადაც **„ოცნებამ“ გადააბიჯა მორალურ წითელ ხაზს** და განაცხადა, რომ მიშასდროინდელი მოსამართლე ჯალათები გამოსწორდნენ და კარგები, ანუ „ოცნების“ მორჩილები გახდნენ. აი, მთავარი დილემა, მეგობრებო!

„ალია“

**ვანო მერაბიშვილი**
*შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი*



რაიონებსა და ქალაქებში მიტინგები ტარდება, ახლა ზამთარია, **ქართველები არ არიან სიცივეს შეჩვეული ისე, როგორც უკრაინელები, მაიდანი რომ მოაწყონ,** მაგრამ ყველაფერი კარგად მიდის.

„ფეიბინ ლაივი“

# გამოვიდეთ იმ აქოთებული ბოსლიდან, რომელიც „საზმაუწყებლის“ ლესბოსელებმა და ბორდელებმა ევრო-ამერიკული გრანტებით შემოგვილობეს!

(თუმცა, მაკონტროლებელი დღემდე არსად ჩანს), ჩვენი ინფორმაციით, **„საზმაუს“ ადმინისტრაციამ** დაასაქმა და მაღალი ხელფასებით უზრუნველყო მიშმადიდებელთა მთელი ჯოგი — ორიენტაციაარეული **ლევან ყუბანეიშვილი,** სააკაშვილთან განსაკუთრებით დაახლოებული **გიორგი ლიფონავა** და ა.შ. არადა, როგორც მარწმუნებენ, ეს ხალხი კეზერაშვილის „ფორმულასა“ და ჭუტავიზიას ემსახურებიან და მათ გამართულად მუშაობას უზრუნველყოფენ.

**ახლა კი უფრო დაწვრილებით იმის შესახებ, თუ რატომ უნდა დაინგრეს და გადაიხნას „საზოგადოებრივ მაუწყებლად“ ცნობილი ცოდვილი ორგანიზაცია!** ზემოთ გაკვრით გითხარით, რომ საქმე ეხება ვინმე **თაკო შავგულიძის** ლესბოსურ „ფილმს“ **„კომეტები“,** რომელიც 2023 წლის 11 თებერვალს, შაბათს, 21:00 საათზე „ტელესკოლის“ ეთერში უჩვენეს და მერე მსახიობ **ნინო კასრაძის** თანდასწრებით ბავშვებთან მისი განხილვაც მოაწყვეს.

ვინაიდან ე.წ. „ფილმი“ სამი ნაწილისგან შედგება, სადაც ასახულია ორი ლესბოსელის ცხოვრება ბავშვობაში, მოწიფულობასა და მიღმიერ სამყაროში, ერთ-ერთი ლესბოსელი ქალის — ირინას როლის შემსრულებლის, მსახიობ **ნინო კასრაძის** განმარტებით, **ლესბოსელები საიქიოშიც არ დაიკარგებიან და „ორი გაბრწყინებული სული, ორი კომეტა იქაც კი იცნობს ერთმანეთს!“**



კადრი ფილმიდან „კომეტები“ – ქეთი გეგეშიძე და ნინო კასრაძე ლესბოსელების როლში

# ლეს-ბოსელია!

უკაცრავული პასუხია, მაგრამ, ვფიქრობთ, ქალბატონი ნინოს მხრიდან ეს ერთგვარი ნართაული მინიშნებაა იმაზე, რომ, თუ გვინდა, ჩვენი ახლობლები და საყვარელი ადამიანები საიქიო ცხოვრებაშიც ვნახოთ და იმ „კომეტებად“ ვიქცეთ, რომლებიც **„იქაც კი იცნობენ ერთმანეთს“,** ამისათვის უკანალი შარაზე უნდა გადავდოთ და ქალიან-კაციანად ლესბოსელები და კონჩიტები გავხდეთ! უფრო მეტიც, **ნინო კასრაძემ** ე.წ. ფილმში ასახული ორი ლესბოსელის მიღმიერი ცხოვრება მოკლედ ასე შეაფასა — **ფილმის მესამე ნაწილი არის ორ უკვდავ სულზე!**

მთელი წმინდა წერილი და სახარებაც, ასევე ბიბლიაც, განსაკუთრებით **პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ,** ხაზგასმით გვეუბნება, რომ ლესბოსელები და მამათმავლები სიკვდილს იმსახურებენ! უფრო მეტიც, მართლმადიდებელი ქრისტიანობა გვასწავლის — **სოდომია „მეორე სიკვდილი“ და ჯოჯოხეთია და ასეთი ადამიანის სული მარადიული სატანჯველისთვის არის განწირული!** ამდენად, იქ, სადაც სოდომია და გარყვნილებაა, სულის უკვდავებაზე ლაპარაკი ზედმეტია და **ნინო კასრაძეს** ბავშვებთან მსგავს თემებზე საუბრისას სიფრთხილეს ვურჩევთ!

**მართლაცდა, რას ასწავლით, ქალბატონო ნინო, ბავშვებს?** თქვენ „ტელესკოლის“ „კინო-კლუბში“ „ფილმის“ განხილვისას მოზარდებს მორიდებით და ოკრო-ბოკროდ, მაგრამ მაინც არაერთგზის განუცხადეთ — **ასეთი ცხოვრების წესი ჩემთვის მიუღებელია და ჩემთვის და ქეთი გეგეშიძისთვისაც არ იყო მარტივი ამ როლის თამაში, ოჯახები, შვილები გვყავსო!** საინტერესოა, ამ ყველაფრის მიუხედავად, იმ ორი ლესბოსელის — **ირინას და ნანას** აძაღლებული სული, რომლებიც თქვენ და ქეთი გეგეშიძემ ასე რუდუნებით განასახიერეთ, მაინც უკვდავია?

## თუ ლესბოსელებისა და, შესაბამისად, მამათმავლების სული უკვდავია, მაშინ იმ ადამიანების სულზე რას გვეტყვით, რომლებსაც სექსუალური ორიენტაცია არასოდეს არევიათ, სამშობლოსა და ოჯახებს წესიერად ემსახურნენ, ქვეყანას დიდებული შვილები აღუზარდეს და იმიერსა და საიქიოში ვალმოხდილნი წავიდნენ?

აქამდე „უკვდავი სულის“ შესახებ საქართველოში სულ სხვა წარმოდგენა გვქონდა. აი, მაგალითად, პოემაში **„აჩრდილი“** სულმნათი **ილია ჭავჭავაძე,** რომელიც საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, „უკვდავი სულის“ შესახებ ასეთ რამეს წერს:

**„მარად და ყველგან,**
**საქართველოვ,**
**მე ვარ შენთანა!..**
**მე ვარო შენი თანამდევი,**
**უკვდავი სული.**
**შენთა შვილთ სისხლით**
**გული სრულად**
**გარდამებანა,**
**ამ გულში მე მაქვს**
**შენი აწმყო,**
**შენი წარსული!“**



კადრი ფილმიდან „კომეტები“ – ქეთი გეგეშიძე და ნინო კასრაძე ლესბოსელების როლში

ანუ **„უკვდავი სული“** ილიაა, ეს სული ილიაში ბობოქრობს, რომელიც მარად და ყველგან საქართველოსთან დარჩა. ილიამ საქართველოს ტანჯვითა და წვალებით იცხოვრა და რადგან მისი გული საქართველოს აწმყოსა და წარსულის ნავსაყუდელია, ამიტომაც რა გასაკვირია, სწორედ ილია და მისი მსგავსნი დაშთნენ ჩვენში სულის უკვდავების აბსოლუტურ გამოხატულებად.

**იქნებ გვიპასუხოთ, ქალბატონო ნინო — იქ, სადაც ილიას უკვდავი სულია, „ლესბიანკა“ ნანასა და ირინას „უკვდავი სულის“ ადგილი არის?**

„ტელესკოლის“ „კინო-კლუბში“, სადაც ე.წ. ფილმს მოწაფეები განიხილავდნენ, ვიხილე „დავარცხნილი“, პირში ლაგამამოდებული და შემგუებელი თაობა, რომლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, **ვინმე ანამ** ასეთი რამეც კი თქვა — **კინო არის ძალიან კარგი საშუალება გარკვეულ ტაბუდადებულ საკითხებზე არტისტულად სასაუბროდო!**

გალაკტიონის „არტისტული ყვავილების“ შესახებ ვიცოდით, მაგრამ ლესბოსელებზე „არტისტულად საუბარი“ და ჟღურტული აქამდე არ მოგვესმინა და იმასაც მოვესწარით, ეს სიმყრალე „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სტუდიაში გვენახა!

**ვინმე ნენსიმ,** — ცხადია, მოწაფემ, **ნინო კასრაძეს** ესეც კი ჰკითხა, — **მიგაჩნიათ თუ არა, რომ მათ** (ე.ი. ლესბოსელებს. ხაზი ჩვენია. დ. ჩ.), **უნდა ებრძოლათ და სხვა ხალხისთვის მაგალითი მიეცათ?**

— მათი ცხოვრების წესი ჩვენგან შორს კი არის, მაგრამ ჩვენ მათ თანავუგრძნობთ, რადგან ნამდვილი სიყვარული ვერ იპოვეს! — უპასუხა **ნინო კასრაძემ** და ამით იმ ლგბტ შტურმის უმთავრესი მიზანი გათქვა, რომლითაც წლებია, საქართველოს მოსახლეობაზე ზემოქმედებენ. მიზანი კი ერთია — გახადონ ქართველები შემგუებლები და თანამგრძნობი სოდომიის ნებისმიერი გამოვლინების მიმართ! **ამ წყეული პოლიტიკის დამანგრეველი და ყოვლისწამლეკავი შედეგი ლესბო-„ფილმის“ განხილვისას იქვე, სტუდიაში ვიხილეთ — არავითარი მიუღებლობა, არავითარი ბუნტი და აბსოლუტური შტილი იმ სიბილწის მისამართით, რომელიც ვინმე თაკო შავგულიძემ უცხოელი სოდომისტების მიერ გამოსროლილი გრანტისა თუ ტრანშის სანაცვლოდ ყურით მოათრია და „ტელესკოლის“ ეთერში ბავშვებს უჩვენა!** ფაქტობრივად, აღარაფერი დარჩენილიყო იმ პროტესტისგან, რომელმაც **1980 წლის 27 იანვარს** მთელი ქვეყანა შეარყია, როცა საქართველოს ცენტრალურ ტელევიზიაში **თემურ ჩხეიძის მიერ** დადგმული სპექტაკლის — **„ჯაყოს ხიზნების“** ტელეგანხილვა მოეწყო.

ცნობილია, რომ მაშინ მარგოს როლის შემსრულებელი **ნანა ფაჩუაშვილი** შიშით გარეთ ვერ გამოდიოდა...

**ჩვენ არ გვინდა საქართველოში იმ შიშის გამეფება, მაგრამ გვინდა, არასოდეს დაგვავიწყდეს სოდომ-გომორის საშინელი აღსასრული და გამოვიდეთ იმ აქოთებული ბოსლიდან, რომელიც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ლესბოსელებმა და ბორდელებმა ევრო-ამერიკული გრანტებით შემოგვილობეს!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**ლევან მამალაძე**
*„სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი*

სამშობლოს ერთნაირად ღალატობენ ისინი, **ვინც რუსეთზე მუშაობს, აშშ-ზე ან სხვა ქვეყნის ინტერესებს ემსახურება** — ლუსტრაციის კანონის მიღების ინიციატივამ, საქართველოში **მიძინებული თუ მოქმედი აგენტურა** ააბობოქრა.

„იმედინიუსი“



**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*

დაუხვევიათ ხელზე **ოსტინის** განცხადებები და იქადნებიან, გულის ფიცარზე დაიწეროს მისი სიტყვები ოპოზიციამო. რა თქვა ასეთი? **საქართველომ გააღრმავა კავშირი დასავლეთთან, განამტკიცა საკუთარი გზა ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გლობალურ უსაფრთხოებაშიო.** ეს იყო სტანდარტული სიტყვები და ოფიციალური პირები ნებისმიერი შეხვედრის დროს იყენებენ.

„კვირის პალიტრა“



**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*

არ მიმაჩნია, რომ **სააკაშვილი** უდანაშაულოდ არის დაჭერილი, **7 ნოემბრისა და გირგვლიანის საქმეშიც** დამნაშავედ მიმაჩნია.

„რეზონანსი“



**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*

პარტია დამარხეს და ეს გააკეთა **ხაზეიშვილმა,** ქუჩაში სირბილის მეტი ამ კაცს არაფერი გაუკეთებია, რა მთავარი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარე — **თავისივე ხელით პარტია პაროდიად აქციეს!** „პალიტრანიუსი“

***მას შემდეგ, რაც სასამართლომ მიხეილ სააკაშვილს პატიმრობის გადავადებაზე უარი უთხრა, 577-მა ევროპარლამენტარმა რეზოლუცია გააშანშალა, სადაც საქართველოს ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებისაკენ მოუწოდა. პოლიტოლოგი, საქართველოს მთავრობის კანცელარიის ყოფილი უფროსი პეტრე მამრაძე პირდაპირ აცხადებს, რომ ყველაფერი, რაც რეზოლუციაში წერია, მტკნარი სიცრუეა და ხელისუფლებამ მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს:***






„არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს კანონის უზენაესობის შელახვა იმისთვის, რომ 577 ევროპარლამენტარის რეკომენდაცია შესრულდეს!“

„ის, რასაც ახლა ევროპარლამენტარები სჩადიან, სამარცხვინო ლაქა იქნება ევროპარლამენტარიზმის ისტორიაში!“

## პეტრე მამრაძე:

# რისი კანდიდატი უნდა გავხდეთ – ჭაობში შესვლის?!

— ის, რასაც ახლა ევროპარლამენტარები სჩადიან, სამარცხვინო ლაქა იქნება ევროპარლამენტარიზმის ისტორიაში! ამას როგორც პროფესიონალი გეუბნებით! სამწუხაროდ, წლების განმავლობაში მწიფდებოდა ნარატივი, რომ პუტინის რეჟიმის მიერ გამოგზავნილმა ბიძინა ივანიშვილმა ხელში აიღო ძალაუფლება და ქვეყანას კულისებიდან მართავს. ვინაიდან სააკაშვილი პუტინის მტერია, დააპატიმრა და, თურმე, ნელ-ნელა სულს ხდის. **ჩემს პრაქტიკაში ეს არის პირველი შემთხვევა, როცა მთელი პიარკამპანია ტოტალურ ტყუილზეა აგებული. ყოველი დებულება და თეზისი სიცრუეა!**

**— ანუ ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილს „პირადი შურისძიების“ გამო არ ებრძვის, როგორც ეს რეზოლუციაშია ხაზგასმული?**

— ბიძინა ივანიშვილს არაფერი აქვს საერთო პუტინთან, მანამდე დატოვა რუსეთი, ვიდრე იგი ხელისუფლებაში მოვიდოდა. სააკაშვილის მმართველობის დროს თუ რამე კარგი მოხდა და წესიერი რეფორმა გატარდა, სწორედ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა.

ტყუილია ის, რომ მან პრორუსული გახადა საქართველო და ამის გამო რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს არ ვუერთდებით. **საქართველომ აბსოლუტურად ყველა რეზოლუციას დაუჭირა მხარი რუსეთის წინააღმდეგ** მაშინ, როდესაც ომის დაწყებიდან დღემდე ნავთობსა და გაზში ევროკავშირის ქვეყნებმა პუტინს 100 მილიარდ დოლარზე მეტი გადაუხადეს, ხოლო 550 დასავლური კომპანია — „ზარა“, „ბენეტონი“ და სხვები კვლავ რუსეთში რჩებიან და ინტენსიურად მუშაობენ!

**— გამოდის, 577-მა ევროპარლამენტარმა სიცრუეზე მოაწერა ხელი?**

— გგონიათ, 577 დეპუტატიდან ბევრმა იცის, რომ სააკაშვილი საქართველოში კანონის უხეში დარღვევით, არაყნებთან ერთად შემოიპარა და დღეს დილეგში კი არ აგდია, როგორც რუსეთში **ნავალნი,** არამედ თვეებია, საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურ კლინიკაში ცხოვრობს, რაც სახელმწიფოს ასობით ათასი ლარი უჯდება?

წლების წინათ ევროპარლამენტში საქართველოსთან და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიასთან მეგობრობის ჯგუფი იყო შექმნილი. მახსოვს, ჩემი ნაცნობი ამერიკელი მეცნიერი შეხვდა მათ ბრიუსელში და გაოგნებულმა მითხრა — ამ ჯგუფის წევრებმა ისიც კი არ იციან, რომ სომხეთი და საქართველო უძველესი ქრისტიანული ქვეყნებიაო.

გარდა ამისა, ევროპარლამენტარებს შორის არიან ადამიანები, რომლებიც საქართველოში სააკაშვილის მმართველობის დროს ჩამოდიოდნენ და საუკეთესო სასტუმროებში ცხოვრობდნენ, ზოგიერთ მათგანს უზენაესი ორდენებიც კი მიართვა სააკაშვილმა. არადა, **თავადაც ხედავთ, უკვე მერამდენე ევროპარლამენტარი დაიჭირეს კორუფციის გამო.**

ბევრს უთქვამს, რატომ ამბობ ევროპარლამენტარებზე, მოსყიდულები არიანო... ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრება არ არის. ჯერ კიდევ სამი წლის წინათ დაწერა შესანიშნავმა სახელმწიფო მოღვაწემ, ბელგიის ყოფილმა პრემიერმა სტატია, როგორ ამოვაშროთ ევროკავშირის ჭაობი. აი, რატომ ამჯობინებს დასავლეთის ზოგიერთი ლიდერი თვალის დახუჭვას სააკაშვილის დანაშაულზე და გაიძახის, ბიძინა ივანიშვილი დიდ რეფორმატორს ნელი სიკვდილით კლავსო.

**სააკაშვილს ხელისუფლება არათუ კლავს, არამედ უნიკალურ პირობებს უქმნის. მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში არ მომხდარა. სამბზის პრეზიდენტიც რომ ყოფილიყო და ანალოგიური ქმედებები ჩაედინა დასავლეთში, იმავე წამს კარცერში გადაიყვანდნენ.**

**— როგორც ირწმუნებიან, სააკაშვილს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვს...**

— მიხეილ სააკაშვილი 1992 წელს გავიცანი, როდესაც 24 წლის იყო. იქიდან მოყოლებული საკმაოდ ახლო ურთიერთობა მქონდა მასთან, ვიდრე 2008 წელს ღალატში არ დავადანაშაულე. ეს ადამიანი იმდენად



„სააკაშვილი ბავშვობიდან ფსიქოპათი იყო. ეს მისი კლინიკური დიაგნოზია და არა საგინებელი სიტყვა!“

## კვირგვინოსნები

**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპული დემოკრატების“ გენერალური მდივანი*



ქართული პოლიტიკის დონე „პლინტუსს“ დაბლაა — **დამძიმებული ჩამოვედი ბრიუსელიდან,** ღიად გვეუბნებიან — „არაფერს აკეთებთ 12 პუნქტის შესასრულებლად, არ იქნება შესრულება — არ იქნება სტატუსი“.

„პალიტრანიუსი“

**თამარ კიკნაძე**
*პოლიტოლოგი*



როცა დასავლეთი **პირობად მიშას გათავისუფლებას გვიყენებს,** ძალაუნებურად მის მიმართ ნეგატიური განწყობები ყალიბდება. **სააკაშვილი** დამნაშავეა და სასჯელი უნდა მოიხადოს! მე ტექნიკურ უნივერსიტეტში ვმუშაობ. **გიული ალასანიამ** იქ, იცით, რა ქნა? — **ასწლოვან უნივერსიტეტს სპორტული მოედანი წაართვა!**

„საერთო გაზეთი“

**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



შეგვიძლია, ევროკავშირში **ორ წელიწადში** გავწევრიანდეთ!

„რეზონანსი“

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



**მერაბიშვილი** როცა ცდილობს, დასავლეთის იდეების პროპაგანდისტად მოგვევლინოს, შემდეგ ყველას მეხსიერებაში ამოუტრიალდება მოთხოვნა **„ორ ტრუპთან“** დაკავშირებით.

„პირველი არხი“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



**ხაბეიშვილი** იმას იზამს, რასაც ავაზაკი **მერაბიშვილი** დაავალებს, მაგალითად, შეუძლია, უთხრას — გადაეშვას შავ ზღვაში და გადაეშვება, ასე იზამს, თუ მისი ხერხემალი უკარნახებს.

„პირველი არხი“

# „ასე უნიათო როგორ უნდა აღმოჩნდეს ხელისუფლება, რომ მართალი იყოს და ეს სიმართლე დასავლეთში კონკრეტულ ადამიანებამდე ვერ მიიტანოს?!“

არაჯანსაღი ცხოვრებით ცხოვრობდა, რომ შეიძლება, ნებისმიერ დროს შეექმნას რაღაც პრობლემა. ათიოდე წლის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ პროსტატის სერიოზული პრობლემები ჰქონდა და ბულემია სჭირდა. პათოლოგიურად ბევრს ჭამდა განსაკუთრებით მაშინ, როცა ღელავდა. ყველა დამეთანხმება ამაში, ვისაც მისი ჭამა ერთხელ მაინც უნახავს. ერთი ქვაბი სოუსი ან სამასი ხინკალი შეეძლო, წუთებში შეეჭამა. მაგრამ რა შუაშია მისი ავადმყოფობის პატიმრობასთან დაკავშირება და კლინიკაში ყოფნა?!

მიხეილ სააკაშვილი ბავშვობიდან ფსიქოპათი იყო. ეს მისი კლინიკური დიაგნოზია და არა საგინებელი სიტყვა. ამ ადამიანს არ შეუძლია კლინიკაში თუნდაც ორ ოთახში ყოფნა. მხოლოდ მაშინ გრძნობს თავს კარგად, როდესაც თავის ჭკუაზე დარბის წინ და უკან. ამის გამო შეიძლება ადამიანი პატიმრობიდან გაათავისუფლო? **მაშინ რა დააშავეს სხვა პატიმრებმა, მათაც ხომ შეიძლება თქვან, არ შეგვიძლია ციხეში ყოფნაო?**

სამწუხაროდ, ეს ნარატივი სააკაშვილთან დაკავშირებით გუშინ და დღეს არ დამკვიდრებულა. 2012 წლიდან დაიწყო საინფორმაციო ჩავარდნა. წლების განმავლობაში მეკითხებოდნენ დასავლელი კოლეგები და ყოფილი ელჩები — სამი პიჯაკის გამო ღირდა ყოფილი პრეზიდენტის დაჭერაო? მე მიწევდა მათთვის ახსნა, რომ 9 მილიონ ლარზე მეტი ჰქონდა დახარჯული პირადი სიამოვნებისათვის. არ მესმის, ასე უნიათო როგორ უნდა აღმოჩნდეს ხელისუფლება, რომ მართალი იყოს და ეს სიმართლე დასავლეთში კონკრეტულ ადამიანებამდე ვერ მიიტანოს?!

სააკაშვილის სადისტური რეჟიმი ძალაუფლებას რომ ჩამოშორდა, სოკოებივით აღმოაცენეს ენჯეოები, მართავდნენ საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებს, სადაც, როგორც ვიცი, მხოლოდ მოსყიდვა კი არა, ევროპარლამენტარების მასობრივი დამუშავებაც მიდიოდა. სად იყო ამ დროს ხელისუფლება? ერთხელ მაინც ჩაატარა მსგავსი კონფერენცია და ფორუმი? ახლა მაინც დაასაბუთონ თავიანთი სიმართლე. **ის მაინც გავაგებინოთ დასავლეთს, რომ სააკაშვილი 10 თვეა, ყველაზე ფეშენებელურ კლინიკაში გორაობს!**

**— დღეს არჩევანი ასეთია — ხელისუფლებამ ან ევროპარლამენტარების მითითებები უნდა გაითვალისწინოს და სააკაშვილი გაათავისუფლოს ან ევროკავშირთან დაახლოების შანსი ხელიდან გაუშვას...**

— როცა ევროკავშირის ჭაობი არათუ ამომშრალია, არამედ კიდევ უფრო ღრმავდება, განა ყველაფერი უნდა დავთმოთ, მათ შორის, სუვერენობაც და სასამართლოც, რომ იქ გავწევრიანდეთ? რისი კანდიდატი უნდა გავხდეთ — ჭაობში შესვლის?!

არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს კანონის უზენაესობის შელახვა იმისთვის, რომ 577 ევროპარლამენტარის რეკომენდაცია შესრულდეს! **ჭაობში შესასვლელად კონსტიტუცია არ უნდა დავარღვიოთ!** თურქეთს რამდენიმე ათეული წელია, უჭირავს კანდიდატის სტატუსი, მაგრამ მერე რა? გაიხსენეთ, რას ამბობდა სააკაშვილი ნატოში შესვლაზე. ჯერ იყო ასპირანტი, მერე ასპირანტი პლუსით... მერე ორი პლუსით. ამ დროს ყველამ ვიცოდით, რომ ეს თავიდან ბოლომდე ბლეფი იყო. **ჩვენს მიღებას ნატოში არც მაშინ და არც დღეს არავინ აპირებს! მხოლოდ ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ ისე, როგორც საქართველოსთვის იქნება სასარგებლო!**

**— არაფერს ურჩევდით პატიმარ სააკაშვილს, რომლის ირგვლივაც ამხელა აჟიოტაჟია ატეხილი და რომელთანაც ერთ დროს საკმაოდ ახლო ურთიერთობა გქონდათ?**

— საკმარისად კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ მისთვის რაიმე რჩევის მიცემას აზრი არა აქვს, თუმცა, გეტყვით, რას ვუსურვებდი — იქნებ მოიკრიბოს ძალა, ითანამშრომლოს გამოძიებასთან, მოჰყვეს ყველაფერი, რაც თანამზრახველებთან ერთად ჩაიდინა, მათ შორის, როგორ ამზადებდა ლაფანყურის სისხლიან ავანტიურას! დიახ, **სჯობს, პატიოსანი აღსარებით გათავისუფლდეს საშინელი ტვირთისაგან და მიიღოს ის სასჯელი, რაც ეკუთვნის. ეს არის მისი გადარჩენის ერთადერთი გზა!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



***საქართველოში „ძაღლის გაგდებულს“ ისეთ კაცზე იტყვიან, რომელიც ყველაფერს იკადრებს და ყველანაირ სიბილწეზე ხელს მოაწერს, მაგრამ ნაცსექტის ჯიბის ჰიტლერმა ლევან ხაბეიშვილმა ამაზე უარესიც გამოძებნა, რომელიც პარტიიდან გააგდო!***





# წარომან-წაკუპონდა!

მართალია, **რომან გოცირიძემ** განაცხადა, რომ ნაცპარტიიდან თავისი ნებით „წარომან-წაკუპონდა“, მაგრამ სინამდვილეში, თურმე, პირადად **ლევან ხაბეიშვილს** დაუფრენია.

**არ ვიცი, საქართველოს უახლესი ისტორიის სისხლიანი და სამარცხვინო ქრონიკა ოდესმე დაინტერესდება თუ არა იმით, რაც ხაბეიშვილმა ამ საერთაშორისო კატეგორიის თაღლითსა და შევარდნაძის ნაშობს უთხრა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ინციდენტის შემდეგ გოცირიძე პარტიიდან ბზიკის ნაკბენივით გამოვარდა და ქოში უკუღმა ყარა — ჩემი ფეხი აქ აღარ იქნებაო!**

ამ ისტორიამ, ჩემდა უნებურად, საქართველოს პარლამენტის ის სხდომა გამახსენა, როცა ერთ უმწეო, მაგრამ ბოროტ კაცს — **მიხეილ ნანეიშვილს** სააკაშვილი მიუახლოვდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა! ნანეიშვილი მაშინ აყვირდა და სააკაშვილს სულ „უზრდელი“ ეძახა... როგორც გაირკვა, საქართველოს მომავალმა ფიურერმა, რომელსაც შევარდნაძეც, რუსებიც და ამერიკელებიც შევარდნაძის ჩაის დასალევად ერთობლივად ამზადებდნენ, ნანეიშვილს დედა შეაგინა!

**რა მოხდა ხაბეიშვილსა და რომან გოცირიძეს შორის, არ დავაკონკრეტებთ, თუმცა, ფაქტია, რომ გოცირიძე, რომელიც აქამდე შევარდნაძის ნაშობი იყო, უკვე ხაბეიშვილის გაგდებულიც გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მასთან ერთად არათუ პარტიაში ყოფნა, არამედ მამუკა ხაზარაძის ინტელექტუალეტში მოსაშარდად შესვლაც კი სათაკილო და სამარცხვინოა!**

კარგმა ქართველმა მწერალმა **გურამ დოჩანაშვილმა** ქართულ ლექსიკაში სამუდამოდ დაამკვიდრა ფრაზა — **„ჩამოლაბორანტება“**, რაც სამსახურში **„დაქვეითების“**, **„დამდაბლების“** სინონიმია. სწორედ ასე, სამარცხვინო კაცის — ლევან ხაბეიშვილის მიერ ცნობილი თაღლითისა და კაგებეშნიკის რომან გოცირიძის პარტიიდან გამოგდება, შესაძლებელია, მთელ პოლიტიკურ სპექტრზე განვაზოგადოთ და აწი, როცა ვინმეს რომელიმე პოლიტიკური ბორდელიდან მოისვრიან, განვაცხადოთ — **ესა და ეს კაცი „გარომან-გააკუპონეს“-თქო!**

საერთოდ, საქართველოს უბედურება და ტრაგედიაა, რომ **რომან გოცირიძე,** რომელიც პირველ პარლამენტში ზვიად გამსახურდიას მტრობდა და გადატრიალების შემდეგ სამხედრო საბჭოში წისქვილის ვირთხასავით შეძვრა, დღეს ისევ პარლამენტის წევრია და იმუნიტეტი იცავს! **არადა, გოცირიძის მსგავს ნაძირალებს, რომლებმაც შევარდნაძესთან ერთად უზარმაზარი ფინანსური და პოლიტიკური მაქინაციები ჩაატარეს და საქართველოს შემნახველი სალაროები და ქართველი ხალხის ჯიბეები პირწმინდად ამოასუფთავეს, გუანტანამოს მსგავს ციხეში უნდა ისხდნენ და სამუდამო პატიმრობა ჰქონდეთ მისჯილი.**

**რომან გოცირიძე** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი იყო იმ უზარმაზარ მაქინაციაში, როცა შევარდნაძემ მამუკა ხაზარაძეს 1992 წლის აგვისტოში **„სახელმწიფო საინვესტიციო კორპორაცია“** შეაქმნევინა და ქართველი ხალხის ანაბრები **„გაახაზირებინა“.** ამიტომაც იყო, რომ **გოცირიძე,** რომელიც სტუდქალაქში ოლია მათხოვარივით ცხოვრობდა და არავითარი სახსარი არ გააჩნდა, გადატრიალების შემდეგ უკვე დიდი ქონების პატრონი გახდა...

**კუპონი,** როგორც შევარდნაძის წყეული ეპოქისა და დაქცეული ეკონომიკის სიმბოლო, სწორედ იმ **რომან გოცირიძის** „შემოქმედების ნაყოფია“, რომელიც დღესაც არ ცხრება, რათა კანალიზაციის ჭაში დარჩენილი ფეკალიასავით ზედაპირზე იტივტივოს!

ლევან ხაბეიშვილმა ნაცსექტიდან რომ „გაარომან-გააკუპონა“, ფაქტია, მაგრამ კიდევ რამდენ პარტიას გამოიცვლის **რომან გოცირიძე** და საითკენ „წარომან-წაკუპონდება“, ღმერთმა უწყის!



## შევარდნაძის ნაშობი და ხაბეიშვილის გაგდებული!

ედუარდ შევარდნაძის ზურგს უკან – ახალგაზრდა რომან გოცირიძე

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**დავით უსუფაშვილი**
*„ლელო — პარტნიორობა საქართველოსთვის“ თავმჯდომარე*

დასავლეთთან ურთიერთობის მქონე **არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიაზე გამჭვირვალე** მე ამ ქვეყანაში არავინ არ ვიცი.

„რეზონანსი“



**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*

**სააკაშვილის** ციხეში ყოფნა აწყობს ნაციონალურ მოძრაობას. **ნაციონალური მოძრაობა არის დამთავრებული.**

„რეზონანსი“



**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*

წულუკიანის სახელს ასე დაიმახსოვრებს ისტორია — **„ჯალათია“!** გელათიდან **ჯალათებიც, წულუკიანებიც, მაჭლაჭუნებიც და ეშმაკებიც** უნდა განვდევნოთ.

ვინმემ დააანონსა მასშტაბური აქცია? **როცა დავაანონსებთ, დაგვთვალეთ,** ჩემო ძვირფასებო!

„TV პირველი“



**ვახტანგ მეგრელიშვილი**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*

როგორ შეიძლება **ადამიანს კლავდე, წელიწადნახევარი შენს ხელში იყოს და ვერ მოკლა.** თან ეს ყველაფერი ისე გააკეთო, რომ **მეორე მხარემ მტკიცებულებაც ვერ შექმნას** მილიონის დახარჯვის შემდეგ.

„აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი“



**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*

მოველით, რომ **ნაციონალური მოძრაობა თვითგანადგურების გზაზე სვლას გააგრძელებს** — აქციებზე 10-15 ადამიანზე მეტს ვერ აგროვებენ.

„ინტერპრესნიუსი“

***მას შემდეგ, რაც დაანონსდა, რომ იწყება პროცესი იმის გასარკვევად, თუ როგორ აღმოჩნდა გიული ალასანიას ხელში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსები და მიმდებარე ტერიტორია, ნაპრეზიდენტალი ტუსაღის დედამ განაცხადა:*** *„მაშინ იყო საშიშროება, რომ რუსები შემოსულიყვნენ. ეს იყო ერთგვარი ტაქტიკა იმ დროს, ასე ადვილად პრეზიდენტის ოჯახსა და ქონებას ვერ შეეხებოდნენ. ამიტომაც მოხდა ამ ქონების გადანაწილება ცნობად ადამიანებზე, რომ რუსებს არ წაეღოთ. რა, მარტო მე მაქვს, გგონიათ, 1 ლარად გადმოცემული? ან, სულ სახელმწიფო ქონება ხომ არ იქნებოდა?ისტორიას არ ახსოვს, რომ საქართველოს გადამრჩენელს, დამაარსებელს რაღაც კაპიკებზე ედავებოდნენ...“.* ***ᲓᲐᲗᲝ ᲝᲥᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, რომელიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თვითშემოქმედებითი კოლექტივების განვითარების ცენტრის ხელმძღვანელიცაა, იმედოვნებს, რომ გიული ალასანიას ტექნიკური უნივერსიტეტის მითვისებული კორპუსების დაბრუნება აუცილებლად მოუწევს:***

## „ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲛᲘᲨᲐ ᲙᲕᲓᲔᲑᲐᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲐᲠ ᲙᲕᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ!“





## ᲓᲐᲗᲝ ᲝᲥᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

# ᲓᲔᲓᲐ-ᲒᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲮᲐᲠᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲘᲜᲕᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲠᲩᲔᲑᲐ!

— იურისტები მუშაობენ და მალე დადებენ სათანადო დოკუმენტაციას, როგორ აღმოჩნდა გიული ალასანიას მფლობელობაში ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსები და მათი მიმდებარე ტერიტორია, ასევე იმ კლინიკის შენობა, რომლითაც სარგებლობდნენ საბურთალოს რაიონის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. **ᲒᲘᲣᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲑᲣᲗᲘ ᲘᲡᲔ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲛᲝᲔᲓᲐᲕᲝᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ ᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲡ ᲛᲝᲕᲤᲔᲜᲗ.** დედა-გიულიმ ეს ამბავი რომ გაიგო, ხალხს თვალში ნაცარი შეაყარა და დაგვცინა: **ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲤᲝᲠᲛᲔ, ᲠᲣᲡᲔᲑᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲔᲮᲓᲘᲜᲐᲗᲝ.** კითხვას ვსვამ — 2008 წელს რუსებს თბილისი რომ აეღოთ, დედა-გიულის სხვა შენობების ოკუპაცია არ დაედარდებოდა და მხოლოდ ამ კორპუსების ბედით შეწუხდებოდა, რომლებიც გადაიფორმა? ან რას ნიშნავს, რუსები ჩვენს ქონებას ვერ შეეხებოდნენო? რატომ ვერ შეეხებოდნენ, პუტინის მეგობრები არიან? ასე რომ, ამ ქალმა თავისი პირით აღიარა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოში არსებული მდგომარეობით ისარგებლა და ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსებს დაეპატრონა!

გიული ალასანიას ჰგონია, რომ ხალხს დასცინა და გაამასხარავა, მაგრამ მასხარა თვითონ არის და სხვების დაცინვა არ შერჩება. სტუდენტობასთან და პროფესორ-მასწავლებლებთან უსამართლოდ დაპირისპირება ჯერ არავის შერჩენია. **ᲕᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲗ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲩᲐᲕᲠᲗᲐᲕᲗ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲐ-ᲒᲘᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲬᲐᲠᲗᲛᲔᲣᲚ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲕᲘᲑᲠᲣᲜᲔᲑᲗ.** ამ სამართლებრივ ბრძოლაში გვიერთდებიან ამ ქალის მიერ მითვისებული კორპუსების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანები, რომლებიც გვეუბნებიან — თქვენთან ვართ, ამ ქალმა დაგვღალა, მისი ატანა აღარ შეგვიძლიაო!

**— გიული ალასანიამ განაცხადა — ჩემი შვილი საქართველოს გადამრჩენელი და დამაარსებელია, რაღაც კაპიკებზე ედავებიანო...**

— თავისი განცხადებებით მან საკუთარ თავს გამოუტანა განაჩენი. ცხადი გახდა, რომ 9 წლის განმავლობაში საქართველოს მართავდა არა მიხეილ სააკაშვილი, არამედ გიული ალასანია თავის ძმასთან — **ᲗᲔᲛᲣᲠ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ** ერთად. ეს ამაზრზენი ხალხი რამდენს ბედავს, ყველას კარგად გვახსოვს ამ ბიძა-დისშვილის სატელეფონო საუბარი და მათგან ქართველი ხალხის გინება. უკრაინის საგარეო დაზვერვის სამსახურის ყოფილმა თავმჯდომარემ, გენერალმა **ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲛᲐᲚᲝᲛᲣᲟᲛᲐ** პირდაპირ განაცხადა, რომ სააკაშვილი და პოროშენკო დაზვერვის თანამშრომლებად განიხილებოდნენ, მათთან უკრაინული სპეცსამსახურები მუშაობდნენ, რომლებიც „კაგებეში“ შედიოდნენო. აი, ამათზეა საუბარი და ახლა არავის სჯერა მათ მიერ დადგმული სპექტაკლების. ერთი წელია, ამბობენ, მიშა კვდებაო, თუმცა, არ კვდება და კარგადაც არის! საქმე იმაშია, რომ ეშინიათ, სააკაშვილმა იმათი სახელები არ დაასახელოს, ვინც საქართველოში ჩამოსვლა ურჩია და ასეთ სიტუაციაში ჩააგდო. ამ მხრივ მე ჩემი მოსაზრება მაქვს.

**— რა მოსაზრება?**

— მგონია, რომ სააკაშვილს საქართველოში ჩამოსვლა **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲐᲛ** ურჩია, რათა აქ მეორე ფრონტი გაეხსნა. **ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲙᲝᲕᲖᲘ ᲜᲐᲪᲐᲠᲨᲘ ᲩᲐᲣᲕᲐᲠᲓᲐᲗ, ᲐᲮᲚᲐ ᲔᲡ ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲗᲣ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲪᲝᲚᲗᲐᲜ — ᲚᲘᲖᲐ ᲘᲐᲡᲙᲝᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲓᲐᲜ ᲗᲘᲗᲡ ᲒᲕᲘᲥᲜᲔᲕᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲓᲔᲓᲐ-ᲒᲘᲣᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲜᲐᲧᲘᲓᲘ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲠᲔᲬᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲮᲠᲬᲜᲘᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ.**

ქრთამის აღების ფაქტზე არაერთი ევროდეპუტატია დაკავებული, ამიტომ მიხედონ თავიანთ ჩასვრილ საქმეს. ვერავითარი რეზოლუციით ვერ გვაიძულებენ სააკაშვილის გაშვებას, აეროპორტამდე ვერ მიაღწევს სააკაშვილი, თვითმფრინავით ვერ აფრინდება, ხალხი არ დაუშვებს მაგის გათავისუფლებას. ვეკითხები გიულის მიერ ნაყიდ ევროდეპუტატებს — ამართლებენ სააკაშვილის მიერ ხალხის ცემას, გირგვლიანის მკვლელობას და იმასაც, უგონოდ ნაცემი პატიმარი მორგში ცხედრებთან რადიატორზე მიბმული რომ ჰყავდათ? ტყუილად აქვთ **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** იმედი, კი უნდოდა, მაგრამ სააკაშვილს ვერ შეიწყალებს, რადგან მას კიდევ სხვა საქმეებზე ეკისრება პასუხისმგებლობა. რაც შეეხება არახამიას, უკრაინა თავზე ენგრევა და სააკაშვილისთვის იცლის? უკრაინას ქართველ ნაცებზე უარესი ხელისუფლება ჰყავს, მაგათი თავდაცვის მინისტრის მოადგილეს იმდენი ფული ჰქონდა მითვისებული, სახლიდან ტომრებით ძლივს გამოიტანეს.

**— ნაციონალური მოძრაობა 24 თებერვალს მიტინგს აანონსებს, რისი მოლოდინი უნდა ჰქონდეთ?**

— ნაცმოძრაობა შაპიტოს ცირკად გადაიქცა, რომელსაც ხაბეიშვილის სახით, სათავეში ახალი „რიჟიკა“ ჰყავს. სააკაშვილის პარტია დანგრეული და მომსპარია და 24 თებერვალს დაანონსებული მიტინგი არ გამოუვათ. ამ მწამებლებს ხელისუფლებაში არავინ დააბრუნებს, არ დაგვვიწყებია მათ მიერ ადამიანების ხოცვა და ქონების ჩამორთმევა. დედა-გიული რომ ამბობს, ქოშიგორაზე ნაკვეთი გავყიდე და ფული ისე ვიშოვეო, ქოშიგორაზე კვადრატული მიწის ნაკვეთი 60 დოლარი ღირს, რა ნაკვეთი ჰქონდა, რომ მილიონ დოლარად გაყიდა? ალბათ, ვიღაც აიძულეს, მილიონი გადაეხადა რაღაც ნაკვეთში — როგორც სხვა ობიექტებს ძალით აძენინებდნენ ადამიანებს და ბანკიდან კრედიტებს აღებინებდნენ.

**— ევროდეპუტატები, რომლებიც სააკაშვილის გათავისუფლებაზე ოხრავენ, მოითხოვენ ბიძინა ივანიშვილის დასანქცირებასაც...**

— უპირველესად, ბიძინა ივანიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს და მადლობას ვუხდი მას და მის ოჯახს ქართველი ხალხის ამ ურჯულოებისგან გათავისუფლებისთვის. ხალხმა ძალიან კარგად იცის მის მიერ საქართველოსთვის გაკეთებული უამრავი სიკეთის შესახებ და გიულის ნაყიდი ზოგიერთი ევროპარლამენტარის მუქარის არ ეშინია! ნაცებმა კი, ამ წურბელებმა და სისხლზე მოსიარულეებმა, ბიძინას თავი დაანებონ და მტრები და რუსების აგენტები თავიანთ პარტიაში მოიკითხონ. **ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲛᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ — ᲛᲐᲒᲐᲗ ᲜᲣᲦᲐᲠ ᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲝ, ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲘᲕᲘᲬᲧᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲓᲘᲐᲑᲔᲢᲘ ᲓᲐᲛᲛᲐᲠᲗᲔᲡ, ᲓᲚᲔᲨᲘ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲜᲔᲛᲡᲡ ᲕᲘᲙᲔᲗᲔᲑ.** მაკაროვის იარაღით თავში ჩარტყმით გამთიშეს, მცემეს და რომ არა ჩემი მეზობელი, რომელმაც გონწასული მიპოვა, ჩემი ოჯახი გარაჟში გარდაცვლილს მნახავდა. დედა-გიულიც გაოცებული იყო, ცოცხალი რომ დავრჩი. **ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲐᲕ ᲛᲐᲡ: ᲩᲔᲛᲜᲐᲘᲠᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲜ, ᲮᲝᲚᲝ ᲨᲔᲜᲜᲐᲘᲠᲔᲑᲛᲐ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲜ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲯᲐᲚᲐᲗᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲔ!**

*ესაუბრა*

***ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲮᲐᲛᲘᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ***

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲡᲝᲡᲝ ᲛᲐᲜᲯᲐᲕᲘᲫᲔ**
*ისტორიკოსი, ანალიტიკოსი*



სააკაშვილი და მისი კლანი **ფსიქიკურად შერყეული, მავნებელი, ბოროტი** ადამიანებისგან შედგება. საოცარი სასჯელი გვერგო — **მთელი ერი 20 წელია, ამ არანორმალურის და მისი სექტის დღის წესრიგით ცხოვრობს** და ბოლო ერთი წელია, **ᲛᲘᲨᲐ-ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ** კუჭ-ნაწლავის თავისებურებების უბადლო მცოდნე გახდა.

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“

**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲫᲐᲑᲘᲠᲐᲫᲔ**
*პოლიტიკური მიმომხილველი*



საზღვარგარეთ გაუშვან კი არა, სულ ნაციონალების ოფისში რომ მიიყვანონ და დასვან, **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ მაინც ველარ შეძლებს საპროტესტო ტალღის აგორებას.** უფრო მეტსაც გეტყვით — გათავისუფლების შემთხვევაში მისი რეიტინგი უფრო დაეცემა. **ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ რთულ თამაშს ეთამაშება ოპოზიციას და ყველა მოსახვევში უგებს.**

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲐᲠᲔᲨᲘᲫᲔ**
*უსაფრთხოების ექსპერტი*



ნაცმოძრაობამ ის მოახერხა, რომ ჯერ **საკუთარ დღის წესრიგზე ააწყო მთელი ოპოზიცია და მერე საკუთარი პარტია ჩამოშალა.** ახლა იმ პარტიის ლიდერები, რომლებიც ნაციონალებთან თანამშრომლობდნენ, თავში ირტყამენ ხელს, ეს რა მოგვივიდაო.

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“

**ᲐᲙᲐᲙᲘ ᲑᲝᲑᲝᲮᲘᲫᲔ**
*„ევროპული საქართველოს“ წევრი*



**მე არ ვიცი, დღეს ვის უფრო აწყობს მიშას სიკვდილი, რომ შემდეგ მისი სახელით ისარგებლონ.** მე ვიცი, **ᲛᲘᲨᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** თუ ჯანზე მოვა, ის აუცილებლად დაუპირისპირდება ნაციონალური მოძრაობის ამ ხელმძღვანელობასაც და სხვა ხელმძღვანელობასაც.

„TV ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ“

№12 (180) ★ 2023 წლის 20 თებერვალი ★ გამოდის 2003 წლიდან

# თუ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს სუვერენიტეტს კოლექტიურმა ორჯონიკიძემ გადაუარა, დღეს უკვე კოლექტიური კუბილიუსი გვიტევს!

ნანა კაკაბაძე

***საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მუდმივად უხდებოდა დიდი იმპერიების ინტერესთა გათვალისწინება და არცთუ იშვიათად ჩვენი ქვეყანა სწორედ იმპერიათა შორის არსებული წინააღმდეგობების გამოყენებით გადიოდა ფონს.***



ჩვენს წინაპრებს გულზე არ ეხატებოდათ რომი, სპარსეთი, ბიზანტია, არაბები, მონღოლები, თურქები თუ რუსები, მაგრამ სხვადასხვა ეპოქაში ქართველი მეფეები ყველა ამ ქვეყანას, საჭიროებიდან გამომდინარე, ხან ჯარით ეხმარებოდნენ და ხანაც მათ ინტერესებს სწირავდნენ სიცოცხლეს, რომ აღარაფერი ვთქვათ, როგორ ეფიცებოდნენ იმპერიათა მმართველებს სიყვარულსა და ერთგულებას სამშობლოსა და ერის გადასარჩენად.

**ასე გამოიწრთო ისტორიულად ქართველების ბრძოლისუნარიანობა, რაც განაპირობებდა სხვა ქვეყნების სამხედრო ნაწილებში მებრძოლი ქართველი მეომრების სახელოვან წარმატებებს. ბევრი მათგანი დიდი იმპერიების გმირებადაც იქცა.**

დაახლოებით 80 წლის წინათ ქართველები მეორე მსოფლიო ომში რუსეთის ჯარში იბრძოდნენ, რადგან სწამდათ, რომ საკუთარი სამშობლოს ინტერესებს ემსახურებოდნენ. ბევრი ქართველი მეომარი იმხანად გერმანელი ფაშისტების მხარეზეც იბრძოდა და მათ უმრავლესობას გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ გერმანელები სსრკ-ის დამარცხების შემდეგ საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდნენ. უფრო მეტიც, **მეორე მსოფლიო ომში მონაწილეთა შვილები და შვილიშვილები 40 წლის წინათ ავღანეთში იხდიდნენ „ინტერნაციონალურ ვალს“ და მაშინაც ბევრს სწამდა, რომ ამით საქართველოს ინტერესებს იცავდა.**

ოციოდე წლის წინათ, ქართველმა ჯარისკაცებმა აშშ-ისა და მისი მოკავშირეების სამხედრო მოქმედებებში მიიღეს აქტიური მონაწილეობა და მათი რწმენითაც, ისინი ამით ჩვენი სამშობლოს ინტერესებს ემსახურებოდნენ. **შეიძლება, ცოტა უცნაურად ჟღერს, მაგრამ ამასაც „ინტერნაციონალური ვალის“ მოხდას უწოდებენ, ოღონდ ამჯერად ამ „ვალს“ ისინი არა კომუნისტური იდეალების, არამედ დემოკრატიული სამყაროს ინტერესების დასაცავად იხდიან.**

**ქართველ მეომართა ნაწილს დღესაც ღრმად სწამს, რომ უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლით სამშობლოს ინტერესებს იცავს.**

ყველა დიდი იმპერია გვარწმუნებდა და დღესაც გვარწმუნებს, რომ ისინი მხოლოდ ჩვენი ინტერესებისათვის ზრუნავენ, თუმცა, ცხადია, რომ ყველა ქვეყნისათვის მთავარი პრიორიტეტი საკუთარი ინტერესებია. ასე რომ, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ არავინ აღგვიქვამს სრულად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ!

**ასეთ სიტუაციაში უმთავრესია, მკაცრად განვსაზღვროთ საკუთარი სუვერენიტეტის დათმობის ზღვარი!**

რუსეთიც კი, ჩვენგან „ახალი რეალობის“, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე დამოუკიდებელი ქვეყნების აღიარებას არ მოითხოვს, მისი მოთხოვნაა, მის საზღვართან ნატო არ მივიყვანოთ!

**რაც შეეხება აშშ-სა და მის დასავლელ მოკავშირეებს, ჩვენი ქვეყნისადმი მათი მოთხოვნები** (ე. წ. რეკომენდაციები) **სულ უფრო მწვავე ხასიათს იძენს. პრაქტიკულად, კომუნისტური ცეკას სტილში, მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნები ულტიმატუმისა და მუქარის ქვეტექსტებს შეიცავს.**

ორი ათეული წელია, კოლექტიური დასავლეთის მესვეურები ჯიუტად ცდილობენ სააკაშვილისა და მისი ანტიდემოკრატიული რეჟიმის დაცვას, რაც იქცა კიდეც მთავარ წყალგამყოფად ქართველ ხალხსა და დასავლეთს შორის.

**არასწორად მოფიქრალი დასავლეთის ეს ნაწილი, ფაქტობრივად, რადიკალურად უპირისპირდება არამარტო ქართველი ხალხის უმრავლესობის პოზიციას, არამედ ფეხქვეშ თელავს იმ ზოგადსაკაცობრიო, დემოკრატიულ ღირებულებებს, რომელთა გამოც ჩვენი ხალხი ევროპისკენ მიისწრაფვის.**

დასავლური სამყაროს მესვეურები დღესაც გვეუბნებიან, თითქოს სააკაშვილის მმართველობის დროს დაცული იყო დემოკრატია და ადამიანის უფლებები, **რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველმა ხალხმა ევროპულ ღირებულებებად უნდა აღიაროს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, პატიმართა მასობრივი წამება, კერძო საკუთრების ხელყოფა, ხელისუფლების მხრიდან წარმოებული რეკეტი, ელიტარული კორუფცია, უკანონო მოსმენები, მოქალაქეებში ტოტალური შიშის დათესვა, უსამართლო სასამართლო და ა. შ.**

დასავლელი პარტნიორები ჩვენგან დაჟინებით მოითხოვენ სააკაშვილის კრიმინალური მმართველობის რეაბილიტაციას და გვეუბნებიან, რომ, თუ ევროპულ ოჯახში გაწევრიანება გვინდა, ასე უნდა მოვიქცეთ.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ **დღეს, რუსეთის წითელი არმიის შემოჭრისა და გასაბჭოების 102 წლისთავზე, საქართველოს კვლავ დაპყრობის — პოლიტიკური, მორალური და სულიერი ოკუპაციის საფრთხე ემუქრება, ოღონდ ამჯერად კოლექტიური სერგო ორჯონიკიძის მაგივრად კოლექტიური ფოტიგა-კუბილიუსი გვიტევს!**

თუ 102 წლის წინათ საქართველოს სუვერენიტეტს კოლექტიურმა **სერგო ორჯონიკიძემ** გადაუარა, დღეს უკვე კოლექტიური ფოტიგა-კუბილიუსი გვიტევს!

ასეთ პირობებში, ნამდვილ ევროპულ ღირებულებათა დამცველად სწორედ საქართველოს ხელისუფლება გამოდის და, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, **მას უწევს, ევროპული ღირებულებები დაიცვას თვით ევროპელ პოლიტიკოსთაგან, რომლებიც ამ ღირებულებებს მხოლოდ პოლიტიკური ჟონგლიორობისათვის იყენებენ.** ამაზე მიუთითებს ევროპულ სტრუქტურებში გამოაშკარავებული კორუფციის ფაქტებიც და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართული უსამართლო, არაკანონიერი ქმედებებიც. **თუნდაც ის რად ღირს, რომ დასავლურ მედიაში უაპელაციოდ იბლოკება ივანიშვილის პოზიცია შვეიცარიული ბანკის მიერ მის წინააღმდეგ წარმოებული წარმოუდგენელი უკანონობის შესახებ.**

ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილთან ბრძოლა საქართველოს რეალური დამოუკიდებლობისა და ევროპული მისწრაფებების წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს, ვინაიდან, დღევანდელ საქართველოში ივანიშვილის პიროვნება, იმის მიუხედავად, არის თუ არა ხელისუფლებაში, დიდწილად განაპირობებს მშვიდობას, დემოკრატიას, ადამიანის უფლებების დაცვას, რეალური ევროპული ღირებულებების დამკვიდრებას და, რაც მთავარია, სააკაშვილის ანტიდემოკრატიული რეჟიმის რეაბილიტაცია-რეანიმაციის შეუძლებლობას.

**გამოდის, რომ სწორედ ამის გამო ებრძვიან ივანიშვილს თავგამოდებით საქართველოს გარე თუ შიდა მტრები და ამიტომაც ემხრობა მას საქართველოს მოქალაქეთა უდიდესი ნაწილი!**



სახიფათო პარალელები ★

**თუ 102 წლის წინათ, 1921 წლის 25 თებერვალს, კოლექტიურმა სერგო ორჯონიკიძემ თბილისის თავზე წითელი დროშაააფრიალა, იმედია, დღეს კოლექტიურ ფოტიგა-კუბილიუსებს საქართველოს პოლიტიკურ-მორალური ოკუპაცია არ გამოუვათ!**

# სად იყო სტალინი 1921 წლის 25 თებერვალს, როცა ბოლშევიკური რუსეთი თბილისში შემოვიდა?

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი 1921 წლის 25 თებერვლის ტრაგედიას იხსენებს და აცხადებს, რომ სტალინი, რომელსაც საქართველოს გასაბჭოებას არავინ ეკითხებოდა, იმ გარდაუვალ ისტორიულ შედეგს პრაგმატულად მიუდგა, თუმცა, ეს თარიღი მის ბიოგრაფიას ყველაზე დიდ ტვირთად აწევს:***


საბჭოთა საოკუპაციო ჯარი თბილისში. 1921 წლის 25 თებერვალი

## ისტორიკოსის თვალით

— სწორედ 25 თებერვალს დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა საქართველო და ორივე ქვეყანა აბსოლუტურად თანაბარი უფლებებით ერთიანი სამოკავშირეო სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ, თუმცა, ჩვენთან ამ ფაქტს ყოველთვის აღიქვამდნენ და აღიქვამენ ოკუპაციად. ეს ასეა ახლაც და ასე იყო მაშინაც, როცა სტალინის სიცოცხლეში საქართველოში მხოლოდ წითელდროშოვანი ქართული არმია და ქართული დივიზიები იდგნენ. რუსის ჯარი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სისასტიკით განთქმულ მერვე პოლკსა და სასაზღვრო ჯარს, რომელიც „ენკავედეს“ ექვემდებარებოდა, ფაქტობრივად, ქვეყანაში არ იყო. **მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი საქართველო-თურქეთის საზღვართან, მარუხთან, მამისონთან, სანჭაროსთან და ყველგან, სადაც კი გერმანელებთან შეტაკებები მოგვიხდა, მხოლოდ ქართველები იდგნენ და არა — რუსები.**

**— სად იყო სტალინი 1921 წლის 25 თებერვალს, როცა ბოლშევიკური რუსეთი თბილისში შემოვიდა?**

— სერგო ორჯონიკიძისგან განსხვავებით, სტალინი 1921 წლის 25 თებერვალს არც „შულავერის კომიტეტში“ ყოფილა და არც მე-11 არმიის შტაბში. იგი გახლდათ მოსკოვში და ეკავა ორი არარსებული და ფიქტიური სამინისტროს ხელმძღვანელის თანამდებობა — იყო ეროვნებათშორისი საკითხების სახალხო კომისარი და სათავეში ედგა ე.წ. **„მუშ-გლეხინს“, ანუ სახალხო კონტროლს.** ამ სამინისტროებში სტალინს არც თანამშრომლები ჰყავდა და არც ფუნქციები ჰქონდა, რადგან ორივე უწყება მხოლოდ სიმბოლურად არსებობდა. ეს სამინისტროები ლენინმა სტალინს შეუქმნა იმისთვის, რათა სახკომსაბჭოში, ანუ მინისტრთა კაბინეტში თავისი ერთგული კაცი ჰყოლოდა. უფრო უპრიანი იქნება, თუ შეკითხვას ასე დავსვამთ — რას წარმოადგენდა სტალინი1921 წლის 25 თებერვალს? პასუხი მარტივია — **არაფერს!** 1921 წლის 25 თებერვალს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტბიუროს წევრი იყო, სტალინს კრემლში არავინ არაფერს ეკითხებოდა და მოსკოვში პარადი მიჰყავდათ, პირველ რიგში, **ტროცკის,** რომელმაც „წითელი არმია“ შექმნა, **ლენინს, ლევ კამენევს, გერშელ ზინოვიევს და ალექსეი რიკოვს,** რომელიც საბჭოთა რუსეთის — შინაგან საქმეთა პირველი მინისტრი, ხოლო 1921-1923 წლებში სახკომსაბჭის თავმჯდომარის, ანუ ლენინის მოადგილე გახლდათ.

**— თუ 1921 წლის 25 თებერვალს სტალინი კრემლში არაფერს წარმოადგენდა, მაშინ წყეულმა სერგო ორჯონიკიძემ მაინცდამაინც ასეთ უავტორიტეტო კაცს თბილისიდან რატომ უპატაკა — „მოსკოვი. კრემლი. ლენინს, სტალინს! თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს! გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ ანდა მანამდე სტალინმა რატომ გაუგზავნა სერგო ორჯონიკიძეს დეპეშა — „დასტურია, შეუტიე, აიღე ქალაქი!“**

— ამ დეპეშების ნამდვილობაში ძალიან მეპარება ეჭვი, ეს უფრო ყურით მოთრეული ტექსტებია, რადგან, პროტოკოლის თანახმად, სერგო ორჯონიკიძეს პატაკი სტალინისთვის კი არა, ლენინისთვის, ლეიბა ბრონშტეინ-ტროცკისთვის ანდა სერგეი კამენევისთვის უნდა ჩაებარებინა. **ლენინი** მაშინ საბჭოთა მთავრობის მეთაური იყო, **ტროცკი** — საბჭოთა რუსეთის „წითელი არმიის“ მამა-დამფუძნებელი და სამხედრო მინისტრი, ხოლო მეფის პოლკოვნიკი **სერგეი კამენევი** — უშუალოდ სამხედრო ოპერაციების მეთაური, რომელიც პოლიტიკოს **ლევ კამენევში** არავითარ შემთხვევაში არ უნდა აგვერიოს. აი, ამ სამი კაცისთვის უნდა გაეგზავნა ნაძირალა სერგო ორჯონიკიძეს პატაკი და არა სტალინისთვის! ამიტომაც მგონია, რომ **სერგო ორჯონიკიძის** მიერ თბილისიდან სტალინისთვის მოსკოვში გაგზავნილი დეპეშა, რომლითაც მან ბელადს საქართველოს გასაბჭოება ახარა, გაყალბებულია და სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს! კიდევ ერთხელ ვიმეორებ: სერგო ორჯონიკიძე იყო საქართველოს რევკომის თავმჯდომარე და ის ანგარიშვალდებული გახლდათ რუსეთის რევკომის თავმჯდომარის **ტროცკის** წინაშე, ხოლო მე-11 არმიის სარდალი, თბილისელი გერმანელი **ჰეკერი,** კომპარტიის წევრი საერთოდ არ ყოფილა და ანგარიშვალდებული გახლდათ პოლკოვნიკ **სერგეი კამენევის** წინაშე. რაც შეეხება ვითომდა სტალინის მიერ გაგზავნილ დეპეშას სერგო ორჯონიკიძისადმი — **„დასტურია, შეუტიე, აიღე ქალაქი!“** — იგი გამოჩნდა პერესტროიკის პერიოდში და დარწმუნებული ვარ, გაყალბებულია!

**— რა გაძლევთ ამ განცხადების საფუძველს?**

— ამ განცხადების საფუძველს მაძლევს სტალინის დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და, ზოგადად, ეროვნული მოძრაობისადმი! ბევრმა არ იცის, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დაწყებამდე დაახლოებით ათი დღით ადრე სტალინმა განცხადება დაწერა და ყველანაირი თანამდებობა დატოვა — დათმო პოლიტბიუროს წევრობაც და პარტიის ცეკას გენერალური მდივნობაც! მთელი ორი თვის განმავლობაში პოლიტბიუროში ყველაზე გავლენიანი ორი პიროვნება — **ლევ კამენევი და გერშელ ზინოვიევი** სტალინის ამ განცხადებას არ აკმაყოფილებდნენ და ხელს არ აწერდნენ. მათ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება — სტალინი ორი თვით გაეშვათ შვებულებაში და შემდეგ განეხილათ ეს საკითხი, ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით თუ განვსჯით, 1924 წლის აგვისტო-სექტემბერში, როცა საქართველოში სისხლის გუბეები იდგა და „ჩეკისტები“ აჯანყებულებს კარდაკარ დასდევდნენ, სტალინი ყველაფერს ჩამოშორებული და გადამდგარი იყო, რათა ქართველების სისხლში ხელების გასვრა არ დაბრალებოდა!

**— ეგ ვერაფერი გამოსავალია! იღონა სტალინმა რამე, რათა 1924 წელს საქართველოში ის უბედურება არ მომხდარიყო?**

— სტალინმა ძალიან კარგად იცოდა, რომ მას შემდეგ, რაც 1923 წლის მაისში „სამხედრო ცენტრის “ წევრები დააპატიმრეს და საფრანგეთიდან საიდუმლო ვითარებაში ჩამოსული **ვალიკო ჯუღელიც** დაიჭირეს, 1924 წლის აჯანყება განწირული იყო. მომავალმა ბელადმა თავისი ცოლისძმა **ალიოშა სვანიძე** ბერლინში მიაგზავნა ნოე ჟორდანიას დევნილი მთავრობის წარმომადგენლებთან და შეუთვალა — **„ჩეკამ“ ყველაფერი იცის, ხალხი არ ააჯანყოთ, თორემ დიდი სისხლი დაიღვრებაო!** საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ სტალინის ეს გაფრთხილება ყურად არ იღო. ამის შემდეგ, აჯანყებამდე კარგა ხნით ადრე, ისევ და ისევ სტალინის მითითებით, ქართულ პრესაში დაიბეჭდა **ვალიკო ჯუღელის მოწოდება** ხალხისადმი — **ძმებო, გაყიდულები ვართ, არ აჯანყდეთო!** არც ამან გაჭრა და 1924 წლის 29 აგვისტოს ავანტიურისტებმა ხალხი მაინც ააჯანყეს, რაც გახლდათ აბსოლუტური სიგიჟე, რადგან, თუ მაინცდამაინც ეს უნდა მომხდარიყო, აჯანყება უნდა დაწყებულიყო 28 აგვისტოს, მარიამობას და არა მეორე დღეს, როცა მთელი საქართველო ნაბახუსევზე იყო... მაგრამ „ჩეკამ“ და, უპირველეს ყოვლისა, ძერჟინსკის მოადგილე **მოგილევსკიმ,** ასევე სომეხმა **მისნიკიანმა,** ანუ **მიასნიკოვმა და ათარბეგოვმა,** რომლებიც სწორედ ამ აჯანყების აღსაკვეთად გადმოისროლეს საქართველოში თავიანთ კაციჭამიებთან ერთად, ჭიათურასა და მის შემოგარენში ააჯანყეს თავიანთი აგენტები, რომლებიც ასე უხვად ჰყავდათ ჩანერგილი მანგანუმის საწარმოებში. მიუხედავად საშინელი წარუმატებლობისა და გარემოებისა, რომ 1924 წლის აჯანყებას თავიდან ბო-

## „ვეკითხები მთელ საქართველოს –

**ყარსის ზავზე საბჭოთა საქართველოს მთავრობამ რომ მოაწერა ხელი და თურქეთს იმდენი მიწები დაუთმო, რატომ არ გამოვიდა მოსახლეობა ქუჩაში?“**



ოსმალეთისა და საქართველოს დელეგაციების ხელმძღვანელები ყარსის მოლაპარაკებებში – ქიაზიმ ქარაბექირ-ფაშა და შალვა ელიავა

# „1924 წლის აგვისტოს აჯანყების დაწყებამდე დაახლოებით ათი დღით ადრე სტალინმა განცხადება დაწერა და ყველანაირი თანამდებობა დატოვა!“

## სვიმონ მასხარაშვილი:

## სერგო ორჯონიკიძის მიერ თბილისიდან სტალინისთვის მოსკოვში გაგზავნილი დეპეშა გაყალბებულია!



იოსებ სტალინი და სერგო ორჯონიკიძე



ლომდე „ჩეკა“ მართავდა, მთელი ერთი თვის განმავლობაში საქართველოს მესამედ ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლება მაინც დაემხო და ბოლშევიკებმა პოზიციების აღდგენა ძლივს შეძლეს. რაც შეეხებათ ამიერკავკასიის „ჩეკას“ თავმჯდომარეს, ჯალათ **სოლომონ მოგილევსკის,** ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ალექსანდრე მიასნიკოვსა** და ამიერკავკასიის მუშურ-გლეხური ინსპექციის სახკომს **გიორგი ათარბეგოვს,** 1925 წლის 22 მარტს მათ ქართველმა მფრინავმა **ამბაკო სალარაძემ** გამოუტანა განაჩენი, როცა საკუთარი სიცოცხლეც გაწირა, მაგრამ გერმანული თვითმფრინავი „იუნკერს-13“, რომლითაც ეს სამი ლეშიჭამია სოხუმში თათბირზე მიჰყავდა, დიდუბის თავზე განგებ ჩამოაგდო და ამით 1924 წელს რეპრესირებულთა სისხლი აიღო.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ 1924 წლის აჯანყება და ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოძრაობა ავანტიურა იყო?**

— 1924 წლის აჯანყება თავიდან ბოლომდე ავანტიურა იყო! აი, მაგალითად, 1922 წელს **როსტომ მუსხელიშვილი** ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოძრაობას სერიოზულ ავანტიურად განიხილავდა და ამის შესახებ წერდა კიდეც. სხვათაშორის, 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, მთელი ორი კვირის განმავლობაში, ქაქუცა ჩოლოყაშვილი საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის **საშა გეგეჭკორის** სახლში, დღევანდელი ქიაჩელის ქუჩაზე, იმალებოდა. **სწორედ საშა გეგეჭკორმა გადაიყვანა ქაქუცა და მისი რაზმი საზღვარზე, რაც მას მოგვიანებით სიცოცხლის ფასად დაუჯდა.** მოგეხსენებათ, საშა გეგეჭკორი ლავრენტი ბერიას ცოლის **ნინა გეგეჭკორის** ბიძა და საქართველოს მენშევიკური მთავრობის წევრ **ევგენი გეგეჭკორის** მკვიდრი ბიძაშვილი იყო. საქართველოს მთავრობამ, რომელსაც ქვეყნის დასაცავად საკმარისზე მეტი ძალები გააჩნდა, 1921 წლის თებერვალში თავის მატარებელს გაასწრო და 1924 წელს რომელი წარმატებული აჯანყება უნდა მოეწყო? **ყველა ბრძოლა 1921 წლის თებერვალში ჩვენებმა მოიგეს, მაგრამ ჟორდანიასა და გიორგი კვინიტაძის ღალატის გამო თბილისი მაინც დათმეს.** 1918-1921 წლებში ჩვენზე ბევრად სუსტი ფინეთის დაპყრობა რუსეთმა ვერ შეძლო. იგივე მოხდა ბალტიის რესპუბლიკებშიც, ხოლო პოლონელებმა რუსებს საერთოდ კისერი მოატეხინეს 1920 წელს.

**1924 წლის აჯანყება თავიდან ბოლომდე კრემლის სპეცსამსახურების მიერ იყო პროვოცირებული და ამას წყალი არ გაუვა.** სტალინმა სერგო ორჯონიკიძე 1924 წლის აჯანყების შემდეგ საქართველოში ჩატარებული რეპრესიების გამო ტურის ხვრელში შეაძვრინა და ქართველი ერი გაამართლა — 1921 წელთან შედარებით ქვეყნის ეკონომიკა ორჯერ არის დაცემული, ხალხს ჰქონდა უკმაყოფილების საკმარისი საფუძველი და ნაცვლად იმისა, ადამიანებთან გემუშავათ და გვერდში დაგეყენებინათ, ყველაფერი გააკეთეთ, რათა საქმე სისხლისღვრამდე მისულიყო! რუსმა ისტორიკოსმა **იური ჟუკოვმა** ეს დოკუმენტები თავის წიგნში შეიტანა და სტალინის ეს წერილი გაასაჯაროვა.

**— რატომ არ გამოხატა სტალინმა პროტესტი საქართველოს გასაბჭოების გამო?**

— სტალინი იყო პრაგმატიკოსი და რა აზრი ექნებოდა პროტესტს, რომლის შედეგიც აუცილებლად ნულოვანი იქნებოდა? **ახლა მე ვეკითხები მთელ საქართველოს — ნოე ჟორდანიამ და გიორგი კვინიტაძემ თბილისი რომ ჩააბარეს და 1921 წლის თებერვალ-მარტში მესხური მიწები თურქეთს გადასცეს, ამის თაობაზე სტალინს რომ პროტესტი გამოეთქვა და ყვირილი დაეწყო — პოლიტბიუროდან მივდივარო! — რა შედეგს მოიტანდა?**

დავუშვათ, სტალინი მოღალატე იყო, მაგრამ 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებით და 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ზავით, საქართველომ უზარმაზარი ტერიტორიები თურქეთს რომ გადაულოცა, თბილისში, ქუთაისში, ბათუმში ან სადმე ერთი საპროტესტო მიტინგი მაინც გამართულა და ხალხს ხმა ამოუღია? და, საერთოდ, მაშინდელ ქართულ პრესაში ამის შესახებ ვინმემ რამე დაწერა და უკმაყოფილება გამოთქვა? ყარსის ზავზე საბჭოთა საქართველოს მთავრობამ, როგორც იურიდიულად დამოუკიდებელმა ქვეყანამ რომ მოაწერა ხელი და თურქეთს იმდენი მიწები დაუთმო, რატომ არ გამოვიდა საქართველოს მოსახლეობა ქუჩაში, რატომ არ მოითხოვა იარაღი და არ დაიცვა თავისი მიწა? და კიდევ:

**1922 წლის სექტემბერში რუსეთის კომპარტიის კავკასიის ბიუროს სხდომაზე ბიუროს თავმჯდომარე სერგო ორჯონიკიძემ საქართველოს სამი რაიონი – ზაქათალა, კახი და ბელაქანი აზერბაიჯანს რომ გადასცა, ამის გამო ან რეგიონში, ანდა თბილისში საპროტესტო აქციები და მიტინგები გაიმართა?**

ამიტომ, როცა ვინმეს ქვას ესვრი, უცოდველი უნდა იყო! სტალინს ვაგინებთ და 1921 წლის მარტსა და ოქტომბერში ერთი მიტინგის გამართვა და გაზეთში ერთი წერილის დაბეჭდვა დაგვეზარა, რათა თურქული ოკუპაცია გაგვეპროტესტებინა!

**„სტალინს ვაგინებთ და 1921 წლის მარტსა და ოქტომბერში ერთი მიტინგის გამართვა და გაზეთში ერთი წერილის დაბეჭდვა დაგვეზარა, რათა თურქული ოკუპაცია გაგვეპროტესტებინა!“**



საშა გეგეჭკორი



ქაქუცა ჩოლოყაშვილი

**„1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, მთელი ორი კვირის განმავლობაში, ქაქუცა ჩოლოყაშვილი საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის საშა გეგეჭკორის სახლში, დღევანდელი ქიაჩელის ქუჩაზე, იმალებოდა!“**

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*

*გაგრძელება იქნება*

# გიორგი ბეჟიტაშვილის პასუხები მკითხველს ★

## გრიგოლ რობაქიძე ერთ-ერთი პირველი ცნობილი მწერალი გახლდათ, რომელმაც ჰიტლერის ბიოგრაფია დაწერა, თანაც ფიურერის პიროვნება მთლიანობაში პოზიტიურად შეაფასა. ამასთან, იგივე რობაქიძე აბსოლუტურად უარყოფითად აფასებს სტალინს თავის რომანში „ჩაკლული სული“. თქვენი აზრით, რით არის განპირობებული სტალინსა და ჰიტლერს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გაკეთებული უცნაური არჩევანი, ნუთუ დიდი მწერალი უარყოფით თვისებებს მხოლოდ საბჭოთა ბელადის პიროვნებაში ხედავდა, ჰიტლერის ამავე თვისებებზე კი თვალს ხუჭავდა?

გრიგოლ რობაქიძე **არამხოლოდ დიდი მწერალი და ფილოსოფოსი, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათი მოვლენაც გახლავთ.** ამ მხრივ მისი შედარება რუს მწერალ **ვლადიმერ ნაბოკოვთან** შეიძლება, რომელიც ერთნაირად ბრწყინვალედ წერდა რუსულ და ინგლისურ ენებზე. **ნაბოკოვისგან** განსხვავებით, **რობაქიძე** სამენოვანი მწერალია — თავის უკვდავ ნაწარმოებებს იგი ქართულ, გერმანულ და რუსულ ენებზე ქმნიდა, თანაც — უმაღლეს ლიტერატურულ დონეზე.

რაც შეეხება არჩევანს **სტალინსა** და **ჰიტლერს** შორის, ანუ **ბოლშევიზმსა** და **ნაციონალ-სოციალიზმს** შორის, მას გარკვეულწილად თავად **რობაქიძე** განმარტავს ესეების კრებულის **„დემონი და მითი“-ს** წინასიტყვაობაში, რომელიც გერმანულ ენაზე გამოიცა 1935 წელს. სწორედ ამ წიგნმა გაახმაურა ქართველი მწერლის სახელი მთელ დასავლეთში. **„დედამიწის აღქმაში,** — წერს იგი, — **ორი მიმართულება გამოირჩევა. პირველი დედამიწის ფენომენში მხოლოდ მატერიას ხედავს. მარადიული უარყოფილია, ინდივიდუალური — დათრგუნული. ყველაფერი ანონიმურსა და უსახურ-ინტერნაციონალურზე დაიყვანება. ეს ძალები ყველგან არსებობენ, მაგრამ ძირითადად ისინი სსრკ-ში არიან კონცენტრირებული. მეორე დედამიწას დიდ დედად აღიქვამს.**










**ყველა მოვლენა ურღვევ კოსმოსურ ერთიანობაში განიხილება. თავის თავში ჩაკეტილი სასიცოცხლო სისტემები — რასა, ნიადაგი, გვარი და სხვა აქტიურდებიან და ამგვარად მტკიცდება სამყაროს მრავალფეროვნება. ადგილი აქვს ნაციის თვალსაზრისით მიწიერი ძალების განვითარების მცდელობას. ეს ძალები ყველგან მოქმედებენ, მაგრამ მათი საქმიანობის ძირითადი არეალი ამჟამად გერმანიაა.“** საინტერესო ახსნაა, რას იტყვით?

ახლა **სტალინის** პიროვნების შეფასებაზე ვისაუბროთ. იგი არამხოლოდ **„ჩაკლულ სულში“**, არამედ ხსენებულ კრებულშიც გვხვდება. თუკი რომანში **სტალინისადმი** მიძღვნილ თავს **„სტალინის ჰოროსკოპი“** ეწოდება, კრებულში ესსე **„სტალინი, როგორც აჰრიმანის სული“** ჰქვია. თანაც, როგორც თავად **რობაქიძე** აღნიშნავს, ეს თავი **„საგრძნობლად შეცვლილი, შევსებული და გაფართოებულია“.**

**აჰრიმანი** ზოროასტრიზმის უძველესი რელიგიის ბნელეთისა და ბოროტების ღმერთის ანჰრა-მაინიუს ბერძნული სახელია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **სტალინის** პიროვნების შეფასება აქაც უკიდურესად ნეგატიურია, მაგრამ, თუკი ესეს ყურადღებით წავიკითხავთ, დავინახავთ, რომ მიუხედავად **გრიგოლ რობაქიძის** მიერ **სტალინის** ფენომენისა და ბოლშევიზმის უარყოფისა, მთლიანობაში იგი ობიექტურად აფასებს სტალინის პიროვნებასა და მოღვაწეობას. ასე, მაგალითად, პირველად ლიტერატურაში სწორედ მან შეაფასა **სტალინი**, როგორც ბრწყინვალე მოკამათე, რომელმაც ყველა პოლიტიკური ოპონენტი დაამარცხა — **ტროცკი, ზინოვიევი, ბუხარინი** და სხვები. **„სტალინის სტიქია,** — წერს **რობაქიძე**, — **მასაა. მან კარგად შეისწავლა მუშათა კლასის მთვლემარე ფსიქოლოგია. ის მუდმივად აკვირდებოდა მასების გულისცემას, აღვიძებდა მათ პროლეტარულ ინსტინქტს, აწრთობდა მათ ნებისყოფას და საბრძოლო სულს.“** დამეთანხმებით, ასეთი რამ **სტალინზე** მის კარის ლიტერატორებსაც არ დაუწერიათ. აი, კიდევ: **„რევოლუციის საჭე სტალინს უპყრია ხელთ. იგი ზის კრემლში, ვითარცა გაადამიანებული რადიომიმღები და სსრკ-ის ყოველი კუთხიდან დაუსრულებლად იღებს რადიოტალღებს. მაგრამ სტალინი ამ ტალღების მარტოოდენ მიმღები კი არა, შემოქმედი და მსაჯულიც გახლავთ.“** და კიდევ ერთი, დასკვნითი შეფასება: **„იგი ასხივებს ფლუიდებს, რომლებიც თავზარს სცემს ადამიანებს და მიუწვდომელი კოლოსივით დასცქერის თავს ყველას — ბრმა და ცივი ბედისწერა საბჭოთა ხალხისა და, შესაძლოა, მთელი მსოფლიოსიც.“** ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს სიტყვები 1935 წელს დაიწერა, ანუ კარგა ხნით ადრე, ვიდრე **სტალინი** თავის ნებას არა მხოლოდ საკუთარ ქვეყანას, არამედ მთელ პლანეტას უკარნახებდა.

## ბევრ პუბლიკაციასა და მოგონებაშია ნახსენები ჩკალოვისადმი ბელადის სათუთი და მოსიყვარულე დამოკიდებულება. ჩკალოვის ვაჟის მემუარებში ისიც კი ამოვიკითხე, თითქოს სტალინი ჩკალოვს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ეჟოვის შემცვლელად ამზადებდა, რაც მისი დაღუპვის მიზეზი გახდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩკალოვის დაღუპვა ბერიამ მოაწყო, რომელიც ამ პოსტს თვითონ უმიზნებდა. ზოგი ავტორი წერს, რომ ჩკალოვი თავად სტალინმა მოიშორა, თუმცა, არ ხსნიან – რატომ. ხომ ვერ გაგვარკვევთ ამ საკითხებში?

ბევრი ლიტერატორისა და ისტორიკოსისთვის ტრადიციად იქცა 30-იანი წლების ბოლოს ნებისმიერი ადამიანის დაღუპვასა თუ ბუნებრივ სიკვდილში **სტალინის** და **ბერიას** დადანაშაულება. ამ ტრადიციას მემუარისტებიც მისდევენ.



**ვალერი ჩკალოვი 1904 წელს დაიბადა. 1924 წლიდან სამხედრო მფრინავი იყო, 1930 წლიდან — მფრინავი-გამომცდელი. 1936-37 წლებში** მან პირველმა განახორციელა პირდაპირი გადაფრენა **მოსკოვი-ჩრდილოეთ პოლუსი-ამერიკა, რისთვისაც საბჭოთა კავშირის გმირობა მიენიჭა. ჩკალოვი** მართლაც სარგებლობდა **სტალინის** განსაკუთრებული კეთილგანწყობით. საკმარისია ითქვას, რომ სიცოცხლეშივე (1937 წელს) **ჩკალოვის** სახელი ეწოდა მის მშობლიურ სოფელს, კუნძულს შორეული აღმოსავლეთის სანაპიროსთან და ქალაქ ორენბურგს (ხრუშჩოვმა ქ. ჩკალოვს ძველი სახელი დაუბრუნა). **1938 წლის დასაწყისში ჩკალოვს „კომბრიგის“** წოდება მიანიჭეს (შეესაბამება გენერალ-ლეიტენანტს). იგი **1938 წლის 15 დეკემბერს** დაიღუპა პოლიკარპოვის კონსტრუქციის ახალი გამანადგურებლის И-180-ის გამოცდისას. სიკვდილის შემდეგ **ჩკალოვს** განსაკუთრებული პატივი ერგო, რომელიც პოლიტბიუროს ყველა წევრს როდი ღირსებია — იგი კრემლის კედელთან დაკრძალეს, დაკრძალვისას ფერფლიანი ურნა სხვებთან ერთად **სტალინსაც** მოჰქონდა.

ახლა თქვენს დანარჩენ კითხვებს ვუპასუხებ. მფრინავის დაღუპვასთან **სტალინის** კავშირის ვერსიის განხილვას აზრი არ აქვს. მითუმეტეს, რომ იგი არცერთი ავტორის მიერ არ არის მოტივირებული. მართლაც, თუ მოიშორა — რა მიზეზით? სპორტული ინტერესის გამო? **სტალინისთვის** მსგავსი ბრალდებების წაყენება, სულ მცირე, არასერიოზულია.

შემდეგი სავარაუდო **„მკვლელი“ ლავრენტი ბერია** გახლავთ. აქ თითქოს მოტივიც არსებობს. **ბერია** კომისრის პოსტისაკენ მიილტვოდა, **სტალინი** კი ამ პოსტისთვის **ვალერი ჩკალოვს** ამზადებდა. მაგრამ, თუ ამ საქმეს ყურადღებით გამოვიკვლევთ, შევიტყობთ, რომ საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის პოსტიდან შინსახკომში გადასვლა **ბერიას** დიდი ენთუზიაზმით არ მიუღია. ამაზე საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს თავის მემუარებში **ხრუშჩოვი.** ესეც რომ არ იყოს, თარიღების შეჯერება ამ **„ვერსიიდან“** ქვას ქვაზე აღარ ტოვებს. **ლავრენტი ბერია** შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ **1938 წლის აგვისტოს** ბოლოს დაინიშნა. ამ დროისთვის **ეჟოვის** ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. იმავე წლის 8 დეკემბერს **ეჟოვი „საკუთარი თხოვნით“** გაათავისუფლეს და მის ადგილზე **ბერია** დაამტკიცეს. გეკითხებით, რატომ **ჩკალოვი** არა, თუკი, როგორც მისი შვილი ამტკიცებს, **სტალინი** სწორედ მის დანიშვნას აპირებდა? შეგახსენებთ, **ჩკალოვი 15 დეკემბერს** დაიღუპა.

ალარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ **ჩკალოვი** ბრწყინვალე მფრინავი-პროფესიონალი იყო, ხოლო **ბერია** — არანაკლებ ბრწყინვალე ჩეკისტი-პროფესიონალი, ორგანოებში სამსახურის მრავალწლიანი სტაჟით. უეჭველია, ბელადის არჩევანი სწორედ ამან განაპირობა. დიდი მფრინავი ავიაკატასტროფაში დაიღუპა, რაც არცთუ იშვიათად ხდებოდა. სხვათაშორის, ამ ავარიის შემდეგ ათობით ადამიანი, რომლებიც სტალინის შევარდნის უკანასკნელ გაფრენას ამზადებდნენ, დააპატიმრეს და გაასამართლეს, მათ შორის ავიაკონსტრუქტორი პოლიკარპოვი და საავიაციო ქარხნის დირექტორი უსაჩოვი.

## ამასწინათ რუსეთის ტელევიზიის ერთ-ერთი არხით ვნახე სიუჟეტი, რომელიც ოკუპირებულ კიევში გერმანელთა გუნდის და კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა შეხვედრის – ე. წ. „სიკვდილის მატჩის“ 60 წლისთავს ეძღვნებოდა. ფაშისტების მხეცობაზე ბევრი რამ არის ცნობილი, მაგრამ ნუთუ ეს ფეხბურთელები მხოლოდ იმიტომ დახვრიტეს, რომ გერმანელებს მოუგეს?

ე. წ. **„სიკვდილის მატჩი“** ისეთივე საბჭოთა მითია, როგორც, მაგალითად, **პავლიკ მოროზოვის** ისტორია **(დღესაც არავინ იცის, სინამდვილეში ვინ და რისთვის მოკლა ეს ბიჭუნა)**. კანონიზებული ვერსიის თანახმად, კიევის **„დინამოს“** დატყვევებულმა მოთამაშეებმა გერმანული სამხედრო ავიაციის გუნდთან ერთი მატჩი ჩაატარეს. მათ მსხვილი ანგარიშით მოიგეს და თამაშის შემდეგ თერთმეტივე დახვრიტეს. ამ ვერსიის მიხედვით გადაიღეს მხატვრული ფილმი **„მესამე ტაიმი“**. კიევის **„დინამოს“** სტადიონის კარიბჭესთან კი ომის შემდეგ გმირი ფეხბურთელების ჯგუფური ძეგლი აღმართეს. ცენტრში ცნობილი მეკარე **ტრუსევიჩია** ბურთით ხელში. ფილმსა და ბევრ პუბლიკაციაში განსაკუთრებით აღინიშნება, რომ **ტრუსევიჩმა,** რომელსაც კარგად ესმოდა ასეთი საქციელის სასიკვდილო საფრთხე, გერმანელი მსაჯის მიერ დანიშნული პენალტი აიღო. ფაქტობრივად, ამავე ვერსიას იმეორებდა თქვენ მიერ ხსენებული ტელესიუჟეტიც.

**რა არის აქ სიმართლე და რა — გამონაგონი?**

სიმართლეა, რომ გერმანელების მიერ კიევის აღებისთანავე **„დინამოს“** ფეხბურთელები დააპატიმრეს (უფრო ზუსტად, ინტერნირებული იქნენ). ისინი პურის ქარხნის ტერიტორიაზე ჰყავდათ (გარეთ გასვლის უფლების გარეშე) და ამუშავებდნენ, თუმცა, ქარხნის მოედანზე ვარჯიშის საშუალებას აძლევდნენ. გერმანელებთან **კიევლებმა** ერთი კი არა, რამდენიმე მატჩი ჩაატარეს ცვალებადი წარმატებით, თუმცა, შეხვედრათა უმრავლესობა გერმანელების დამარცხებით დამთავრდა, რაც ბუნებრივია — **კიეველები,** ფაქტობრივად, პროფესიონალები იყვნენ, **გერმანელები** კი — მოყვარულები არმიის საფეხბურთო კლუბებიდან. მატჩს, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, **გერმანელებმა „მატჩ-რევანში“** უწოდეს. იგი **1942 წლის ზაფხულში** გაიმართა და კიეველებისთვის მართლაც მძიმე ვითარებაში მიმდინარეობდა — **გერმანელი** ოფიცრებითა და ჯარისკაცებით სავსე, თითქოს დენით დამუხტული ტრიბუნები, **გერმანელი მსაჯი და საოკუპაციო ხელისუფლების ზეწოლა, რომელიც კიეველებისაგან მატჩის წაგებას მოითხოვდა. ტრუსევიჩმა,** ამის მიუხედავად, მართლაც აიღო **„სასიკვდილო“** პენალტი, მაგრამ **„მესამე ტაიმი“**, ანუ დახვრეტა ამ თამაშს არ მოჰყოლია. ფეხბურთელები პურის ქარხანაში დააბრუნეს, სადაც მუშაობა გააგრძელეს.



გამოდის, არავინ დაზარალებულა? არა, დაზარალდა, მაგრამ ეს მატჩიდან რამდენიმე თვის შემდეგ მოხდა. **ტრუსევიჩი** და **„დინამოს“ კიდევ** სამი მოთამაშე პარტიზანების მორიგი დივერსიის შემდეგ ათეულობით მშვიდობიან კიეველთან ერთად მძევლებად დახვრიტეს. არ არის გამორიცხული, რომ ამაში გარკვეული როლი მატჩ-რევანშზე მისმა საქციელმაც შეასრულა. გუნდის დანარჩენი ფეხბურთელებისთვის არაფერი დაუშავებიათ.

ყველაზე საინტერესო ამბები **კიევის** გათავისუფლების შემდეგ მოხდა. **„დინამოს“** ფეხბურთელები **„სიკვდილის შემდეგ“** გმირებად გამოაცხადეს, მაგრამ... ისინი ცოცხლები იყვნენ! და აი, დაიწყო მთელ უკრაინაში დინამოელთა ძებნა. საქმეში შინსახკომიც ჩაერთო, გასაგებია, რა მიზნით. ამ **„ნადირობამ“** ნაწილობრივ შედეგი გამოიღო — რამდენიმე ადამიანი აღმოაჩინეს. ისინი, სავარაუდოდ, შორეულ ბანაკებში დაიღუპნენ. სხვები საგულდაგულოდ შეინიღბნენ, გვარები გამოიცვალეს და წლების განმავლობაში გამუდმებით იცვლიდნენ ადგილსამყოფელს. ამჟამად **„მატჩ-რევანშის“ მონაწილე არცერთი კიეველი ფეხბურთელი ცოცხალი აღარ არის.**

აი, ასეთია ე. წ. **„სიკვდილის მატჩის“** მოკლე ისტორია.


გენერალისიმუსი
2023 წლის 20 თებერვალი. № 12 (180)

**სარედაქციო კოლეგია**
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com**
ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# მადლობა თინა ბოკუჩავას!

***თინათინ, იგივე თინა, იგივე თიკა ბოკუჩავა გახსოვთ? მოიცადეთ, ახლავე გაგახსენებთ: ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და მჩხავანა ნაცქალი, ახალგაზრდა დეპუტატი სააკაშვილის პარტიიდან, რომელიც თავისი უტიფარი განცხადებებით საზოგადოების დიდ ნაწილს ისე აღიზიანებდა, რომ ახალი თაობის მაია ნადირაძეც კი შეარქვეს.***



მაინც ვერ იხსენებთ?

ნაცდეპუტატი თინა ბოკუჩავა არამხოლოდ უტიფარი და ისტერიული პოლიტიკური განცხადებებით, არამედ უტიფარი და ისტერიული ქმედებებითაც გამოირჩეოდა. მაგალითად, 2017 წელს თავისუფლების მოედანზე გამართულ აქციაზე, როცა ნაცაქტივისტები თბილისის საკრებულოს შენობაში შეჭრას ლამობდნენ, პოლიცია კი ამის საშუალებას არ აძლევდა, **ბოკუჩავა ლითონის ჯებირზე აძვრა და ცდილობდა, სამართალდამცავთა კორდონს თავზე გადახტომოდა, თან პოლიციელებს უყვიროდა — „კოტიკო არ წაიყვანოთ“!**

კოტიკო თინა ბოკუჩავას ქმარია — **კოტე იოსელიანი,** ნაციონალური მოძრაობის წევრი და პარტიის ინტელექტუალური სახე, რომელმაც ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლისას განაცხადა — **იესო ქრისტეს ფულით სავსე ქისა ჩაუდეს და ისე დაიჭირესო!**

არც ახლა გაგახსენდათ თინა ბოკუჩავა?

**თინა ბოკუჩავა** ის ნაცდეპუტატია, რომელმაც 2021 წელს, პარლამენტში შინაგან საქმეთა მინისტრის **ვახტანგ გომელაურის** სტუმრობისას, მოინდომა, სპიკერატისათვის განკუთვნილ ზონაში, როგორც რომ დანა — კარაქში, ისე შეჭრილიყო და პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლის ოკუპაცია მოეხდინა, მაგრამ მანდატურებთან მოჭიდავე ნაცქალს ამის საშუალება შალვა პაპუაშვილმა არ მისცა. **პარლამენტის დღევანდელმა თავმჯდომარემ, რომელიც მაშინ რიგითი დეპუტატი იყო, ბოკუჩავას მკერდქვეშა არეში მკლავები სალტესავით შემოხვია, ბუმბულივით აიტაცა და სპიკერატის მაღლობიდან პლენარული სხდომის დაბლობზე ჩამოსვა.**

ვაჰმე, კიდევ არ მოგაგონდათ თინა ბოკუჩავა?

**თინა ბოკუჩავა** ის ნაცდეპუტატია, რომელიც სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრულ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებს — **აი, იმაში, ნაცები „პიჯაკების საქმედ“ რომ ნათლავენ, რეალურად კი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 9 000 000 ლარის გაფლანგვის საქმეა.** კერძოდ, ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდან თანხების არამიზნობრივ ხარჯვას ეხება, ვკითხულობთ (სტილი და პუნქტუაცია სრულად არის დაცული. რედ): *„ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნმა, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებმა ვ.კილაძემ, რ.ლაფაჩიშვილმა და ვ.ვარდოსანიძემ, შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ საქართველოს პრეზიდენტის დავალებით ვ.ვარდოსანიძის მიერ შპს „ზარაფხანაში“ შეძენილი სამკაული: კულონი — 1 ცალი და ცეპი — 1 ცალი, ნამდვილად გადაეცა პრეზიდენტს სტუმრის თიკა ბოკუჩავას დასასაჩუქრებლად“.* ***აქტი 2011 წლის 6 მარტით არის დათარიღებული და ხელს ზემოთხსენებული პირები აწერენ.***

ცხადია, ჩვენ არ ვიცით, **იმხანად 28 წლის თინა ბოკუჩავამ** რით დაიმსახურა ძვირფასი საჩუქარი პრეზიდენტ სააკაშვილისაგან, რომელმაც მას ოქროს ძეწკვი და კულონი არა საკუთარი ჯიბიდან, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე უყიდა, მაგრამ ფაქტია, რომ **ბოკუჩავამ** სააკაშვილისაგან ფეშქაშად არამხოლოდ სამკაული, არამედ ნაცმოძრაობის საპარლამენტო სიაში გამსვლელი ადგილი და დეპუტატის მანდატიც მიიღო.

ახლა მაინც თუ გაიხსენეთ თინა ბოკუჩავა?

**გაგახსენდათ, გაგახსენდათ! ჰოდა, ძალიან კარგი!**

**მაშინ ახლა იმასაც გეტყვით, რით დაიმსახურა ჩვენი მადლობა თინა ბოკუჩავამ!**

საქმე ის არის, რომ აგერ უკვე წელიწადზე მეტია, **ერთ დროს ჰიპერაქტიური თინა ბოკუჩავა,** რომელიც ტელეეკრანებიდან არ ჩამოდიოდა და საზოგადოებას გამუდმებით თვალში ეჩხირებოდა, **ერთბაშად გაქრა, დაიკარგა და აღარსად ჩანს** — არც ტელევიზორში გამოდის, არც პარლამენტის სხდომებზე დადის, არც ნაცმოძრაობის აქციებში მონაწილეობს, დეპუტატის მანდატს კლინიკა „ვივამედში“ სააკაშვილის მოსანახულებლადაც კი არ იყენებს და მონახულებას ვინ ჩივის, ბელადის მხარდამჭერ განცხადებებსაც კი აღარ აკეთებს.

**წინასაარჩევნო პერიოდი რომ იყოს, კაცი იფიქრებდა — ბოკუჩავა, როგორც ერთ-ერთი ოდიოზური და საზოგადოების გამღიზიანებელი ფიგურა, ნაცპარტიამ საგანგებოდ გადამალაო, მაგრამ საქართველოში არჩევნები ბოლოს 2021 წელს იყო, მომდევნო კი 2024 წლამდე არ იქნება.**

მაშ, სად და რატომ გაქრა თინა ბოკუჩავა?

რის გამო ჩამოშორდა მგზნებარე პოლიტიკურ ცხოვრებას?

რა მიზეზით აღარ ამაგრებს ბოლო დროს ერთობ მორღვეული და მოფახფახებული მშობლიური ნაცპარტიის რიგებს?

**დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ შესაძლოა, ამის მიზეზი თინა ბოკუჩავას პირად ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება იყოს — მას 2022 წლის შემოდგომაზე ტყუპი ვაჟი შეეძინა, ერთი ვაჟი მანამდეც ჰყავდა და აწ უკვე სამი შვილის დედას, როგორც ჩანს, პოლიტიკისათვის აღარ ცხელა.**

ვინ იცის, **თინა ბოკუჩავამ** საკუთარი პოლიტიკური წარსულიც გადააფასა, იმასაც მიხვდა, რომ ნაციონალური მოძრაობა სრული უპერსპექტივობისათვის არის განწირული და გადაწყვიტა, ოჯახური იდილიით დატკბეს.

**ასე თუ ისე, მადლობა თინა ბოკუჩავას, რომ პოლიტიკური ასპარეზიდანაც გაქრა, მედიასივრციდანაც გაუჩინარდა და საზოგადოებას ნერვებს აღარ უშლის!**

**დაასვენა ხალხი და დაისვენა თვითონაც!**

კი, ნამდვილად მადლობა ეკუთვნის ამისათვის თინა ბოკუჩავას!

კარგი იქნება, **თინა ბოკუჩავას** მაგალითი სხვა ტოქსიკურ ნაცქალებსაც გადაედოთ და ქართული პოლიტიკიდან **ლიაკა ხოშტარია, ეკა ხერხეულიძე, ხატია დეკანოიძე და სალომე სამადაშვილიც** გაქრნენ!

**თუ ამას იზამენ, ქართველი ხალხი ერთ მადლობას მათთვისაც არ დაიშურებს!**

***ჯაბა ხუბუა***













**თუ ამას იზამენ, ქართველი ხალხი ერთ მადლობას მათთვისაც არ დაიშურებს!**

**კარგი იქნება, თინა ბოკუჩავას მაგალითი სხვა ტოქსიკურ ნაცქალებსაც გადაედოთ და ქართული პოლიტიკიდან ლიაკა ხოშტარია, ეკა ხერხეულიძე, ხატია დეკანოიძე და სალომე სამადაშვილიც გაქრნენ!**

## კვირგვინოსნები

### კახა ქემოკლიძე
*პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი*



ხელისუფლების დაკარგვიდან 10 წლისთავზე, **ნაციონალური მოძრაობა ვერ აცნობიერებს, რა იყო მათი შეცდომები.** არათუ ვერ ათვითცნობიერებს, არამედ შეცდომებს ერთი-ერთში იმეორებს.

„ახალი თაობა“

### ლევან ბეჟაშვილი
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**ვანო მერაბიშვილს** უდიდესი დამსახურება აქვს საქართველოს წინაშე, მას მოხდილი აქვს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

„პირველი არხი“

### დიმიტრი შაშკინი
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**ვანო მერაბიშვილი** დიდი ხანია, ჩართულია **უკრაინის დეოკუპაციისთვის ბრძოლაში,** კარგად გახსოვთ, რომ შემოდგომაზე ჩატარდა დიდი კონგრესი, რომელშიც ვანოც მონაწილეობდა.

„პირველი არხი“

### ბაჩო დოლიძე
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**ვანო მერაბიშვილი** ნაციონალური მოძრაობისთვის პრობლემაა, ამ კონფიგურაციაში **პარტია განწირულია** მუდმივად ოპოზიციაში ყოფნისთვის.

„პირველი არხი“

### გიორგი მუმლაძე
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ნებისმიერი ადამიანი, ვინც **ბიძინა ივანიშვილს** დაუპირისპირდება, მისასალმებელია — რუსეთის გუბერნია ხდებით ან **ვანო მერაბიშვილი,** რომელს აირჩევდით?

„პალიტრანიუსი“

### მალხაზ მაჩალიკაშვილი
*პანკისში სპეცოპერაციის შედეგად მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის მამა*



ძალიან მაინტერესებს, ამ ადამიანებისგან პასუხი — ისეთი რა აქვს დანაშაული **მიხეილ სააკაშვილს,** რომ არ და ვერ პატიობთ?!

„ალია“

# რა უნდა ვიცოდეთ საქართველოში მომხდარი მიწისძვრების შესახებ?

***თურქეთსა და სირიაში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის ფონზე, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა, ცნობილი მეცნიერი და დემოგრაფი ანზორ თოთაძე საქართველოსა და მის შემოგარენში მომხდარი ბუნებრივი კატაკლიზმების ისტორიასა და ბუნებაზე საუბრობს და აცხადებს, რომ სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით, საქართველოში მიწისძვრების რაოდენობა მცირეა:***

1991 წლის 29 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შედეგები რაჭასა და საჩხერეში







— მიწისძვრის გამომწვევი მიზეზების ახსნა მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა უდიდესმა ბერძენმა ფილოსოფოსმა **არისტოტელემ** სცადა, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ მიწისძვრას იწვევს ატმოსფერული გრიგალი, რომელიც შეიჭრება დედამიწის ღრუებსა და გამოქვაბულებში, იქ არსებული ცეცხლით გაძლიერდება, ეხეთქება კედლებს და იწვევს მიწისძვრას. არისტოტელეს ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, გაზიარებული არ არის. სხვა ბევრი ძველი მეცნიერიც ცდილობდა მიწისძვრის მიზეზების ახსნას, მაგრამ ისინი მხოლოდ ამ დამანგრეველი მოვლენის აღწერას თუ ახერხებდნენ. აუცილებელია, ვიცოდეთ, რომ დედამიწის ევოლუციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჰიპოთეზად მიჩნეულია კონტინენტის დრეიფის თეორია, რომლის თანახმადაც დაახლოებით 300 მილიონი წლის წინათ არსებობდა ერთიანი კონტინენტი — **პანგეა** და ერთიანი ოკეანე — **პანტალასა,** რომლებიც შემდეგ დაიყო. ცნობილია, რომ უკანასკნელი ხუთასი წლის განმავლობაში მსოფლიოში მიწისძვრებმა დაახლოებით 4 მილიონ 500 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საშინელი იყო მეხიკოს, ლისაბონის, სან-ფრანცისკოს, ჩილესა და ტოკიოს მიწისძვრები. **სტატისტიკა ადასტურებს, რომ ყოველწლიურად მსოფლიოში 1 კატასტროფული, 100 დამანგრეველი და 1000 უმნიშვნელო მიწისძვრა ხდება, ხოლო დაახლოებით 100 ათას მიწისძვრას ადამიანი ვერ ამჩნევს და მათი დაფიქსირება მხოლოდ სპეციალური ხელსაწყოებით არის შესაძლებელი.** მსოფლიოში ყველაზე მეტი, წელიწადში დაახლოებით 6 ათასი, მიწისძვრა იაპონიის ქალაქ მაცუსიროში ხდება.

**— მაინც რა განაპირობებს მიწისძვრას ამა თუ იმ კონკრეტულ ლოკაციაზე და სად ხდება ყველაზე მეტად მიწისძვრა?**

— მიწისძვრის ალბათობა ყველაზე უფრო ხშირია იმ ადგილას, სადაც დედამიწის ტექტონიკური ფილები ერთმანეთს უერთდება. საუბარია ათ დამოუკიდებელ ტექტონურ ფილაზე, რომელთა შეჯახებამაც უხსოვარ დროში წარმოშვა ჰიმალაი, კავკასიონი, ალპები, კარპატები და ა.შ. გამოთვლილია, რომ მიწისძვრების 80 პროცენტი დაახლოებით წყნარი ოკეანის აუზზე მოდის.



## ანზორ თოთაძე: დავით აღმაშენებლის გამეფების დროს, 1089 წელს, საქართველოში 8-ბალიანი მიწისძვრა მოხდა!



**— საქართველოში მომხდარი მიწისძვრებიდან ყველაზე უფრო რომელს გამოარჩევდით?**

— მეცნიერებს დათვლილი და შესწავლილი აქვთ უძველესი დროიდან 1975 წლამდე საქართველოში მომხდარი ყველა მიწისძვრა და დასკვნა ერთია — საქართველოში ბევრად ნაკლები მიწისძვრაა მომხდარი, ვიდრე მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში! მეცნიერებისთვის ცნობილია **კოლხეთის დიდი მიწისძვრის** შესახებ. რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილ პირველ დიდ მიწისძვრას, რომელიც საქართველოში მოხდა, ეს იყო 1089 წელს, ზუსტად დავით აღმაშენებლის გამეფების ჟამს, რომელმაც მთელი საქართველო შეარყია და ციხე-ქალაქი თმოგვი დაანგრია. **თმოგვის მიწისძვრამ** ცოცხლად დამარხა დიდი ფეოდალი **კახაბერ ნიანიას ძე...** სეისმოლოგების გათვლით, დავით აღმაშენებლის გამეფების დროს, 1089 წელს, საქართველოში 8-ბალიანი მიწისძვრა მოხდა! უფრო ძლიერი და დამანგრეველი იყო 1275 წლის 14 აპრილს მომხდარი მცხეთის მიწისძვრა, რომლის მაგნიტუდა 9 ერთეულს აღწევდა. მცხეთაში ძლიერი მიწისძვრა 1318 წელსაც განმეორდა, რასაც საკათედრო ტაძრის ნგრევა მოჰყვა.

### 1616 წელს სამეგრელოში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელმაც ცაიშის ტაძარი დაანგრია!

დამანგრეველი იყო 1742 წლის **კახეთის მიწისძვრაც,** როცა ალავერდისა და ნინოწმინდის ტაძრები ჩამოინგრა, დიდო, ლალისყური და ხოდაშენი თავის ციხეებიანად დაინგრა. კახეთში დამანგრეველი მიწისძვრები 1756 და 1811 წლებშიც განმეორდა. 1899 წელს ასევე ძლიერი მიწისძვრა დაფიქსირდა ახალქალაქშიც, მაგრამ მას მცირე მასშტაბის ნგრევა მოჰყვა. 1920 წლის 20 თებერვალს 11:45 საათზე ძლიერი მიწისქვეშა ბიძგები დაფიქსირდა გორში, რომელმაც სოფელ ბეთლემსა და ხიდისთავში ნგრევა გამოიწვია. განსაკუთრებით საგანგაშო იყო ღამის 00:01 საათზე დაფიქსირებული ბიძგები, რომლის მაგნიტუდაც 6,2 ბალს, ხოლო ინტენსივობა 8-9 ერთეულს უდრიდა. სოფელ ბეთლემში ხალხი გამოაღვიძა მიწიდან წამოსულმა საშინელმა ხმამ... ხალხი ქუჩაში გამოცვივდა, უამრავი შენობა დაინგრა. 1920 წლის 20

## „851 წელს სომხეთში, „პურისა და მარილის“ ღამეს, მოხდა მიწისძვრა, რომელმაც დაახლოებით 12 ათასი ადამიანი მიწაში ცოცხლად ჩამარხა!“

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ჯავახიშვილი**
*სეისმოლოგი, პროფესორი*



მინდა, დაგამშვიდოთ, **თურქეთის მიწისძვრა საქართველოში ვერაფერს გამოიწვევს, ძალიან შორსაა და სხვა სტრუქტურისაა.** ერთადერთი რეალური თავდაცვა არის სეისმომედეგი მშენებლობა, სეისმური საფრთხის სწორად შეფასება, ე.წ. სეისმური საფრთხის რუკების სწორად აგება, რომელსაც შემდეგ უნდა დაეფუძნოს სეისმომედეგი მშენებლობა.

„კვირის პალიტრა“

**თეა გოდოლაძე**
*სეისმოლოგი*



თბილისის გეოლოგია არ არის ისე მოწყობილი, რომ დიდ დატვირთვებს გაუძლოს, **ცათამბჯენების აშენება დაუშვებელია.** თურქეთის მიწისძვრა მოსალოდნელი იყო, სამეცნიერო წრემ იცოდა, რომ მოხდებოდა.

„ახალი თაობა“

**ერეკლე საღლიანი**
*პოეტი*



რა დამავიწყებს, აგვისტოს ომის შემდეგ **ჯორჯ ბუშმა,** ვითომც არაფერიო, **პუტინი** რომ სათევზაოდ მიიწვია. მაშინ მას არაერთმა ლიდერმა მიჰბაძა. მაშინაც რომ ასეთი ერთსულოვნება ყოფილიყო, როგორიც დღესაა, პუტინი ამდენს აღარ გაბედავდა. **ჩვენი კიდევ ერთხელ ომში ჩაბმა ხერხემალში გადამტვრევა იქნებოდა.** ამას ვეღარ გადავიტანდით.

„კვირის პალიტრა“

**ლელა მოროშკინა**
*ჟურნალისტი*



ჩემთან, **როგორც მუშახელი,** მუშაობენ **უკრაინელები** და **როგორც ტურისტი,** ჩამოდის **რუსი.** რუსეთი ჯერ კიდევ აძლევს თავის თავს უფლებას და კიდევ დიდი ხანი მისცემს, ერთ-ერთი სასურველი ტურისტი იყოს.

„ალია“

# „1920 წლის 20 თებერვალს მომხდარი მიწისძვრის შემდეგ გორში მხოლოდ ორი შენობა დარჩა დაუზიანებელი!“





1920 წლის 20 თებერვალს მომხდარი მიწისძვრის შედეგები გორში

თებერვალს მომხდარი მიწისძვრის შემდეგ გორში დაუზიანებელი მხოლოდ ორი შენობა იდგა!

**— დღემდე ლეგენდები დადის ტაბაწყურის მიწისძვრაზე!**

— ტაბაწყურში ძლიერი მიწისძვრა 1940 წლის 7 მაისს 22:23 საათზე მოხდა. მიწისძვრამდე ხალხი საშინელმა გუგუნმა დაზაფრა, რომელიც მიწის წიაღიდან ისმოდა. **ტაბაწყურის მიწისძვრის** ინტენსივობა 8 ბალს უდრიდა. მნიშვნელოვნად დაზიანდა სოფელი ტაბაწყური, დაინგრა მე-12 საუკუნის ეკლესია...

## 1940 წლის 7 მაისის მიწისძვრის შემდეგ ტაბაწყურში მოსახლეობა გაკვირვებული აკვირდებოდა დარეტიანებულ თევზებს, რომლებიც წყალში გზას ვერ იგნებდნენ!

**1957 წლის 25 იანვარს,** 15:21 საათზე, 8 ბალის ინტენსივობის მიწისძვრა მოხდა მარტვილის რაიონში, სადაც სოფლები — სალხინო, ბალდა და გაჭედილი დაზიანდა. დაახლოებით იმავე სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა **1959 წლის 20 მაისს,** 19:45 საათზე, აჭარა-გურიაში, რა დროსაც დაზიანდა სოფლები — ჯიხანჯური, ცეცხლაური, მუხაესტატე და, განსაკუთრებით, ალამბარი. **1963 წლის 16 ივლისს,** 18:27 საათზე, 9 ბალის ინტენსივობის მიწისძვრა დაფიქსირდა სოფელ ჩხალთაში. აბაკვაში, აწგარაში, პტიშსა და რეკვაში მიწისძვრამ 9 ბალი შეადგინა... ჩხალთის მიწისძვრამ ხალხი საწოლებიდან გადმოყარა, მიწაში უზარმაზარი ნახეთქები გაჩნდა, დიდი მსხვერპლისგან მხოლოდ იმან დაგვიფარა, რომ ზემოხსენებულ სოფლებში უკლებლივ ყველა სახლი ხის იყო. მოსახლეობა სოფლებიდან დაუყოვნებლივ გაიყვანეს... მაშინ ჩხალთასა და მის შემოგარენში ბევრი წყარო საერთოდ დაშრა და გაქრა, ხოლო ზოგან წყლის დებიტი, ანუ გამოსავალი, ძალიან გაიზარდა. მიჩნეულია, რომ სამხრეთ კავკასიაში არცერთ სხვა მიწისძვრას ისე არ შეუცვლია რელიეფი, როგორც ეს **1963 წლის 16 ივლისს ჩხალთის მიწისძვრის** დროს მოხდა! **1978 წლის 2 იანვარს** და **1986 წლის 13 მაისს** ერთნაირი სიმძლავრის — 5,6 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა დმანისსა და ფარავანში, რა დროსაც შენობები დაზიანდა. **1991 წლის 29 აპრილს,** 13:13 საათზე, უძლიერესი მიწისძვრა მოხდა რაჭა-იმერეთის საზღვარზე, რომელმაც დაანგრია საჩხერე, ონი, ამბროლაური და ჯავა. დაიღუპა 200 კაცი, სოფელი ხახიეთი მთლიანად დაიმარხა. მიწისძვრის ეპიცენტრში ინტენსივობა 9 ბალი იყო. მასობრივი ნგრევის მიუხედავად, დიდი მსხვერპლი თავიდან აცილებული იქნა მხოლოდ იმიტომ, რომ იდგა კარგი ამინდი, მოსახლეობა ველად გახლდათ გასული საგაზაფხულო სამუშაოების შესასრულებლად, ხოლო გაკვეთილებზე იყო შესვენება და მოწაფეები მასობრივად სკოლების ეზოებში იყვნენ გამოფენილი.

## „170-წლიანი დაკვირვების პერიოდში თბილისში 6-ბალიანი მიწისძვრა ცხრაჯერ მოხდა; 290 წლის განმავლობაში სამჯერ დაფიქსირდა 7-ბალიანი მიწისძვრა, ხოლო 690 წლის განმავლობაში ერთხელ – 8-ბალიანი!“

**— 2002 წლის 25 აპრილს, 22:45 საათზე, თბილისში დაფიქსირდა ძლიერი მიწისძვრა, რომლის ინტენსივობაც 6 ბალი იყო.**

— ამ მიწისძვრამ განსაკუთრებით დააზარა ქალაქის ძველი უბნები და შეიწირა 5 ადამიანი. ამათგან ზოგს გული გაუსკდა, ხოლო ზოგი შენობიდან გადმოხტომის დროს დაიღუპა. სათანადო გაანგარიშების მიხედვით, 170-წლიანი დაკვირვების პერიოდში, თბილისში 6-ბალიანი მიწისძვრა ცხრაჯერ მოხდა; 290 წლის განმავლობაში სამჯერ დაფიქსირდა 7-ბალიანი მიწისძვრა, ხოლო 690 წლის განმავლობაში ერთხელ — 8-ბალიანი. არსებული მონაცემების თანახმად, თბილისში, გამონაკლისის გარდა, ძლიერი მიწისძვრები არ დაფიქსირებულა.

**— რას იტყვით სომხეთზე, რომელიც სეისმურად განსაკუთრებით აქტიურ რეგიონშია?**

— 851, 858, 863 და 893 წლებში სომხურ ქალაქ დვინში ოთხი უძლიერესი მიწისძვრა მოხდა და ქალაქი მიწასთან გასწორდა. სომხები იძულებული გახდნენ, დედაქალაქი დვინიდან ანისში გადაეტანათ. 851 წელს სომხეთში, „პურისა და მარილის“ ღამეს, მოხდა მიწისძვრა, რომელმაც დაახლოებით 12 ათასი ადამიანი მიწაში ცოცხლად ჩამარხა! 1679 წლის **გარნისის მიწისძვრაც** დამანგრეველი იყო. მან 8 ათასი კაცი იმსხვერპლა და ერევანთან ერთად სომხური სოფლები — კანაკერი, ნორაგიურტი, ნორაგავიხი მოსპო. მსხვერპლით დასრულდა 1827 წლის წალკაძორის, 1840 წლის — არარატის, 1926 წლის — ლენინაკანის, 1931 წლის — ზანგეზურის, 1937 წლის — ერევნისა და 1988 წლის — ზანგეზურის მიწისძვრებიც. განსაკუთრებით დამანგრეველი გახლდათ 1988 წლის 7 დეკემბრის **სპიტაკის მიწისძვრა,** რასაც 25 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ქვეყანამ 17 მილიარდ დოლარამდე ზარალი ნახა, 400 დასახლებული პუნქტი მიწასთან გასწორდა. მსხვერპლის მაღალი მაჩვენებელი გამოწვეული იყო უხარისხო შენობებით.

**— შესაძლებელია თუ არა მიწისძვრის პროგნოზირება?**

— ზუსტად არა, მაგრამ, დიდი ალბათობით, შესაძლებელია! ასე, მაგალითად, 1978 წელს ჩინეთში, კერძოდ, ტანშენში, მოხდა მიწისძვრა, რომელსაც ოფიციალური ინფორმაციით, 250 ათასი კაცი, ხოლო არაოფიციალურად 800 ათასამდე ადამიანი შეეწირა. ჩინელმა მეცნიერებმა ეს მიწისძვრა ივარაუდეს, მაგრამ შედეგების გამოქვეყნება ვერ გაბედეს, რადგან ეს გამოიწვევდა ტანშენიდან მთელი ფაბრიკა-ქარხნებისა და სამრეწველო ობიექტების აყრას და ვინძლო მეცნიერების პროგნოზი არ გამართლებულიყო, მათ აუცილებლად სიკვდილით დასჯიდნენ. მეცნიერები არ შემცდარან, ტანშენის დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## „სამხრეთ კავკასიაში არცერთ სხვა მიწისძვრას ისე არ შეუცვლია რელიეფი, როგორც ეს 1963 წლის 16 ივლისს ჩხალთის მიწისძვრის დროს მოხდა!“

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ჩხაიძე**
*„ვივამედის“ კლინიკური დირექტორი*



პაციენტს აქვს უნარი, რომ მიიღოს და გააფართოოს კალორაჟი. იმედი მაქვს, რომ **ქალბატონი გიული მოიტანს იმ კალორაჟის შესაბამის საკვებს, რის რეკომენდაციასაც აძლევს ექიმი.** სასწორი არსად არ გატანილა, შეიძლება პალატაში არ არის, მაგრამ ესეც პაციენტების ინტერესებიდან გამომდინარე. **მატების შემთხვევაში პაციენტს უარყოფითი რეაქცია ჰქონდა,** ამიტომ საერთოდ გადავწყვიტეთ, ამ დღეებში წონაზე ყურადღება არ გაგვემახვილებინა.

„რეზონანსი“

**სოფო ჯაფარიძე**
*ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ჩვენ როდესაც ვისმენდით, რომ აუცილებლად იქნებოდა მასშტაბური საპროტესტო აქციები და **თუ საჭირო გახდებოდა, ფიზიკურად დაიხსნიდნენ მიხეილ სააკაშვილს,** ამაზე მეტი საჭიროება რა უნდა იყოს? ველოდები, რომ **გაგვიძლვეს ჩვენი მესაჭე და მე პირადად მას აუცილებლად გავყვები უკან,** როდესაც ქმედება იქნება არამხოლოდ ქმედებისთვის.

„რეზონანსი“

**ნიკა ჩიტაძე**
*ექსპერტი*



ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს **დეზინფორმაციის სჯერა.** ეს დიდი ტრაგედიაა.

„ახალი თაობა“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ფადი ასლი,** რას ან ვის წარმოადგენ, ყველამ კარგად ვიცით! უსამშობლო ბიზნეს-აგენტი ხარ, **პოლიტიკურად შეზრდილი ნაციონალურ მოძრაობასთან,** — სისხლიან ანტისახელმწიფოებრივ ძალასთან!

„იმედინიუსი“

**ივანე ჩხაიძე**
*იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი*



თებერვალ-მარტში **კორონავირუსის შემთხვევების მატება მოსალოდნელი,** თუმცა, დიდი მოლოდინია, რომ 2023 წელი პანდემიის ბოლო წელი იქნება.

„რეზონანსი“



## თორნიკე კაპანაძე:

# გვიწევს ისეთი ადგილების მონახულება, სადაც ათწლეულების განმავლობაში ადამიანის ფეხი არ დადგმულა!

*„მთელი თბილისი მიწისქვეშა გვირაბებით არის დაქსელილი. მათი გაყვანა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში დაიწყო, რათა საბრძოლო მოქმედებების დროს მშვიდობიან მოსახლეობას თავი შეეფარებინა. გვირაბების მშენებლობა გასული საუკუნის 30-იან წლებში განახლდა, ხოლო 60-70-იან წლებში, როცა მსოფლიო შიშით ელოდა ატომური ომის დაწყებას, მასშტაბური ხასიათი მიიღო. სამოქალაქო თავდაცვის მიზნით ბუნკერებს გამალებით აშენებდნენ მთელ საბჭოთა სივრცეში, მათ შორის იყო ელიტური, ინვენტარით, მედიკამენტებითა და საკვების მარაგით აღჭურვილი ისეთი მიწისქვეშა ნაგებობებიც, სადაც ადამიანებს თვეობით შეეძლოთ ცხოვრება... საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს ბუნკერები უფუნქციოდ დარჩა და გაიძარცვა. ლითონის ინვენტარი ჯართად გაიყიდა. სავანგებოდ ამოქოლეს გვირაბებში ჩასასვლელებიც, თუმცა, იქ ჩაღწევა შეუძლებელი მაინც არ არის. ისეთი ადგილებიც არსებობს, სადაც ადამიანს ფეხი უკვე ათწლეულების განმავლობაში არ დაუდგამს და თუ იქ მოხვდებით, თვალწინ საინტერესო, მისტიკური ელფერის სანახაობა იშლება!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ახალგაზრდა კაცმა თორნიკე კაპანაძემ, რომელიც საკუთარ თავს თხუნელად და ურბანულ მკვლევრად მოიხსენიებს:***

— **ურბანული კვლევა** მთელ მსოფლიოში გავრცელებული ჰობია და მოიცავს როგორც მიწისზედა, ასევე მიწისქვეშა კვლევებს. ამ ჰობის მიმდევრებს უცხოეთში **დიგერებს და სტალკერებსაც** უწოდებენ. თბილისის ქუჩებში დავდივართ და ვერც კი წარმოგვიდგენია, რომ მიწის ქვეშ დერეფნებისა და გვირაბების მთელი სისტემაა. რამდენიმე ათეული წლის წინ აქ ძალიან ბევრი, მათ შორის, საიდუმლო სახელმწიფო ობიექტებიც არსებობდა, რომლებმაც დროთა განმავლობაში ფუნქცია დაკარგეს. ისინი მიივიწყეს და უმოქმედობისგან გავერანდა. **თუ ამ სივრცეში შეაღწევთ, საკუთარ თავს მძაფრსიუჟეტიანი ფილმის პერსონაჟად იგრძნობთ და დაგრჩებათ დაუძლეველი სურვილი, ეს შეგრძნება განმეორებით გამოსცადოთ.** ასე ყალიბდება ძველი მიწისქვეშა ნაგებობების თვალიერებისა და კვლევის ჰობი, რომელიც საკმაოდ დიდ რისკებთანაც არის დაკავშირებული, ამიტომ სუსტი ნერვებისა და ფიზიკური მომზადების მქონე პირებს, ასევე მათ, რომლებსაც სიბნელის ან ჩაკეტილი სივრცის შიში აწუხებთ, მიწისქვეშა ობიექტებზე ხეტიალს არ ვურჩევთ!

***— რამ განაპირობა მიწისქვეშა ნაგებობებით თქვენი დაინტერესება?***

— ჭაბუკობაში სოფელ პატარძეულში ბებიასა და პაპასგან მოვისმინე საინტერესო ლეგენდა ბერიას საგანძურთან დაკავშირებით — თითქოს მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე საბჭოთა რესპუბლიკებში შეგროვებული 300 ტონამდე ოქრო სამალავებში გადაიტანეს. ნაამბობმა ჩემში ოქროს პოვნის ბავშვური მისწრაფება გააჩინა. ამჟამად ოქროს აღარ დავეძებ, თუმცა, შემრჩა მიწისქვეშა ნაგებობების თვალიერების ექსტრემალური ჰობი — ჩადიხარ სიღრმეებში, სადაც სრული სიბნელე და სიჩუმეა, ტალღას არ იჭერს მობილურის ანტენა, შეიძლება, როგორც საშინელებათა ფილმების სცენებშია, მიწისქვეშა ლაბირინთში უკან დასაბრუნებელი გზაც დაკარგო ან გვირაბი ნანგრევებით ჩაიხერგოს და განუსაზღვრელი დროით მარტოდმარტო აღმოჩნდე ხალხისგან მივიწყებულ სივრცეში; ანდა უნებურად შეეხო ათწლეულების წინ შენახულ მომწამვლელ ქიმიურ ნივთიერებებს... მონახულებული ობიექტების შესახებ ვიდეოკადრებს ვათავსებთ „იუთუბზე“ და ფართო საზოგადოებას შესაძლებლობა ეძლევა, იხილოს ფრიად მისტიკური და მიმზიდველი სამყარო.

***— რის თადარიგს იჭერთ ხოლმე, ვიდრე მიწის ქვეშ დაეშვებით?***

— პირველ რიგში, აუცილებელია, იქონიო სინათლის რაც შეიძლება ხანგრძლივი წყარო. ჩასვლისას მიმაქვს ძირითადი და სათადარიგო ფანარი და დამტენიც, რადგან, თუ თვალიერებაში დრო გამეპარება, დაზღვეული ვიყო. აუცილებელია ობიექტის ლოკაცია, ჩასვლის ზუსტი დრო და უკან დაბრუნების სავარაუდო პერიოდი რომელიმე უახლოეს ადამიანს ვაცნობო, რადგან შეიძლება, გაუთვალისწინებელი კატასტროფა შემემთხვას, თუნდაც, ფეხი ვიღრძო და დამოუკიდებლად დაბრუნება ვეღარ შევძლო. როგორც წესი, გამოსაკვლევი ან თუნდაც უკვე გამოკვლეული ობიექტის ლოკაციას ფართო საზოგადოებაში არ ვასაჯაროებთ, რათა გაძარცვისგან, ასევე არაპროფესიონალებისა და ბავშვების შეღწევისგან დავიცვათ. ეს ხომ შესაძლოა, მათთვის ტრაგიკულად დასრულდეს.

***— როგორ გამოიყურება***





## კვირგვინოსნები

**სალომე გოგიაშვილი**
*ტელეწამყვანი*



**ცუდი ნათლია ვარ,** ვერ ვახერხებ მათთან ერთად ეკლესიაში სიარულს. უფრო ოჯახებში ვნახულობ ან დაბადების დღეებს ვულოცავ. ყოველთვის ვკითხულობ მათ ამბებს. **ამ მხრივ, არც ჩემი შვილის ნათლიები გამოირჩევიან.** ვფიქრობ, უფალი გვაპატიებს, რომ ყველაფერს ზედმიწევნით ვერ ვასრულებთ.

„სარკე“

**ნინო მაჩაიძე**
*ოპერის მომღერალი*



არ მიყვარს, **როცა მომღერალი რეპეტიციაზე მოკლე შორტებით მიდის,** ეს ჩემს გემოვნებას არაფრით შეესაბამება. **ოპერა იმდენად ამაღლებული სფეროა,** მას ჩაცმულობითაც პატივი უნდა ვცეთ.

„სარკე“

**მაია ტურიაშვილი**
*მსახიობი*



**თმა ოქროსფრად გადავიღებე და ასე მგონია, მზე მადგას თავზე.**

„სარკე“

**ანა ტყებუჩავა**
*მსახიობი*



**40 წელი** ერთგვარი ზღვარია ჩემს ცხოვრებაში, თავი **25 წლისა** მგონია. არასდროს მქონია მანიაკური სურვილი, სულ ეკრანზე ვყოფილიყავი. როცა სერიალში ვიყავი, ბევრ პროექტზე უარი ვთქვი იმ მოტივით, **ყველგან მე ხომ არ ვიქნებოდი.** გადაცემებში სტუმრობაზეც უარს ვამბობდი, რომ მაყურებლისთვის თავი არ მომებეზრებინა. არ შეიძლება, მთელი სივრცე შენ შეჭამო და სხვისთვის ადგილი არ დატოვო.

„სარკე“

**თამუნა ამონაშვილი**
*მომღერალი*



უცნაური თვისება მაქვს: **სადარბაზოში რომ შევდივარ, სუნით ვიგებ, რომ იქ არის გარდაცვლილი ადამიანი ან ძალიან მალე ვიღაც გარდაიცვლება.** ასევე, როცა ადამიანს ვხედავ, ვგრძნობ მის დაავადებას.

„თბილისელები“

**დღეს მიტოვებული გვირაბები და ბუნკერები?**

— საქართველოში სამალავებსა და ციხე-კოშკებს შორის დამაკავშირებელი გვირაბების მშენებლობის პრაქტიკა ადრეულ საუკუნეებშიც არსებობდა, მაგრამ მათი კვლევა არქეოლოგების საქმეა. ჩვენ ვიკვლევთ ძირითადად იმ ობიექტებს, რომლებიც პირველი და მეორე მსოფლიო ომების ეპოქაში შენდებოდა. ცნობილია, რომ ხელისუფლება ასეთი ობიექტების მოსაწყობად პატიმრებისა და გერმანელი ტყვეების შრომას იყენებდა. გაცილებით ახალი ნაგებობებია სამოქალაქო თავდაცვის ობიექტები, რომელიც „ცივი ომის“ პერიოდში ბირთვული თავდასხმის მოლოდინში მოსახლეობის დაცვის მიზნით შექმნეს, მათ შორის, თბილისშიც, რომელიც ასეთი ბუნკერებითა და გვირაბებით დაიქსელა. ასეთი ობიექტები აღჭურვილი იყო სამართავი პუნქტებით, გარე სამყაროსთან საკომუნიკაციო აპარატურით, საკვების საწყობებით, წყლის რეზერვუარებით, მედიკამენტების საცავით... ერთი სიტყვით, ყველა პირობა იყო შექმნილი, რათა მიწის ზევით საფრთხის ამოწურვამდე ადამიანთა ჯგუფები საშვიდობოზე ყოფილიყვნენ. ამბობენ, რომ ჩვენი დედაქალაქის ქვეშ 500-მდე პატარა და დიდი ბუნკერია 150-დან 5000-მდე ადამიანის დატევის პერსპექტივით. არსებობს მოსაზრებაც, რომ მიწისქვეშა გვირაბები ერთმანეთს უკავშირდებიან. სხვათაშორის, როდესაც მიტოვებულ ბუნკერებს ვსტუმრობთ, ხშირად ვაწყდებით შესაბამის ლიტერატურას, ასევე აირწინაღებსა და ქიმიური საფრთხისაგან დამცავ აღჭურვილობას. სამწუხაროდ, არსებობს ადამიანების ისეთი კატეგორია, რომელიც თვითრეალიზაციას ამ ნივთების დაწვითა და მტვრევით ახდენს, თუმცა, არანაირ სარგებელს არ იღებს. გვიწევს ისეთი ადგილების მონახულებაც, სადაც ათწლეულების განმავლობაში ადამიანის ფეხი არ დადგმულა და, შესაბამისად, ხელუხლებელია მართვის პულტები და ევაკუირებული პირებისათვის საჭირო ყველა ატრიბუტი. ასეთ შემთხვევაში დრო ჩერდება და შეუმჩნევლად იმ ეპოქის ნაწილი ხდები, როდესაც ეს ყველაფერი სიცოცხლის გადარჩენის საშუალებას წარმოადგენდა.

**— რომელია ყველაზე დიდი თავშესაფარი, სადაც ჩასულხართ?**

— ასეთი თავშესაფარი ვნახე თბილისის ქვეშ, 80 მეტრის სიღრმეზე. იქ 135 ოთახი და, დაახლოებით, 2-კილომეტრიანი გვირაბია.

**— მიწის ქვეშ ხეტიალის დროს რაიმე მისტიკურ, ზებუნებრივ მოვლენასთან ხომ არ გქონიათ შეხება?**

— ყველა ლოკაციას გააჩნია თავისი ლეგენდა, რომელზეც საუბრობს ხოლმე ამ ლოკაციის მახლობლად მცხოვრები მოსახლეობა. ეს, ძირითადად, მოჩვენებებს უკავშირდება. გვსმენია, რომ კონკრეტულ ბუნკერებში აწამებდნენ და ხვრეტდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ ადამიანებს და მას შემდეგ იქ თითქოს მათი სულები დაეხეტებიან. მაგალითად, სოფელ კარსანის მახლობლად არის 1913 წელს აგებული გეოლოგიური ობსერვატორიის ნანგრევები, რომელშიც შემდეგ ტუბდისპანსერი იყო განთავსებული და გვსმენია ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული მითქმა-მოთქმა ანომალიური მოვლენების შესახებ, თითქოს შენობის სარდაფში თავისით ცვივა ქვები, პერიოდულად ისმის ადამიანთა გოდება... რა თქმა უნდა, ასეთ გარემოში დიდ როლს ასრულებს ადამიანის წარმოსახვა და ფანტაზიაც, მაგრამ პირადად მე არასოდეს შევსწრებივარ ისეთ მოვლენას, რომელიც მატერიის კანონებით ვერ აიხსნება. სამაგიეროდ,





## „თუ ამ სივრცეში შეაღწევთ, საკუთარ თავს მძაფრსიუჟეტიანი ფილმის პერსონაჟად იგრძნობთ და დაგრჩებათ დაუძლეველი სურვილი, ეს შეგრძნება განმეორებით გამოსცადოთ!“





**ხშირად მინახავს კედლებზე გამოსახული პენტაგრამა, სანთლის ნამწვები და ცხოველთა ძვლებიც, რაც სატანისტურ რიტუალებს ახასიათებს. შემხვედრიან 18-19 წლის ახალგაზრდებიც, რომელთაც უხეშად მოუწოდებიათ, დამეტოვებინა „მათი ტერიტორია“...**

**— პლანეტაზე ბირთვული ომის საფრთხე არ ამოწურულა. როგორ წარმოგიდგენიათ ამ ბუნკერების მომავალი?**

— თავის პირვანდელ ფუნქციას, ალბათ, ეს ნაგებობები ვეღარ დაიბრუნებენ, მაგრამ ისინი ჩვენი ისტორიის ნაწილია! ახალგაზრდების ჯგუფმა შევქმენით ორგანიზაცია, ვთანამშრომლობთ სახელმწიფო სტრუქტურებთან და რამდენიმე ბუნკერის დასუფთავება ვითავეთ. შეიძლება, მომავალში რომელიმე ასეთ ბუნკერში გაიხსნას მუზეუმი, რომელსაც მოინახულებენ ტურისტები და ის საზოგადოება, რომელსაც ჩვენი უახლესი ისტორიის კონკრეტული ეპიზოდი აინტერესებს.

ჩვენ მზად ვართ, ინსტრუქტაჟი გავუწიოთ ტურისტებს და დამწყებ დიგერებს, ვისაც მიწის ქვეშ მოგზაურობის სურვილი ექნება! ჩემთან დაკავშირება შეგიძლიათ მობილურ ტელეფონზე **558-55-89-15;** ან ფეისბუქზე: **Wise Guy** (თხუნელა).

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

## ქვირგვინოსნები

**ნინო ქათამაძე**
*მომღერალი*



სხვა დროსაც მიგრძნია **ე.წ. ბულინგი.** სულ პატარა გოგო ვიყავი, როცა **„შინამანაკენა“** ვიმღერე. ბევრი მაკრიტიკებდა, ამბობდნენ, რა სისულელეს მღერის, ტექსტი არ არის, როგორ შეიძლება ასე მოქცევაო, არადა, სახალისო სიმღერა იყო, მსმენელს კარგ ხასიათზე აყენებდა.

„სარკე“

**მარიტა როხვაძე**
*მომღერალი*



შოუბიზნესში მხოლოდ ისეთებთან ვმეგობრობ, **ვისაც ადამიანობა არ აქვს დაკარგული.** ყველაზე მეტად, იცით, რას ვერ ვიტან? ორპირობას. ბევრჯერ მქონია შემთხვევა, ჩვენი კოლეგებიდან ერთს მეორე ისე გაუჭორავს, რომ მოსმენაც საშინელება იყო. ამ დროს შემოსულა ის ადამიანი და მოსაფერებელი სიტყვა არ დაუნანია მისთვის. ასეთებისგან თავს შორს ვიჭერ.

„სარკე“

**ნინო თარხან-მოურავი**
*მსახიობი*



**სარკეში როცა არ ვიხედები, თავი 26 წლის მგონია.**

„თბილისელები“

**ლექს-სენი**
*რეპერი*



**ბანკის ვალი არასოდეს მქონია,** მართლა ძალიან ვერიდები. მე ვიცი, რა არის დასაშვები და რა — არა. **ეს სულ სხვა ხაფანგია** და ამ ხაფანგში თუ შეხვალ, მერე ჯოჯოხეთურ წრეზე ტრიალებ.

„თბილისელები“

**მაია ჯაბუა**
*მომღერალი*



კარგია, როცა შეგიძლია, იტირო, **მე ვერ ვტირი,** ეს ძალიან რთულია.

„თბილისელები“

პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2022 წლის №9-52, 2023 წლის №1-2,3-8

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

**მიხეილ სააკაშვილი** თავის მემუარებში საგანგებო ქვეთავს უძღვნის **ბილ და ჰილარი კლინტონებს** და ბევრ საინტერესო დაკვირვებასა და კულუარულ ინფორმაციას ამხეურებს:

***„მიუხედავად იმისა, რომ ეს ერთი ოჯახია და ისინი ერთ გვარს ატარებენ, ჩემი აზრით, ეს ორნი პიროვნულად ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული ადამიანები არიან. ბილ კლინტონი არის ბევრად უფრო იდეალისტი და ბევრი გაგებით უფრო ადამიანური, ვიდრე ბევრად უფრო საქმიანი და პრაგმატული ჰილარი“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 338).*

ფრიად საგულისხმო დასაწყისია: სააკაშვილმა არც აცია, არც აცხელა და **ჰილარი კლინტონის** ადამიანურ შიგთავსს დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა — ბილი ბევრად ადამიანურია, ვიდრე მისი მეუღლეო! შემდეგ **სააკაშვილი** იხსენებს, როგორ შეხვდა პირველად დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე უკვე ექსპრეზიდენტ **ბილ კლინტონს:**

***„ბილ კლინტონი პირველად ვნახე და გავიცანი დავოსში. ის უკვე აღარ იყო პრეზიდენტი და, მიუხედავად ამისა, იქ მიწვეულ სტუმრებს შორის ნამდვილ ვარსკვლავად აღიარებდნენ და ყველა ელოდებოდა მის გამოსვლას.***

***ჩვენი შეხვედრა დათქმული იყო, სულ რაღაც, 15 წუთით, მაგრამ ბევრად უფრო გახანგრძლივდა, თან გარდა ჩვენი საუბრისა, მგონი, მოეწონა ჩემი პრესმდივანი ალანა გაგლოევა, რომელსაც მთელი შეხვედრის მანძილზე უღიმოდა და მერე, როცა გავცილა, დათოვლილ ქუჩებში კარგა მანძილი მოინდომა, ჩვენთან ერთად ევლო ფეხით“*** *(იქვე, გვ. 338).*

როგორც ხედავთ, სააკაშვილი არც მოერიდა, რომ **ბილ კლინტონი,** როგორც ცნობილი ლაველასი, მთელი მსოფლიოს წინაშე გამოეჭენებინა — **ჩემი ალანა გაგლოევას გამო დაგვდევდა დათოვლილ ქუჩებშიო!**

ამაზეა ნათქვამი — ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო! და აშკარად, **ალანა გაგლოევათი** შთაგონებულმა **ბილ კლინტონმა,** როგორც მემუარისტი გვიყვება, ასე დაიწყო თავისი სიტყვით დავოსის ფორუმზე:

***„ბევრს ვფიქრობ იმაზე, რომ ახლახან შევხვდი საქართველოს ცოტა ხნის წინ არჩეულ 36 წლის პრეზიდენტს და ვისურვებდი, რომ მსოფლიოს ჰქონდეს რაღაც სათქმელი მისთვის. სულ ვფიქრობ, როგორ შეიძლება გამოვუხატოთ მას მხარდაჭერა და წავახალისოთ ეს ახალგაზრდა პრეზიდენტი, რომელიც მებრძოლი ქვეყნიდან არის“*** *(იქვე, გვ. 338).*

თუმცა, როგორც ირკვევა, **ბილ კლინტონის** სააკაშვილისადმი ეს რევერანსები მხოლოდ **ალანა გაგლოევას** ხიბლით არ იყო შთაგონებული და, როგორც სააკაშვილი ამტკიცებს, ამერიკის ექს-პრეზიდენტს ფრიად პრაგმატული სათავისო პოლიტიკური გეგმებიც ამოძრავებდა:

***„უმნიშვნელოვანესი იყო ის, რომ მან შეხვედრისას მითხრა: ვიცი, რომ დღეს ხვდები ჯონ მაკკეინს, შესთავაზე მას ჰილარისთან ერთად გააკეთოს ზეპარტიული წყვილი საპრეზიდენტო არჩევნებზე. მაკკეინი იქნება პრეზიდენტი და ჰილარი — ვიცე-პრეზიდენტი. თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ მაკკეინი იქნება ერთი ვადით და შემდგომ ვადაზე მხარს დაუჭერს ჰილარის პრეზიდენტობაზე და ეს იქნება ამერიკის ისტორიაში პირველი ორპარტიული კანდიდატთა წყვილი საპრეზიდენტო არჩევნებზე“*** *(იქვე, გვ. 339).*

სააკაშვილს ძალიან უყვარს თავის მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსად წარმოჩენა, მაგრამ აშკარად ნამეტანი შეიჭრა როლში, აქაოდა, **ბილ კლინტონი** ჩემი დახმარებით აპირებდა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტად **ჰილარის** მოყვანასო! თან ერთი ვადის შემდეგ უკვე პრეზიდენტობის გარანტიითო...

მემუარისტი იხსენებს კიდევ ერთ შეხვედრას **ბილ კლინტონთან,** ჯერ კიდევ აგვისტოს ომამდე, 2008 წელს, გაეროს გენასამბლეის ფარგლებში:

***„მან მთხოვა, რომ ცალკე შევხვედროდი, რომ თვითონ მოვიდოდა სასტუმროში, თანაც ზუსტად ათ წუთს წაგართმევო. ათი წუთის ნაცვლად შეხვედრამ საათზე მეტხანს გასტანა და მან მითხრა — იცოდეთ, ყველაზე დიდი საფრთხე თქვენთვისაც და ამერიკისთვისაც დღეს არის ობამას გაპრეზიდენტებაო. ობამა, ეს არის ყველაზე საშინელი მოვლენა, რაც შეიძლება იყოს დემოკრატიულ პარტიაში. ის არის ელიტისტური დემოკრატი, ზუსტად ის ხალხი, ვისაც მე მთელი ცხოვრება ვებრძოდი და მთელი ცხოვრება მებრძოდა, — გამენდო ბილ კლინტონი, — მისი გაპრეზიდენტება იქნება ძალიან მძიმე დარტყმა ამერიკისთვის და მთელი მსოფლიოსთვისო. ამიტომ წადი და დაელაპარაკე შენს მეგობარ მაკკეინს, რამე იღონოს, როგორმე გამოფხიზლდეს და წარმართოს კამპანია ბევრად უფრო აგრესიული მეთოდებით. იგი ასეთი ჯენტლმენური და დელიკატური კამპანიით ობამას ვერ დაამარცხებს“*** *(იქვე, გვ. 340).*

და ცნობისთვის, ამ დროს **ბილ კლინტონი,** როგორც დემოკრატიული პარტიის წევრი, **ჰილარისთან** ერთად, აქტიურად იყო ჩაბმული დემოკრატთა საპრეზიდენტო კანდიდატის **ბარაკ ობამას** საარჩევნო კამპანიაში! და როდესაც ობამა გაპრეზიდენტდა, ჰილარი კლინტონმა საგარეო საქმეთა მინისტრის (სახელმწიფო მდივნის) თანამდებობა მოიპოვა... და ამ დროს, სააკაშვილის მტკიცებით, **ბილ კლინტონი,** სააკაშვილის იმედად აპირებდა ამერიკისა და მსოფლიოს გადარჩენას ობამასაგან! ძალიან სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს...

შემდეგ სააკაშვილი გადადის **ჰილარი კლინტონის** დახასიათებაზე:

***„ჰილარი, ჩემი აზრით, ძალიან განსხვავდება ქმრისგან. თუმცა, მართლაც რომ ფანტასტიურად ნიჭიერი ქალია. ჩვენი შეხვედრების დროს, როდესაც მას წინასწარ აწვდიდნენ ინფორმაციას, გვერდზე აგდებდა ფურცელს და ზეპირად შეეძლო ყველა ფაქტის, ინფორმაციის, სახელების და გვარების ჩამოთვლა... ჰილარის შეეძლო ნებისმიერ თემაზე აგყოლოდა, ძალიან ცნობისმოყვარეა. მაგალითად, საქართველოს იუსტიციის სახლებით ძალიან დაინტერესდა და შემდეგ ამაზე ვრცლად ისაუბრა საბერძნეთში და ისრაელში, მაგრამ...“*** *(იქვე, გვ. 341).*

აი, ამ რევერანსებისა და ქება-დიდების შემდეგ, ახლა იწყება **ჰილარი კლინტონის** სააკაშვილისეული შეფასების მთავარი **„მაგრამ“:**

*„...მაგრამ ამავე დროს ის არის ძალიან პრაგმატული ადამიანი.* ***მაგალითად, კონდოლიზა რაისის წიგნში საქართველოს ეძღვნება მთელი თავი, მაკკეინს ძალიან ბევრი აქვს დაწერილი საქართველოზე, ყველა, ვისაც ჩვენთან შეხება ჰქონდა, თვლიდა, რომ ამაზე უნდა ეწერა.*** *ჰილარი კლინტონის წიგნში საქართველო ნაკლებად, მე კი, საერთოდ, ერთი სიტყვითაც არ ვარ ნახსენები ძალიან მარტივი მიზეზის გამო.* ***იმ მომენტში ის კენჭს იყრიდა და მიაჩნდა, რომ ეს თემა არ იყო მისთვის მომგებიანი. თუმცა, ბილი ასე არასოდეს მოიქცეოდა. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, ის არასოდეს მოერიდებოდა ჩვენზე საუბარს“*** *(იქვე, გვ. 341).*

სააკაშვილი აშკარად ნაწყენია, ჰილარიმ ერთხელაც არ მახსენა თავის წიგნში, რადგან პრეზიდენტად იყრიდა კენჭს, ბილი კი ასე არასოდეს მოიქცეოდაო...

შეგახსენებთ: **ჰილარი კლინტონი** ტრამპის პირისპირ 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებოდა და მაშინ, სამშობლოდან უკრაინაში გაქცეული, ოდესის გუბერნატორობიდანაც კი უკვე გაძევებული სააკაშვილი იმდენად სამარცხვინო ფიგურა და პოლიტიკური ნული იყო, რომ, რა გასაკვირია, ჰილარი კლინტონმაც კი არ ახსენა თავის მემუარებში!

ამის შემდეგ სააკაშვილი უკვე აშკარად ჰილარი კლინტონის დაწიხვლაზე გადადის:

***„და მეორე, ძალიან საჩოთირო მომენტი უკავშირდება მის დამფინანსებელ ბლუმფილდს, რომელიც იქირავა ბიძინა ივანიშვილმა ლობისტად, როდესაც ჰილარი ვიზიტით იყო საქართველოში.*** *პრესკონფერენციის წინ ჰილარის დაუკავშირდა ივანიშვილის ლობისტი და პირდაპირ გაუგზავნა მისასალმებელი სიტყვის ტექსტი, რითიც ის უნდა წარმსდგარიყო პრესკონფერენციაზე და ჰილარიმ მითითება ზუსტად შეასრულა. ეს ჩვენ მოგვიანებით, ვიკილიქსიდან გავიგეთ.* ***მას ისევე, როგორც ივანიშვილის სხვა ლობისტებს მუდმივი მიმოწერა ჰქონდათ ჰილარის თანაშემწეებთან, რაც ყველა წესის დარღვევაა.***

***ერთი სიტყვით, ამას უკვე აღარ ჰქვია პოლიტიკა. ჩემი აზრით, ეს არის პირდაპირი პოლიტიკური კორუფციის ისტორია და მიუხედავად ჩემი ძალიან თბილი დამოკიდებულებისა, ზოგადად, ჰილარის მიმართ, ეს დამამახსოვრდა ძალიან უარყოფითად, ძალიან ნეგატიურად, იმიტომ, რომ ეს იყო ყველაზე უარესი რამ, რაც მინახავს ამერიკაში, როცა ლობისტები ასეთ გარიგებებს მიმართავენ“*** *(იქვე, გვ. 442).*

აი, ასე დაადანაშაულა სააკაშვილმა **ჰილარი კლინტონი** პოლიტიკურ მაქინაციებში და კორუფციაში!

ის კი არა, იქვე მემუარისტმა **ჯორჯ ბუშისა** და **ჯონ მაკკეინის** გარემოცვაც მიაყოლა:

***„ძალიან ბევრი ჩვენი გულშემატკივარი ბუშის ადმინისტრაციიდან და მაკკეინის გარემოცვიდან სახელმწიფო სამსახურიდან წასვლის შემდეგ შეეკრა ყველაზე ბინძურ, მათ შორის, რუსულ და ოლიგარქიულ ინტერესს. კორუფცია და ლობიზმი, რაც ასე ანგრევს ამერიკის დემოკრატიას შიგნიდან და რაც ძალიან აზარალებს აგრეთვე დანარჩენ მსოფლიოს, განსაკუთრებით ისეთ დაუცველ ქვეყანას, როგორიც საქართველოა“*** *(იქვე, გვ. 442).*

**გიორგი გიგაური**

**გაგრძელება იქნება**




## ლობიზმი და კორუფცია ამერიკას შიგნიდან ანგრევს!



*ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონში მალე ახალი ცნება — „უცხოეთის გავლენის აგენტი“ დამკვიდრდება. საზოგადოებრივმა მოძრაობამ „ხალხის ძალა“ შეიმუშავა კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რომლის მიღების შემთხვევაში უცხოეთიდან დაფინანსებულ მედიასაშუალებებს, არასამთავრობოებს და იურიდიულ პირებს „აგენტის“ სტატუსი ოფიციალურად მიენიჭებათ. კანონპროექტის გამო უკვე ატეხეს ყიჟინი იმ ჯგუფებმა, რომლებიც პოტენციურად ამ სტატუსის კანდიდატები არიან. გვესაუბრება საზოგადოებრივი მოძრაობის „ხალხის ძალა“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გურამ მაჭარაშვილი:*



## გურამ მაჭარაშვილი:

# საზოგადოება უნდა იცნობდეს «უცხოეთის გავლენის აგენტებს!»

— საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპებიდან გამომდინარე, საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა იყოს იმ პოლიტიკოსთა შემოსავლის წყაროები, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ სახელმწიფოში; ასევე იმ არასამთავრობოებისა და მედიასაშუალებათა შემოსავლის წყაროებიც, რომელთა მიზანია, ზეგავლენა მოახდინონ საჯარო გადაწყვეტილებებზე და მონაწილეობენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში ან აქტიურ მონაწილეობას იღებენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კანონებისა თუ გადაწყვეტილებების მიღებისას გამართულ დისკუსიებში. კანონპროექტის თანახმად, ეს წესი ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი წლიური შემოსავლის 20 პროცენტზე მეტი უცხოური წარმოშობისაა.

შევისწავლეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი ანალოგიური კანონი და ჩვენი კანონპროექტი მას შევუსაბამეთ, თუმცა, ისიც უნდა გითხრათ, რომ ამერიკული კანონი გაცილებით მკაცრია, ხოლო ჩვენი კანონპროექტი არ ეხებათ ფიზიკურ პირებს და მოიცავს მხოლოდ იურიდიულ პირთა ნაწილს — არასამეწარმეო იურიდიულ პირებსა და მედიასაშუალებებს; თანაც, ამერიკულის გარდა, გავითვალისწინეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა.

**— რამ განაპირობა საქართველოში ასეთი კანონის მიღების აუცილებლობა?**

— საქართველოში არასამთავრობო სექტორი და მედიასაშუალებები აცხადებენ, რომ მათი მოსაზრებების აბსოლუტური უმრავლესობა გათვალისწინებული უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, თუ პოლიტიკოსები ვალდებულები არიან, საზოგადოებას წარუდგინონ თავიანთი შემოსავლები, ეს ვალდებულება ლოგიკურად არასამთავრობოებსა და მედიასექტორსაც უნდა დაეკისროს. არავინ აწესებს რაიმე აკრძალვას ან შეზღუდვას, უბრალოდ, მათ უნდა შეავსონ სპეციალური ფორმულარის სამი გრაფა, სადაც დააფიქსირებენ, თუ რას საქმიანობენ, საიდან ფინანსდებიან და რამდენით. ამის შემდეგ ისინი ჩვეულებრივად გააგრძელებენ მუშაობას.

**— მაგრამ საქმიანობას გააგრძელებენ აგენტის სახელით?**

— ამ თემაზე აქცენტის გადატანას მხოლოდ ისინი ცდილობენ, ვისაც გარკვეულ მიზეზთა გამო აშფოთებს თავისი დაფინანსების წყაროს გამჭვირვალობა. ცნება **„აგენტი“** არ ნიშნავს უცხო ქვეყნის ჯაშუშს, რომელზე დაკვირვებაც სულ სხვა უწყების სფეროა. ჩვენ გვყავს **„სადაზღვევო აგენტები“**, ასევე — **„სოციალური აგენტები“**, **„სარეკლამო აგენტები“** და ისინი არასოდეს აპროტესტებენ თავიანთ სამსახურს. არსებობს საინფორმაციო სააგენტოებიც, ანუ ამ დეფინიციის სტიგმატიზაცია სწორი არ არის. თუნდაც, **„აგენტი“** შევცვალოთ ცნებით **„უცხოური გავლენის წარმომადგენელი“** — ისინი მაინც არ დამშვიდდებიან. დარწმუნებული ვარ, მათ უმრავლესობას, ვინც ამ კანონპროექტის გამო განგაში ატეხა, წაკითხულიც არა აქვს იგი.

**კანონპროექტის ერთადერთი და სრულიად უწყინარი**

**მიზანია, საზოგადოებამ დაუბრკოლებლად შეიტყოს, ვინ საიდან ფინანსდება! რატომ უნდა გაუჩნდეს კომპლექსი კონკრეტულ ორგანიზაციას, თუ „უცხოური გავლენის აგენტი“ დაერქმევა?!**

**— ისინი შფოთავენ, რომ ეს კანონი გახდება პირველი საფეხური ასეთ ორგანიზაციებზე სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის დასამყარებლად.**

— ზოგი იმასაც ამბობს, თუ მაინცდამაინც **აგენტი** უნდა დაერქვას, ურჩევნია, იყოს **ამერიკის აგენტი,** ვიდრე — რუსეთის (?!) ჩვენ, „ხალხის ძალამ“, გამოვაქვეყნეთ წერილი, რომელშიც დაწვრილებით ვისაუბრეთ, ვინ შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის ინტერესის გამტარებელი და მათი **აგენტი. „უცხოური გავლენის აგენტი“** შეიძლება იყოს ნებისმიერი არასამეწარმეო იურიდიული პირი, მაგრამ ეს სულაც არ არის ნეგატიური სტატუსი.

**— თუმცა, ეს სტატუსი მაინც მინიშნებაა, რომ ისინი საქართველოს წინააღმდეგ უცხოეთისთვის სასარგებლო საქმიანობას ეწევიან.**

— არა, კანონპროექტში არსად წერია, რომ მათი საქმიანობა საქართველოს წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ განა ფაქტი არ არის, რომ ისინი უცხოეთისთვის სასარგებლო საქმიანობას ეწევიან? ამას თავადაც არ უარყოფენ! კანონპროექტში არსად წერია, რომ **„უცხოური გავლენის აგენტი“** მხოლოდ ევროპიდან და ამერიკიდან დაფინანსებულ ორგანიზაციას და იურიდიულ პირს დაერქმევა, ასეთი დეფინიცია გავრცელდება რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან... და ა.შ. ნებისმიერი უცხო ქვეყნიდან დაფინანსებულ არასამთავრობო და მედიასაშუალებებზეც. თუ რომელიმე დაფინანსების წყაროს ინტერესების გამტარებელია, რატომ უნდა ჰქონდეს ორგანიზაციას იმის კომპლექსი, რომ ის ეწოდოს, რაც არის სინამდვილეში?! გვედავებიან იმაზე, რომ მათ უკვე აქვთ გამოქვეყნებული დაფინანსების წყაროსთან დაკავშირებული ინფორმაცია და თუ მართლაც ასეა, განა რა უშლით ხელს, დარეგისტრირდნენ საჯარო რეესტრში, იქაც ასახონ თავიანთი შემოსავლის წყაროები და ყოველწლიურად შეავსონ საფინანსო დეკლარაცია?!

**— თქვენი ოპონენტები გაიძახიან, რომ აღნიშნული კანონპროექტი რუსეთის შესაბამისი კანონის ასლია. ეს სიმართლეა?**

— ვინც ამას გაიძახის, წაკითხულიც არა აქვს ჩვენი კანონპროექტი, რადგან აქცენტს აკეთებენ იმაზე, რაც კანონპროექტში საერთოდ არ წერია! მე ნაკლებად ვიცნობ რუსულ კანონმდებლობას და ვიმეორებ — **ჩვენი კანონპროექტი ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი კანონის მსგავსებით შეიქმნა!** არ გამოვრიცხავ, რუსეთმაც ამერიკული კანონიდან გადმოიღო, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მსგავსი კანონი ყველა განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს. ჩვენი მიზანია, საზოგადოებას შევუქმნათ ზუსტი ინფორმაციის მიღების მყარი მექანიზმი იმის შესახებ, ვინ საიდან ფინანსდება და მერე საზოგადოებამ თავად განსაჯოს, სანდოა თუ არა კონკრეტული იურიდიული პირის, არასამთავრობოს ან მედიასაშუალების პოზიცია. **ვერცერთი ოპონენტი ჩვენს კანონპროექტში ვერ მოიძიებს თუნდაც ერთ წინადადებას, რომელიც დემოკრატიის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს ეწინააღმდეგება!**

**— ნახსენებია თუ არა კანონპროექტში ყალბი ინფორმაციის შესახებ, რასაც ესა თუ ის იურიდიული პირი, არასამთავრობო ორგანიზაცია ან ტელევიზია შეიძლება, გამიზნულად იყენებდეს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის?**

— კანონპროექტში არ არის გათვალისწინებული ყალბი ინფორმაციის პრევენცია, თუმცა, გამოგიტყდებით, რომ „ხალხის ძალა“ ახლო მომავალში მოახდენს მედიაში სიცრუის ტირაჟირების პრევენციული კანონპროექტის ინიცირებასაც, სადაც საუბარი იქნება ფაქტებზე და ამ ფაქტების შეფასებით კატეგორიებზე — იმაზე, რომ თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს, მიიღოს ობიექტური ინფორმაცია, რომლის შეფასებასაც თავად მოახდენს. ეს საჭიროა იმისათვის, რათა ერთმანეთში არ იქნეს არეული ფაქტები და მათი სუბიექტური ანალიზი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ყველა ორგანიზაცია, რომელიც უცხოური დაფინანსების წყაროთი სარგებლობს, საჯარო რეესტრში არდარეგისტრირების შემთხვევაში, დაჯარიმდება. ვიმეორებ — **ამერიკული კანონი გაცილებით მკაცრია და ჩვენი კანონპროექტისგან განსხვავებით, სისხლისსამართლებრივ დევნასაც ითვალისწინებს.**

**გიული ალასანიას ლობისტურ კომპანიასთან მილიონ-დოლარიანი კონტრაქტი რომ ჰქონდა დადებული, საზოგადოებისთვის ცნობილი ვერ გახდებოდა, რომ არა ამერიკული კანონი დაფინანსების წყაროთა გამჭვირვალობის შესახებ.**

**— და მაინც, გახდება თუ არა ეს კანონპროექტი იმისი წინაპირობა, რომ უცხოეთის რეზიდენტული ქსელის გამოაშკარავება დაიწყოს?**

— კანონპროექტის მიზანი ეს არ გახლავთ... მთავარია, ხალხმა იცოდეს, საიდან და რამდენით ფინანსდებიან საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი არასამეწარმეო იურიდიული პირები. **ფინანსდები ამერიკიდან, ევროპიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან ან უცხოეთის სხვა ნებისმიერი ქვეყნიდან? კეთილი ინებე და შეავსე დოკუმენტი! სტატუსი არ მოგწონს? — არა უშავს...** ამერიკაშიც ხომ ასე ჰქვიათ, ვინც უცხოეთიდან იღებს დაფინანსებას! მოკლედ, საზოგადოება უნდა იცნობდეს „უცხოეთის გავლენის აგენტებს!“

**— ეთანხმებით გამოთქმას, რომ „ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს?“**

— არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვეთანხმები თუ არა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ დიდწილად სწორედ ასე ხდება! ესეც რომ არ იყოს, აგერ ამერიკის ელჩმა გვითხრა, რომ მართლმსაჯულების რეფორმებში ფულს იხდიან და პრობლემად არ მიაჩნიათ, დაიბარონ მოსამართლე და კითხვა დაუსვან... ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი უფლებას იტოვებენ, თავიანთი „მუსიკა“ მართლმსაჯულებასაც დაუკვეთონ. ამის საპირისპიროდ, ჩვენ ვაცხადებთ, რომ **გვინდა ყველასთან ცივილური ურთიერთობები, მაგრამ არა ვასალური!** ევროპასთან და ამერიკასთან სწორედ ამ მიზნით ვთანამშრომლობთ და თუ ევროპა მენტალობით საბჭოთა კავშირს დაემსგავსება, ეს ჩვენთვის მისაღები არ იქნება!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***






**„ჩვენი კანონპროექტი ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი კანონის მსგავსებით შეიქმნა!“**

# «ხელისუფლებას ხალხი ირჩევს და რევანშისტებისგანაც ხალხმა უნდა დაიცვას!»

## გრიშა ონიანი:

# გუბაზმა მახვშის სავარძელი ჩემი განცხადებიდან მესამე დღეს დამიბრუნა!

***საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარე გრიშა ონიანი, რომელმაც გუბაზ სანიკიძეს ნაჩუქარი სვანური მახვშის სავარძელი უკან დააბრუნებინა, იმ დროს შენატრის, როცა მთელი საქართველო აღდგება და ამერიკელებს თავის აგენტებიანად ქვეყნიდან გაყრის:***



— სოციალურ ქსელებში გუბაზ სანიკიძისადმი ჩემი მიმართვის მნახველთა რაოდენობამ 300 ათასს გადააჭარბა, 7 ათასზე მეტი მოწონება დაიმსახურა და 2 ათასამდე კომენტარი გაკეთდა. მათ შორის, რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, რომლებიც დიდ გულისწყრომას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ! ზოგი კომუნისტს მეძახის, რაც ჩემთვის სათაკილო არ არის, ხოლო ჩემი სტალინელობა, რასაც ზოგიერთი გამწარებული მიწოდებს, საამაყო და სასიხარულოა. რაც შეეხება მხარდამჭერებს, მათი საოცარი სიმრავლე ენერგიას მმატებს საქართველოს როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრებთან საბრძოლველად.

**— ბატონო გრიშა, ვიდრე საქართველოს შინაურ და გარეშე მტრებზე გადავიდოდეთ, გვითხარით, დაგიბრუნათ თუ არა გუბაზ სანიკიძემ მახვშის სკამი და სად არის დღეს ეს რელიქვია?**

— მეუხერხულება ამაზე საუბარი, მაგრამ, რადგან ასე ჯიუტად მაწვებით, უნდა გითხრათ, რომ გუბაზმა მახვშის სავარძელი ჩემი განცხადებიდან მესამე დღეს დამიბრუნა და იგი თავის ადგილზეა — სვანურ დარბაზში, სადაც ადრე იდგა! მე შესაძლოა, სიტყვა გამექცა და ცოტა უხერხულიც კი გამომივიდა ვიდეომიმართვის ტექსტი, მაგრამ ბოდიშს არ მოვიხდი! ვითვალისწინებ იმასაც, რომ შესაძლოა, ემოციების გამო სიტყვა გაექცა გუბაზსაც, როცა მთელ საქართველოს ტანკების გადავლით დაგვემუქრა და ფაშისტური მეთოდებით ანგარიშსწორებას დაგვპირდა, თუკი რუსეთის წინააღმდეგ ომში არ ჩავებმებით უკრაინელი ფაშისტებისა და ბანდერელების მხარდასაჭერად!

რომ არ მოგატყუოთ, გუბაზის ამ სიტყვების მოსმენამ წონასწორობა დამაკარგვინა და ვიდეომიმართვაც ასე უხეში იმიტომ გამომივიდა. ჩემი სათქმელი ტელეფონით რომ მეთქვა გუბაზისათვის, ჩემს მოთხოვნას აუცილებლად შეასრულებდა, მაგრამ თავს იმით ვიმართლებ, რაკიღა საქართველოს მოსახლეობას უხეშად და მტრული განზრახვით დაემუქრა ტელეეკრანიდან, საკადრისი პასუხი უნდა მიეღო და მიიღო კიდეც! **გუბაზმა ქართველ ხალხს უწოდა „ვირთხები“... თუ ის ამის გამო საქვეყნოდ ბოდიშს მოუხდის ერს, მაგ შემთხვევაში შესაძლოა, მეც მოვუხადო ბოდიში, ხოლო, თუ კვლავ გააგრძელებს როყიო და თავისმომჭრელ განცხადებებს, მაშინ უფრო გამძაფრებულ ტონზე გადავალ!**

**— თქვენ ზემოთ „შინაური და გარეშე მტრები“ ახსენეთ! „მტრებში“ გუბაზ სანიკიძესაც გულისხმობთ?**

— **გუბაზ სანიკიძეს** საქართველოს მტრებში არათუ ვგულისხმობ, არამედ **ფაშისტი უკრაინელების წინამძღოლად მყავს წარმოდგენილი, რომელიც ბეჩოს უღელტეხილის მხრიდან, როგორც 1942 წლის ზამთარში, შემოუტევს საქართველოს და დედაბუდიანად ააოხრებს მოსახლეობას!**

**— ასეთ ადამიანად საქართველოში მარტო გუბაზი მიგაჩნიათ?**

— გუბაზი იმას ლაპარაკობს, რასაც ფიქრობს! მის ირგვლივ შემოხვეული მოღალატე ქართველთა გუნდი ერთი დიდი საგველეთია, რომელიც თავისი სისინითა და შხამის ნთხევით წამლავს არათუ ადამიანებს, არამედ ტერიტორიას! თუ ჩვენ, ამ გესლს გადარჩენილმა ადამიანებმა, არ ვუშველეთ ქვეყანას, ესენი საქართველოს უკაცრიელს გახდიან და აქ მხოლოდ ლგბტ თემი იცხოვრებს!

**— პარლამენტში კანონი შევიდა, რომლის ძალითაც უცხოეთის აგენტებმა თავიანთი შემოსავლები უნდა გაასაჯაროონ! ეს კარგია თუ ცუდი?**

— როდესაც სახელმწიფოში ასეულობით და ათასეულობით **უცხოეთის აგენტია,** რომელ განვითარებასა და წარმატებაზეა საუბარი? როგორც გენიოსი ვაჟა-ფშაველა იტყოდა: **„ძაღლი იმის ერთგულია, ვინც სწვრთნის, ვინც პურს უყრის!“** ჩვენს ქვეყანაში შემოთესლებული **„უცხო ქვეყნის აგენტები“** ისევ ჩვენი „შვილები“ არიან — ჩვენთან აღზრდილები, მაგრამ, საუბედუროდ, სხვაგან გაწვრთნილები და სხვისი ფულით ნასაზრდოები. **აგენტებო, თქვენი კანონები ჩვენს წესსა და კანონს არ ედრება. ჩვენ ჩვენი კანონებით უნდა ვიცხოვროთ.** სწორედ ამაზე ამბობდა ვაჟა და მისი სიტყვები არათუ 1906 წელს, თითქოს გუშინ არის დაწერილი:

> **„თქვენი კანონი თქვენ იცით,**
> **ჩვენი კანონი ესია!...**
> **ფასს დასდებს ბოლოს ქვეყანა,**
> **ვისაც რამ დაგითესიათ“.**

**— და მაინც, რუსეთი რომელი „კანონით“ შეიჭრა დამოუკიდებელი უკრაინის ტერიტორიაზე?**

— **თქვენ ჩემი ბიძაშვილი ხართ თუ დათვის? რომელი? ვინ? სად შეიჭრა და რა მიზეზით?! — ამას თქვენ მართლა მეკითხებით, თუ თქვენც გუბაზის „არმიის“ შიში გალაპარაკებთ — ტანკების ქვეშ მეც არ მოვყვეო?** 2014 წელს, როდესაც კიევის ცენტრი იწვოდა, როდესაც რუსებით დასახლებულ უზარმაზარ ტერიტორიებზე ცეცხლში იყო გახვეული ქალაქები, როდესაც კარპატების სადამსჯელო რაზმებს უკრაინის მაიდანზე ამერიკის მაღალჩინოსანი **ნულანდი** ორცხობილებსა და „პონჩიკებს“ ურიგებდა, ხოლო ნატოს სარდლობა ფარულად იარაღით ამარაგებდა ნაცისტ ბოევიკებს, მაშინაც პუტინი იყო დამნაშავე? **8 წელიწადი ებრძოდა ძირძველი უკრაინის რუსულ მიწაზე მცხოვრები რუსი ხალხი გერმანულ ფაშიზმს, რომელსაც ორივე ძუძუთი კვებავდა ამერიკის სისხლმოწყურებული კაპიტალისტური იმპერია.** ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც სახელმძღვანელოდ წინ ედოთ მათივე ხელმოწერილი შეთანხმება უკრაინის ტერიტორიული მოწყობის შესახებ. როგორც ბოლოს გაირკვა, რაც გერმანიის ყოფილმა კანცლერმა **ანგელა მერკელმა** და უკრაინის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა **იანუკოვიჩმა** დაადასტურეს — ეს ხელშეკრულება, რომელიც მინსკში დაიდო, იყო თვალის ახვევისა და მოსკოვის მოტყუების დოკუმენტი, რათა მომხდარიყო უკრაინის მილიტარიზაცია. 8 წლის განმავლობაში მთელი უკრაინის მოსახლეობა მართლაც თხუნელასავით მიწის ქვეშ იყო ჩამძვრალი და მრავალკილომეტრიან თავდაცვის ზღუდეებს აშენებდა, მას შემდეგ, რაც რუსეთის გაფრთხილებების მიუხედავად, მოქმედებაში არ მოვიდა მინსკის ხელშეკრულება, ხოლო რუსულ მიწაზე — დონბასსა და ლუგანსკში — რუსი მოსახლეობა — უამრავი ბავშვი, ქალი და მოხუცებული მიწაში არ ჩაწვა, სრული უპასუხისმგებლობა იქნებოდა, რუსეთის ხელისუფლებას არ შეესრულებინა თავისი კონსტიტუციური მოვალეობა და არ დაეწყო სპეცოპერაცია უკრაინაში წესრიგის დასამყარებლად ზუსტად ისე, როგორც ეს ცხინვალის პირობებში მოხდა, როდესაც ღამით, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, სანტექნიკოს ლომაიას სარდლობით, ქართულმა ჯარმა „გრადებიდან“ გაუხსნა ცეცხლი ჩაძინებულ მოსახლეობას. ამ ნაბიჯს რუსი „მიროტვორცებიც“ შეეწირნენ და რუსეთიც იძულებული გახდა, დაეცვა თავისი ხალხი და სააკაშვილის დაწყებული ომი სამ დღეში დაამთავრა. განსხვავება იმაშია, რომ მაშინ საქართველო მარტო დარჩა, ყოველგვარი დახმარებისა და გვერდში დგომის გარეშე. დასავლეთელი მაღალჩინოსნები მოვიდნენ მხოლოდ თბილისის ცენტრალურ მოედანზე, სადაც გაიმართა გრანდიოზული საზეიმო მიტინგი მტერზე „გამარჯვების“ აღსანიშნავად და მსოფლიოსთვის იმის სათქმელად, რომ რუსებს თავდაცვისთვის, თურმე, ტანკები და თვითმფრინავები გააჩნიათ. აი, ასეთია იმჟამინდელი საქართველოსა და ამჟამინდელი უკრაინის მდგომარეობის მორალი!

**— რას იტყვით ევროპარლამენტის მორიგ რეზოლუციაზე ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების შესახებ?**

— ბატონ ბიძინაზე სოციალურ ქსელებში მის დაბადების დღესთან დაკავშირებით ვიდეომიმართვა გავავრცელე, სადაც აღვნიშნე — **ბატონო ბიძინა, ქართველმა ხალხმა ისე უნდა გიმღეროს, როგორც ადრე ბელადს უმღეროდა-მეთქი:**

> **„მზე გველეშაპს გამოსტაცე,**
> **ხალხს სამშობლო დაუბრუნე!“**

სტალინი ამბობდა: **„როდესაც დასავლეთი ჩვენს საქმიანობას აქებს, ესე იგი, ჩვენ სწორი გზით არ მივდივართ და ვაკეთებთ მათთვის სასარგებლო საქმეს, ხოლო, როდესაც ისინი გვლანძღავენ, სწორედ მაშინ ვადგავართ სწორ გზას და ვაშენებთ ქვეყანას!“** მე დასავლეთსა და მათ გამოზრდილ ლეკვებზე ეჭვი იმან გამიჩინა, ყოველნაირ ხერხს რომ გვაჩეჩებენ ხელში იმ ტოტის მოსაჭრელად, რომელზეც ვზივართ! როგორ შეიძლება ნორმალურ ადამიანს, გინდ — დასავლეთელსა და გინდ — ადგილობრივს, ბიძინა ივანიშვილის წარუმატებლობა გაუხარდეს? ნუთუ ისე დაბრმავდა და გამოთაყვანდა ქართველი ერი, ათი წლის წინანდელი საშინელებები დაავიწყდა?

ხელისუფლებას ხალხი ირჩევს და რევანშისტებისგანაც ხალხმა უნდა დაიცვას! ამასწინანდელი ხელისუფლება ცალ-ცალი კალოშით მოვიდა ხელისუფლებაში, ამ გაჩანაგებული ქვეყნიდან მილიარდები გაიტაცა და ახლა საზღვარგარეთიდან ებრძვის ქართველ ხალხსა და საქართველოს ხელისუფლებას! **ნუთუ ხელისუფლებას არ შესწევს ძალა, შეკრიბოს ერი და საქართველოში გაჯეჯილებულ მეხუთე კოლონას ანახოს იმ ხალხის ძალა,** რომელიც თავისი ტერიტორიების, ეკლესიის, ენისა და მამულის შესანარჩუნებლად გაერთიანდება და მთელი მსოფლიოს გასაგონად იტყვის: **გაეთრიეთ აქედან! იანკებო, წადით სახლში!**

ბატონი ბიძინას დაცვა იმ მომაკვდავის დაცვაა, რომელიც ბიძინამ გადაარჩინა; იმ უდიდესი სამონასტრო კომპლექსის დაცვაა, რომელსაც წმინდა სამება ჰქვია; იმ 300 ათასი ქართველის გათავისუფლების დაცვაა, რომელიც მსჯავრდებული იყო წინა ხელისუფლების მიერ. არ ვამბობ, რომ ყველა დანაპირები ასრულდა! სრულებითაც არა, მაგრამ ის ბოროტება და უსინდისობა ხომ აღარ ხდება, რასაც სააკაშვილის დილეგში ჰქონდა ადგილი! **ბატონო დიტო,** აქამდე თქვენს კითხვებს ვპასუხობდი, ახლა მეც მაქვს თქვენთან სათხოვარი. ბატონ ლაშას — თქვენს რედაქტორს — მოახსენეთ, რომ მსურს, ჩემი ინტერვიუ **დიდი ვაჟას** ერთი ლექსით დავამთავრო და ეს ლექსი, რომელიც თავისუფლად შეიძლება გაჟღერდეს **სააკაშვილის მისამართით,** უცვლელად დაბეჭდოთ!





**„გუბაზ სანიკიძე ფაშისტი უკრაინელების წინამძღოლად მყავს წარმოდგენილი, რომელიც ბეჩოს უღელტეხილის მხრიდან, როგორც 1942 წლის ზამთარში, შემოუტევს საქართველოს და დედაბუდიანად ააოხრებს მოსახლეობას!“**

**„სტალინი ამბობდა: როდესაც დასავლეთი ჩვენს საქმიანობას აქებს, ესე იგი, სწორი გზით არ მივდივართ და ვაკეთებთ მათთვის სასარგებლო საქმეს!“**

### დათვის ტირილი

დათვმა სთქვა: „ის დრო მერჩივნა,
როცა ჯანსაღად ვიყავი;
დროების სატარებლადა
არ მჭირდებოდა მკითხავი.
მე მეკუთვნოდა მთა-ბარი,
მოურიდებლად ვიდოდი.
მჭლეებში მსუქანს ვარჩევდი,
არჩევაც კარგად ვიცოდი.
მდევარსა ვცემდი თავში ტორს,
პირდაპირ გადავიდოდი.
მისრულდებოდა სურვილი,
მინამ ერთს სიტყვას ვიტყოდი.
გამიეშმაკდა ქვეყანა,
თავზე მესხმიან ძაღლები;
რიდი და შიში აღარ აქვსთ,
თოფით დამდევენ ბალღები,
იქამდის გამითამამდენ,
დამკოდეს, წყლულნი მტკივიან:
„უარეს საქმეს დაგმართებთ
ხვალ, ხვალ-ზევითო“, — ჰკივიან.
ხვალისა უფალმა იცის.
ეს არის ცუდი ნიშანი:
მიცქერენ კურდღლის კვალადა,
როგორც ქვეყანა ვიცანი.
ჩემს ნათესავებს უთხარით,
მოვიდენ, მნახონ თვალითა;
უნდა ანდერძად დავუგდო,
რომ იმოქმედონ ძალითა.
ძალას დაეყრდნონ, რომ აღსდგეს
შეგინებული სახელი,
თორემ სამუდმოდ გაქრება
დათვთა და მგელთა სანთელი.
ძალა და შიში ყოველგან! —
ეს არის ჩემი სათქმელი.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# კუილიუსები

***ამ რამდენიმე წლის წინათ „ასავალ-დასავალში" გამოქვეყნდა ცნობილი წერილი სათაურით — „გაკუების შესახებ", რომელშიც აღწერილი და გაანალიზებული იყო არა უკანალიდან მყრალი აირების ხმაურით გამოტყორცნის პროცესი, არამედ ის საშინელება და უბედურება, რაც კოლექტიურმა „გაკუმ", ანუ იმავე გოკა გაბაშვილმა ხალხსა და ქვეყანას მოუტანა.***






## თითოეულ „კუილიუსს" გიულიუს ალასანიუსისგან, დიდი ალბათობით, უზარმაზარი ფულიუსი აქვს აღებული!

სხვათაშორის, სწორედ კოლექტიური „გაკუს" კულტურის მინისტრობის დროს იყო, სააკაშვილმა ცხონებულ **გურამ შარაძეს** პირველი ტყვია რომ ესროლა და საჯარო ბიბლიოთეკაში რაფალ ოლბინსკის გარყვნილი ნახატების ჩამოხევის გამო თხუთმეტი დღით ციხეში გაამწესა. მერე 2007 წლის 20 მაისის ტრაგედიაც დატრიალდა, როცა გურამ შარაძე მელიქიშვილის გამზირზე სახალხოდ დახვრიტეს... **ეს საკონტროლო გასროლა გახლდათ, რომელიც სერიული მკვლელის — სააკაშვილის პირადი ბრძანებით განახორციელეს, თორემ ნაცები ხელისუფლებაში მოვიდნენ თუ არა, იმ დღიდან სამშობლოსთვის დამაშვრალი აკადემიკოსი სააკაშვილისა და მისი ხროვისთვის უკვე მკვდარი იყო...**

მაშინ „ასავალ-დასავალი" ბრძოლის წინა ხაზზე იდგა და აწ განსვენებული **გურამ შარაძის** სიმართლეს იცავდა, რასაც ვერ ვიტყვით იმ მანქურთებზე, რომლებსაც აკადემიკოსის ჯერ დაპატიმრება და მერე დახვრეტა გაუხარდათ და სააკაშვილის გარშემო დავლურს უვლიდნენ.

რაც შეეხება **„კუილიუსებს"**, თავიდანვე ვაცხადებთ, რომ კუჭ-ნაწლავიდან დაძრული მყრალი გაზების აფეთქების აღწერას არც წინამდებარე წერილი ისახავს მიზნად! **„კუილიუსი" ლიეტუველი ევროდეპუტატისა და 2008-2012 წლებში ლიეტუვის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ანდრიუს კუბილიუსის მეტსახელია, რომელიც მას ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა, პროფესორმა ედიშერ გვენეტაძემ შეარქვა.** ეს ის **„კუილიუსია"**, რომელმაც წინა კვირას შემოგვითვალა — **თუ ჩვენს ჭკუაზე არ გაივლით, კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებთო!** როგორც **„გაკუების"**, ისე კოლექტიური **„კუილიუსების"** შემთხვევაში, სურათი უცვლელია — **გარშემო ყველაფერი ყარს და ტყუილი და მართალი ერთმანეთში ისეა აზელილი, როგორც სააკაშვილის „ფეკალბურთები", რომლებსაც მღელვარე პაციენტი კლინიკა „ვივამედის" ექიმებსა და ექთნებს დროგამოშვებით ესვრის ხოლმე.**

**ანდრიუს კუბილიუსიც, ანა ფოტიგუსიც, მარკეტა გრიგორიუსიც, რასა იუკნევიჩიანეუსიც, მირიამ ლექსმანიუსიც,** სენატორი **რიშიუსიც,** კონგრესმენი **კინზინგერიუსიც,** პრეზიდენტი **ზელენსკიუსიც,** სამშობლოს მოღალატე **დავით არახამიუსიც,** კონჩიტობაში ეჭვმიტანილი **ოლექსი არესტოვიჩიუსიც,** რუსეთის ნომრიანი აგენტი **ლიაკა ხოშტერიუსიც,** ზურაბ ჟვანიას სისხლში ამოვლებული **გია ბარამიუსიც,** შეფურთხების პროფესორი **გია ბულაძიუსიც,** ლგბტ აქტივისტი **დავით ბერძენიუსიც** და მისი „გაკურდღლებული" ძმა **ლევან დელფინიუსიც,** ხაბეიშვილის გაგდებული **რომანა გოცირიუსიც,** კედლებთან მოლაპარაკე **ჭიჭე ვაშაძიუსიც,** „ხანდაზმული თაღლითი" **მამუკა ხაზარიუსიც,** თვითგამოცხადებული ჟურნალისტი **ელისტრაკო კილიუს-პრუწუსიც,** რომელსაც „ხანდაზმულმა თაღლითმა" მამუკა ხაზარაძემ თუ მენაშენეების „გადამგდებმა" ვინმე ჯიბლაძემ ან პრო...ძემ **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** 150 ათასდოლარიანი „ლენდ კრუიზერ-300" უყიდა, სუყველანი **კოლექტიური „კუილიუსები"** არიან, რომლებსაც ერთადერთი მიზანი აქვთ — ნაცების ხელისუფლებაში მობრუნება და „ქართული ოცნების" დაპატიმრება!

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ევროსაბჭოში **577 „კუილიუსის"** მიერ წინა კვირას მიღებული სარეკომენდაციო ხასიათის რეზოლუცია — **სააკაშვილი გამოუშვით და ბიძინა ივანიშვილი დაასანქცირეთო!**

ამ საქმის მთელი საიდუმლოება ის არის, რომ ზემოხსენებულ **თითოეულ „კუილიუსს" გიულიუს ალასანიუსისგან,** დიდი ალბათობით, უზარმაზარი **ფულიუსი** აქვს აღებული! მოგეხსენებათ, პროფესორი **გიულიუს ალასანიუსი,** რომელიც მოწოდებით, რა თქმა უნდა, **„კუილიუსია",** ამავდროულად, როკფელერების შთამომავალი გახლავთ და ფული ბჟირივით უყრია... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბებიამ და ბაბუამ **გიულიუსს** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსებიც კი მზითევში აჩუქეს... დიახ, ჩვენი ღრმა რწმენით, ქოშიგორაში სწორედ **გიულიუს ალასანიუსის** მიერ ჩამარხული მილიონებია იმის მიზეზი, რომ **კოლექტიური „კუილიუსები"** ლამის ნაკერავზე სკდებიან, ისე არიან მოწადინებული სააკაშვილის გათავისუფლებით.

ვინც ირაკლი ღარიბაშვილს მიუნხენის კონფერენციაზე სააკაშვილის შესახებ შეკითხვა დაუსვა, ისიც **კოლექტიური „კუილიუსია"...**

**„კუილიუსია" ყველა, ვინც ევროპაში დაწანწალებს და გარშემო ყველაფერს შხამავს — საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მისცეთო!**

აი, მაგალითად, ამ ორიოდე კვირის წინათ ტელეკომპანია „იმედის" კამერამ შვედეთში სამი რძენაწყენი და ქართველთმოძულე **„კუილიუსი"** გამოიჭირა — **ზურაბ ჭიაბერიუს-ფალოსიუსი, სერგი ბექეკიუს-კაპანუსი და თორნიკე გორდაძიუს-უკანალიუსი.** 1795 წლის 11-13 სექტემბრის კრწანისის ტრაგედიის დროს რაც **არტემ არარატიანცმა** და **იოსებ არღუთინსკიმ** ჩაიდინეს, ეს სამი სალახანა და მოღალატე შუა ევროპაში სწორედ იმას სჩადიოდნენ — **დაეთრეოდნენ კაბინეტიდან კაბინეტებში და სადაც და ვისთანაც კი ხელი და ორტოტა ენა მიუწვდებოდათ, ყველას შხამავდნენ — საქართველოს დამცველები არ ჰყავს, შეუტიეთ, იქნებ, ქვეყანას კანდიდატის სტატუსი არ მიანიჭონო!**



**ნაპოლეონი ამბობს: შესაძლებელია, დაამარცხო ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც საუკეთესო არმია იცავს, მაგრამ შეუძლებელია იმ ქვეყნის დამარცხება, რომელსაც ხალხი იცავს!**

ერთხელ და სამუდამოდ გაიგონ **კოლექტიურმა „კუილიუსებმა",** რომ საქართველოს დღეს საუკეთესო დამცველი ჰყავს — **ქართველი ხალხი,** რომელიც ყველაფერს მიხვდა, მოყვრის ღიმილს მიღმა ბოროტი და დაუნდობელი მტრის ჩასისხლიანებული თვალები დალანდა და ისიც კარგად გაისიგრძეგანა, თუ რა დაემართება ქვეყანას, **კოლექტიური „კუილიუსების"** მოწოდებებს რომ ავყვეთ და საქართველო, უკრაინის მსგავსად, რუსეთ-ამერიკის სამხედრო დაპირისპირების პოლიგონად გადავაქციოთ!

ნაპოლეონი ამბობს: **შესაძლებელია, დაამარცხო ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც საუკეთესო არმია იცავს, მაგრამ შეუძლებელია იმ ქვეყნის დამარცხება, რომელსაც ხალხი იცავს!**

დღეს ქართველი ხალხი მიხვდა იმას, რის შესახებაც საქართველოს სულმნათი და ერთადერთი ლეგიტიმური პრეზიდენტი ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ წერდა და გვაფრთხილებდა — **საქართველოში რა უბედურებაც დაგვემართა, ყველაფერი ოკეანის გაღმიდან დაიგეგმაო!**

ამიტომ **გიულიუს ალასანიუსმა და კოლექტიურმა „კუილიუსებმა"** ქოშიგორა კი არა, ბაიდენის სრა-სახლები და **ჩოილარიუს ჩალაძიუსის** ჭრელი ნიფხავიც რომ გაყიდონ, ქართველ ხალხს მაინც ვერ მოაღორებენ!

**კოლექტიური „გაკუებისა" და „კუილიუსების"** გასაქრობად მრავალი მეთოდი არსებობს, მაგრამ ყველაზე უმტკივნეულო და გამოცდილი მაინც ერთია — ფანჯარიუსის გამოღება და ოთახის განიავება, ანდა **შალვუს ნათელიუსის ფანჩატურიუსში** ოპოზიციის შეკრება!

მჯერა, ამ გაზაფხულზე, როცა ჰაერში საქართველოს ბარაქიანი მიწისა და მთის ყვავილების სურნელი დატრიალდება, **აყროლებული „გაკუების" და „კუილიუსების"** სუნს მარტის ქარი წარიტაცებს!

***დიტო ჩუბინიძე***



**გოკა, იგივე „გაკუ" გაბაშვილი**

**კოლექტიური „გაკუებისა" და „კუილიუსების" გასაქრობად მრავალი მეთოდი არსებობს, მაგრამ ყველაზე უმტკივნეულო და გამოცდილი მაინც ერთია — ფანჯარიუსის გამოღება!**

# მზე გაზაფხულისა: მედეა ჯაფარიძე 100 წლისაა!

***20 თებერვალს ქართული თეატრისა და კინოს ლეგენდას, უმშვენიერეს მედეა ჯაფარიძეს 100 წელი შეუსრულდებოდა. იგი 71 წლის ასაკში წავიდა ამქვეყნიდან — ბოლო წუთამდე ლამაზი და მშვენიერი და გვჯერა, რომ 100 წლის ასაკშიც ისეთივე მომხიბვლელი, სპეტაკი და ამაღლებული იქნებოდა, როგორიც გვახსოვს. ცნობილი რეჟისორი თემურ ფალავანდიშვილი იხსენებს 50 წლის წინათ, 1973 წელს, გადაღებულ ფილმს „მზე შემოდგომისა“, რომლის სცენარიც სწორედ მედეა ჯაფარიძისთვის დაწერა მისმა მეუღლემ რეზო თაბუკაშვილმა:***





კადრები ფილმიდან „მზე შემოდგომისა“



კადრი ფილმიდან „ქეთო და კოტე“



## თემურ ფალავანდიშვილი:

## მედეა ჯაფარიძე დღესაც ქალობისა და სილამაზის ეტალონია, წლები ვერაფერს დააკლებდა მის სულსა და არსებას!

— მახსოვს, **რეზო თაბუკაშვილს** დილის კინოსტუდიის ჰოლში შევხვდი, კინოსცენარი მომცა, წაიკითხეო. ეს იყო სცენარი კინოფილმისა **„მზე შემოდგომისა“,** რომელიც ჩემამდე ერთ რეჟისორს ჰქონდა წაკითხული, მაგრამ სცენართან შეხების წერტილები ვერ მოენახა. რეზოს მაშინ ავტომანქანა „ვოლგა“ ჰყავდა, ჩამსვა და ძველ თბილისში წამიყვანა — ქალაქში თავისი წერტილები ჰქონდა, საიდანაც დედაქალაქი კიდევ უფრო ლამაზი და დიდებული ჩანდა. დავდიოდით ქალაქის ძველ ქუჩებში და მივხვდი, რომ მთავარ გმირებთან ერთად, ძველი თბილისიც ამ ფილმის მთავარი პერსონაჟი უნდა გამხდარიყო.

**— რეზო თაბუკაშვილმა გთხოვათ, რომ მთავარ როლში მისი მეუღლე გადაგეღოთ?**

— რეზოს ამის შესახებ არაფერი უთქვამს, მაგრამ სცენარი წავიკითხე თუ არა, მივხვდი, რომ ფილმის მთავარი გმირი — ეკა სწორედ **მედეა ჯაფარიძე** იყო თავისი მდიდარი შინაგანი ბუნებით, პიროვნული თვისებებით, ერთგულებითა და ოჯახისთვის თავდადებით.

ვერც კი წარმომიდგენია, მედეას გარდა, სხვა ვინ უნდა გადამეღო, ან ვისთვის უნდა ეთქვა რეზო თაბუკაშვილს გულიდან ამოსული სიტყვები: **„მე დღეს შენი ნაოჭები უფრო მიყვარს, ვიდრე შენი სახე 20 წლის წინათ“.** მედეა ჯაფარიძე ამ ფილმში 50 წლისაა. **ვერიკო ანჯაფარიძე** მასზე ამბობდა, მედეა გაზაფხულის ყვავილს მაგონებს, რომელიც ნაზ სურნელებას გამოსცემს და გათბობსო. მედეა ყველას უყვარდა და სიკეთის განსახიერებად თვლიდნენ, ამბობდნენ — მასთან მყოფს გჯერა, რომ ამქვეყნად ბოროტება არ არსებობსო.

„მზე შემოდგომისა“ მედეასა და რეზოს სიყვარულის ანარეკლია. ამ ფილმზე მთელი გულითა და მონდომებით იმუშავეს კინოოპერატორმა **ლომერ ახვლედიანმა** და კომპოზიტორმა **ვაჟა აზარაშვილმა,** რომელმაც შესანიშნავი მუსიკა შექმნა. მადლობელი ვარ მთელი შემოქმედებითი ჯგუფის, მედეა ჯაფარიძესთან ერთად **ოთარ მეღვინეთუხუცესმა, გივი ბერიკაშვილმა, გურანდა გაბუნიამ, კახი კავსაძემ, სესილია თაყაიშვილმა** და სხვა ცნობილმა მსახიობებმა თავიანთი უბადლო შესრულებით ერთად შევქმენით ეს ფილმი. მინდოდა, რამდენიმე კადრში **რეზო თაბუკაშვილიც** გადამეღო, მაგრამ ვერ დავითანხმე. ეს იყო ჩემი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი.

**— მედეა ჯაფარიძე თქვენს ნათესავად ითვლებოდა...**

— **რეზო თაბუკაშვილი** დედაჩემის დეიდაშვილი იყო, ესე იგი, მედეა ჩვენი ოჯახის რძალი გახლდათ. ბავშვობის გარკვეული წლებიც თაბუკაშვილებთან მაკავშირებდა, მაშინდელ კიროვის ქუჩაზე მეზობლები ვიყავით. ქალბატონი მედეაც, ფაქტობრივად, ბავშვობიდან მახსოვს, მათი შვილი — **ლაშა** ჩემი დის — ქეთის მეგობარი იყო, თითქმის ერთი ასაკის, დაბადების დღეებსა და სხვა დღესასწაულებზე ერთად ვიკრიბებოდით.

**— ამბობენ, რომ ერთხანს მედეა ჯაფარიძეს ფილმებში აღარ იღებდნენ...**

— ფაქტობრივად, 1948 წელს ფილმ **„ქეთო და კოტეში“** გადაღების მერე **მედეა ჯაფარიძე** 25 წლის განმავლობაში კინოში აღარ გაბრწყინებულა (თუმცა, რამდენიმე ფილმში ითამაშა) და **„მზე შემოდგომისა“** იყო მისი დაბრუნება ეკრანზე, სადაც თავისი სათნოებით მაყურებლის გული კიდევ ერთხელ გაათბო. სხვათაშორის, სწორედ რეზო თაბუკაშვილმა შემომთავაზა ამ ფილმის გარკვეული ეპიზოდების გადაღება დიდი მხატვრის **ელენე ახვლედიანის** სახელოსნოში. მეუხერხულებოდა, როგორ შევაწუხომეთქი, მაგრამ ქალბატონი ელენე რეზოსა და მედეას მეგობარი იყო, ამიტომ სიამოვნებით დაგვთანხმდა. სწორედ მის სახელოსნოშია გადაღებული **ლადო გუდიაშვილის ცეკვაც** და დღემდე სანანებლად მაქვს, ამ დიდი ხელოვანის ცეკვის ამსახველ სცენას ცოტა მეტი დრო რომ არ დავუთმე. ახალგაზრდა ვიყავი, მერიდებოდა ასეთ ტიტანებთან სითამამე.



რეზო თაბუკაშვილი და მედეა ჯაფარიძე

**— გვიამბეთ ამ ფილმში მედეა ჯაფარიძის მუშაობის შესახებ...**

— ქალბატონ მედეასთან ჩემი ასისტენტი **ზაურ ტყეშელაშვილი** მყავდა მიმაგრებული, გადაღებაზე მოსაყვანად დილის 9 საათზე კი აკითხავდა, მაგრამ მედეა მას სახლში შეიპატიჟებდა, ასაუზმებდა და გადაღებაზე გვიან, 12 საათზე მოდიოდნენ. იძულებული გავხდით, მის რეჟიმს მოვრგებოდით. ერთხელ გაგვიბრაზდა, 3 დღე არ გველაპარაკებოდა. **ბრიშა ქსოვრელთან** და მის ამქართან ერთად სიმღერის **„გამარჯობა ჩემო თბილის-ქალაქო“** შესრულება მოისურვა. ფილმში ამის ჩართვა ცოტა რთული იყო, თან ფირის პრობლემაც გვქონდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, მხოლოდ დასაწყისი გადაგვეღო. მედეამ იმღერა, მაგრამ, როცა მიხვდა, რომ გადაღება შევწყვიტეთ, ეწყინა და წავიდა. ბოლოს, რა თქმა უნდა, შევრიგდით და მუშაობაც გავაგრძელეთ.

ზოგიერთი ეპიზოდი მედეასა და რეზოს ცხოვრების რეალური ისტორიიდანაა, მაგალითად, პურის საცხობთან ჩხუბის ეპიზოდი, სადაც სამი კაცი ერთს სცემს და ეკა ვახტანგს (ფილმის გმირები) იმ ერთის საშველად ჩხუბში ჩართვას სთხოვს. მახსოვს, შეშის თონე ვორონცოვზე ძლივს აღმოვაჩინეთ, მაშინ თბილისში ასე მრავლად არ იყო თონეები...

**მედეა ჯაფარიძე და რეზო თაბუკაშვილი** საოცრად უხდებოდნენ თბილისს, 83 წლის ვარ, ჩემს თაობას და ცოტა უმცროსებს ძალიან კარგად ახსოვთ ისინი, მათი გამოჩენა ქუჩაში დღესასწაული იყო. მედეა ჯაფარიძის სილამაზე განუმეორებელია, ის იყო ნიჭიერი, სიკეთით სავსე, ყველას გულშემატკივარი, მეუხერხულება კიდეც ამდენი საქებარი სიტყვების თქმა.

**— 20 თებერვალს მედეა ჯაფარიძეს 100 წელი შეუსრულდებოდა...**

— ბედნიერი ვარ, რომ მასთან მქონდა ურთიერთობა, რომ ჩემს ფილმშია აღბეჭდილი იმ ქალბატონის მშვენიერება, რომელიც მთელ საქართველოს უყვარდა და დღესაც ქალობისა და სილამაზის ეტალონია. 100 წლის ასაკშიც კი ისეთივე ლამაზი და მშვენიერი იქნებოდა, როგორიც გვახსოვს, წლები ვერაფერს დააკლებდა მის სულსა და არსებას. **მისი და რეზო თაბუკაშვილის არყოფნა დიდი დანაკლისია საქართველოსთვის, გარდაცვალებამდე ბატონმა რეზომ თქვა, გრძელვადიან მივლინებაში მივდივარ, საიდანაც ვერ ბრუნდებიანო.** ეს წყვილი ერთად განისვენებს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, მაგრამ მათი სიყვარულის ისტორია დღემდე ლეგენდად გრძელდება, მათი სახელები დაუვიწყარია და უკვდავებაშია დავანებული.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

### ბოლოთქმა

მედეა ჯაფარიძის ბოლო შეხვედრა ფართო საზოგადოებასთან შედგა 1991 წლის ოქტომბერში თბილისის ზღვასთან არსებულ მოხუცებულთა პანსიონატში. ოჯახის წევრების გარეშე დარჩენილ მოხუცებს მოეფერა, გაამხნევა, ლექსები წაუკითხა და უამბო, წლების წინათ პარიზში მოხუცებულთა პანსიონატში როგორ შეხვდა გალაკტიონის მუზას — **მერი შერვაშიძეს.** როგორც ამ საღამოს დამსწრენი ამბობდნენ, ამ ამბავმა სევდიანი მოხუცები გაამხნევა და გაახალისა. **მედეა ჯაფარიძე გარდაიცვალა 1994 წლის 31 მარტს. იმ გაზაფხულზე — 1 აპრილს თბილისში თოვლი მოვიდა და ბუნება ასე გამოეშვიდობა თავის რჩეულ, განუმეორებელ მედეა ჯაფარიძეს.**

***ხელ-ფეხის სიცივე უამრავ ადამიანს ტანჯავს, რაც არაერთი სერიოზული დაავადების სიმპტომია. მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ, თუ ხელ-ფეხში ხშირად გვაციებს, უპირველეს ყოვლისა, ფარისებრი ჯირკვალი უნდა შევიმოწმოთ:***





## კახა საბახტარიშვილი:

# სიცივე ტერფებში ხშირად დიაბეტის პირველი ნიშანია!

— ზამთრის სუსხს ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ხელებისა და ფეხების სიცივით გრძნობს. ეს ბუნებრივია, რადგან ადამიანი ზამთარში სითბოს კარგავს, ხოლო მის ძირითად შინაგან ორგანოებს — გულს, ღვიძლს, ტვინს, ფილტვებსა და თირკმლებს მუდმივად სითბო სჭირდებათ. ამ ორგანოების ტემპერატურა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს 37 გრადუს ცელსიუსზე ნაკლები. ეს სითბო ორგანიზმმა უნდა მიიღოს სისხლის შეუფერხებელი მიწოდებით, რაც ზამთრის სუსხში პრობლემატურია. საქმე ის გახლავთ, რომ სიცივის დროს ტვინი ზედა და ქვედა კიდურების სისხლძარღვებს „უბრძანებს“, შევიწროვდნენ, რათა სისხლი ძირითადი ორგანოებისკენ გადაისროლონ. სწორედ ამის შედეგია, რომ ზამთარში ჩვენი სხეულის პერიფერიული ნაწილები — ხელის მტევნები, ტერფები, ყურები და ცხვირი ცივია!

**— გასაგებია, რომ ზამთარში ხელებისა და ფეხების გაცივება ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც ხელ-ფეხი ზამთარ-ზაფხულ გაყინული აქვთ. რა არის ამის მიზეზი?**

— ბევრი ხელ-ფეხის მუდმივ სიცივეს ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს, არადა, ეს შესაძლოა, ძალიან სერიოზული დაავადებების მანიშნებელი იყოს! თუ ხელ-ფეხი ხშირად ცივი გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, ფარისებრი ჯირკვალი გამოვიკვლიოთ, რომელიც ადამიანისთვის ენერგეტიკული სადგურის როლს ასრულებს. როდესაც მისი ფუნქცია დაქვეითებულია, ანუ ადგილი აქვს ჰიპოთირეოზს, სხეულში ნივთიერებათა ცვლა ნელდება და ხელ-ფეხის ტემპერატურაც დაბლა იწევს. **ჰიპოთირეოზს ასევე ახასიათებს: მოდუნება, ძილიანობა, წონაში მატება, სახის შეშუპება, დაბალი პულსი, კანის სიმშრალე, აქერცვლა და გასქელება.** თუ ხელ-ფეხის სიცივესთან ერთად ეს სიმპტომები გამოხატული გვაქვს, აუცილებლად უნდა მივაკითხოთ ენდოკრინოლოგს და გავისინჯოთ ჰიპოფიზის თირეოტროპული ჰორმონისა და თიროქსინის ლაინ, ანუ T4-ის დონე. ხელ-ფეხის სიცივე დამახასიათებელია რკინადეფიციტური ანემიისთვისაც. ამ დროს ორგანიზმში რკინის ნაკლებობაა, რკინა კი, თავის მხრივ, სისხლის წითელი ბურთულების — ჰემოგლობინის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. სწორედ მისი მეშვეობით იერთებს ჰემოგლობინი ჟანგბადს და მიაქვს ყველა უჯრედთან. რკინის ნაკლებობა თავისთავად ჰემოგლობინის ნაკლებობას ნიშნავს. ამ დროს ადამიანის კანი, განსაკუთრებით ხელის მტევანი, ფერმკრთალია და ცივი. ასეთ ადამიანებს აღენიშნებათ თავბრუხვევა, სწრაფი დაღლა, ყურებში შუილი, გულისცემის აჩქარება და ქოშინი.

**— თუ ადამიანს გამოკვლევებით ვერანაირი დეფექტი ვერ დაუდგინდა და ხელ-ფეხი მაინც გაცივებული აქვს, ეს რისი ნიშანია?**

— ეს შესაძლოა, იყოს **ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის** ნიშანი. ასეთი ადამიანი უჩივის ჰაერის უკმარისობას, თავბრუხვევას, გაღიზიანებადობას, ადვილად დაღლას, გულის არეში ჩხვლეტას, როცა ამ ორგანოზე არავითარი პათოლოგია არ ფიქსირდება და წნევის ცვალებადობას, რომელიც ხან ძალზე მაღალია, ხანაც — დაბალი. **ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონია დამახასიათებელია იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ბევრი ნერვიულობა უწევთ, ხოლო ტერფების სიცივე ხშირად დიაბეტის პირველი ნიშანია!**

საქმე ის არის, რომ დიაბეტის დროს სისხლძარღვები განსაკუთრებით ტერფის მიდამოში ზიანდება, სისხლის მიმოქცევა ირღვევა და თუ შაქარი არ დავირეგულირეთ, შესაძლოა, საქმე განგრენამდეც მივიდეს! ამიტომ ჩემი რჩევაა — ყოველთვის დაითვალიერეთ ფეხის გულები და თუ უმტკივნეულო ნახეთქებს შეამჩნევთ, საგანგაშო ნიშნად ჩათვალეთ. დიახ, ეს იმას ნიშნავს, რომ სახეზე გვაქვს **დიაბეტური ანგიოპათია,** რომელიც განგრენის საწყისი სტადიაა. ნებისმიერ ნახეთქს ნერვული დაბოლოებებით ტკივილის სახით უნდა შევიგრძნობდეთ. დიაბეტის დროს ქვედა კიდურებისა და, განსაკუთრებით, ტერფების სისხლით მომარაგება მნიშვნელოვნად შემცირებულია, ტერფი ცივია, ნერვულ უჯრედებსაც საკვები არ მიეწოდება და ამიტომ ფეხი მგრძნობელობას კარგავს.

> **„ძველ საქართველოში ბებიაქალები ახლად დაბადებულ ჩვილს, განსაკუთრებით ბიჭებს, ხელ-ფეხზე წყალგარეულ შავ ღვინოს გადაავლებდნენ — ხელ-ფეხის სიცივე არ ეცოდინებაო!“**



**— რატომ ხდება, რომ ძლიერი სტრესისა და შიშის დროს ადამიანს ხელ-ფეხი უცივდება?**

— შიშის დროს გამოიყოფა **ადრენალინი და კორტიზოლი.** ორივე ჰორმონი სისხლძარღვების შევიწროებას იწვევს, რაც ხელ-ფეხის სიცივის მიზეზი ხდება. შემცივნებას ხელ-ფეხში ხშირად უჩივიან ნარკომანებიც, რადგან ნარკოტიკები აზიანებს სისხლძარღვებს, რაც იმის მიზეზი ხდება, რომ ნარკომანებს გადაადგილება უჭირთ და ხშირად ყავარჯნით დადიან. ხელ-ფეხის სიცივე შესაძლოა, გამოიწვიოს როგორც მაღალმა, ისე დაბალმა წნევამ. მაღალი წნევის დროს სახეზე გვაქვს სისხლძარღვების სპაზმი, რა დროსაც ხელ-ფეხი ცივდება, ხოლო დაბალი წნევის დროს სისხლი დუნედ მოძრაობს, კიდურებს ვერ ათბობს და, შესაბამისად, ხელ-ფეხიც ცივია. ხელ-ფეხის სიცივე შესაძლოა, გამოიწვიოს **მაღალმა ქოლესტერინმა,** რომელიც სისხლძარღვებში ლაგდება და მიკროთრომბებს წარმოშობს.



**— ჩრდილოეთის ხალხები, განსაკუთრებით ჩუქჩები და ესკიმოსები ხელ-ფეხის სიცივეს როგორ და რით ებრძვიან?**

— ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, მათი კვების რაციონია, რომლის 70 პროცენტზე მეტს ვეშაპის ან სელაპის ქონი შეადგენს. სწორედ ეს უწყინარი ცხიმია მათი ენერგიისა და სითბოს წყარო! საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ ქალები უფრო მცივანები არიან, ვიდრე მამაკაცები. ამის მიზეზი ის არის, რომ ქალებს კუნთოვანი მასაც მცირე აქვთ და გარდა ამისა, მამაკაცებთან შედარებით მათი კანქვეშა ცხიმიც ბევრად თხელია. სხვათაშორის, მამაკაცებთან შედარებით ქალების დღეგრძელობის მიზეზი სწორედ ის არის, რომ მათი კუნთოვანი მასა მცირეა... მოგეხსენებათ, კუნთებს მეტი ენერგია და სითბო სჭირდება. ამის გამო მამაკაცის ორგანიზმი ბევრად მეტ რესურსს ხარჯავს, ვიდრე ქალის. სწორედ ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ მამაკაცები ქალებთან შედარებით უფრო სწრაფად ბერდებიან!

**— როცა ხელ-ფეხი გაყინული აქვთ, ზამთარში არაყს გადაჰკრავენ ხოლმე! არაყი მართლა გვათბობს?**

— ეს მითია! მართალია, სპირტი სისხლძარღვებს აფართოებს, მაგრამ მალე ორგანიზმის სითბური დაცვა ითიშება და სისხლი კიდურების გავლის შემდეგ სწრაფად ცივდება და ამგვარად ბრუნდება შინაგან ორგანოებში. გახსოვდეთ — ადამიანები, რომლებიც ტყეში არყით ცდილობენ გათბობას, როგორც წესი, იყინებიან! დიახ, ზამთარში არაყი არ გვათბობს!

> **„გვახსოვდეს: ზამთარში არაყი არ გვათბობს!“**



**— რატომ იწვევს ფეხის სიცივე ხშირ შარდვას?**

— ფეხის სიცივის დროს სისხლი შინაგანი ორგანოებისკენ გადაინაცვლებს, აწვება თირკმელს, წნევა მატულობს და იმისთვის, რათა დარეგულირდეს, მატულობს შარდის გამოყოფა. აი, ეს არის სიცივის დროს ხშირი შარდვის მიზეზი!

**— რით შეიძლება ვუმკურნალოთ ხელ-ფეხის შემცივნებას?**

— უპირველეს ყოვლისა, დავადგინოთ მიზეზი და მივმართოთ შესაბამის სპეციალისტს. ძველ საქართველოში ხელ-ფეხის შემცივნებას ასეთი რეცეპტით მკურნალობდნენ: 2 სუფრის კოვზ მშრალ მდოგვს დაუმატებდნენ 2 ცალ დაფქულ წიწაკას, 1 სუფრის კოვზ მარილს და ამ ნარევს დაასხამდნენ 200 გრამ არაყს. მიღებულ მასას 10 დღის განმავლობაში ბნელ ოთახში გააჩერებდნენ და დღეში სამჯერ შეანჯღრევდნენ. 10 დღის შემდეგ ამ ნაყენით დილა-საღამოს ხელ-ფეხს დაიზელდნენ... ამ მეთოდის მეცნიერული დასაბუთება ის არის, რომ წიწაკაში შედის მწარე ნივთიერება **კაპსაიცინი,** რომელსაც სისხლძარღვთა გამაფართოებელი და გამახურებელი მოქმედება აქვს. ძველ საქართველოში ბებიაქალები ახლად დაბადებულ ჩვილს, განსაკუთრებით ბიჭებს, ხელ-ფეხზე წყალგარეულ შავ ღვინოს გადაავლებდნენ — ხელ-ფეხის სიცივე არ ეცოდინებაო! ხელ-ფეხის სიცივის დროს ძალზე ეფექტურია ჰომეოპათიური პრეპარატი **„გინკო ბილობა“,** რომელსაც მე, როგორც პრაქტიკოსი ექიმი, **დიაბეტური ანგიოპათიის** დროსაც კი წარმატებით ვიყენებ! საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ „გინკო ბილობა“ ძალზე კარგია მეხსიერებისთვის, რადგან მკვეთრად აუმჯობესებს თავის ტვინში სისხლის მიმოქცევას!

> **„ქალები უფრო მცივანები არიან, ვიდრე მამაკაცები!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



# მიხეილ ცაგარელი: მთვარე და ჩვენი კულინარიული შესაძლებლობანი თუ პრიორიტეტები

*— პირად ჰოროსკოპში მთვარის მშვილდოსნის ზოდიაქოში განლაგებისას ადამიანი საჭმლის მომზადების პროცესში როგორ შთაბეჭდილებას უქმნის და რით აღაფრთოვანებს გარშემო მყოფებს? მთვარის თხის რქის ნიშანში განლაგების შემთხვევაში რა არის ადამიანისთვის მნიშვნელოვანი? კვების საკითხებს რა კუთხით განიხილავს, რისი შეცნობა სურს, ზუსტად რას საზღვრავს და რისი მოგვარება ძალუძს? ვინ დაამგემოვნებს უშიშრად ახალ და უცნობ კერძებს და ვინ არის მუდამ მზად კულინარიული ექსპერიმენტებისთვის ანდა რა სისუსტე გააჩნია და რას ვერ იხილავთ მის სამზარეულოში? პირად ჰოროსკოპში მთვარის რომელ ზოდიაქოში განლაგებისას არის ადამიანი ერთდროულად გურმანიც და კარგი მზარეულიც და შეუძლია ხუთ წუთში მეტად გემრიელი კერძის მომზადება? რას ცდილობს ანდა ზოგჯერ რისთვის იყენებს და რასთან ასოცირდება მის მიერ მომზადებული კერძები? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი პირად ჰოროსკოპში მთვარის ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში განლაგების მიხედვით ადამიანის კულინარიული შესაძლებლობებისა და თავისებურებების შესახებ.**

— 9. **პირად ჰოროსკოპში მთვარის მშვილდოსნის ზოდიაქოში განლაგებისას ადამიანს ამა თუ იმ სახის საკვების მიმართ არანაირი პრიორიტეტი არ გააჩნია, თუმცა, შეუძლია, მოულოდნელად გაგაოცოთ.** ის ადვილად სწავლობს კერძების მომზადებას. ამასთან, ერთნაირად კარგად ამზადებს როგორც ნაციონალურ, ადგილობრივ, ისე ეგზოტიკურ კერძებს, მჟავეულს, სოუსებს თუ ნამცხვრებს. ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებათ, თითქოს ეს ადამიანები ერთად რამდენიმე ტექნიკას ფლობენ. პროდუქტებით ადვილად მანიპულირებენ და იმპროვიზირებენ, მათ სტუმრის მიღება უყვართ და ხშირად მათთან ერთად ამზადებენ საჭმელს, რაც სახალისო და დასამახსოვრებელი პროცესია. უარს არ ამბობენ ასევე სხვის სახლში საჭმლის მომზადებაზეც და მასპინძლის სხვადასხვა გასტრონომიული სურვილის დაკმაყოფილებაზე, რაც ასევე გარშემო მყოფთა აღფრთოვანებას იწვევს.

10. **იმ ადამიანებისათვის კი, რომელთა პირად ჰოროსკოპში მთვარე თხის რქის ზოდიაქოშია განლაგებული, მეტად მნიშვნელოვანია საკვები პროდუქტების ხარისხი და შემადგენლობა.** ისინი კვების საკითხებს ხშირად მეცნიერული თვალსაზრისით განიხილავენ. იმპროვიზირება არ უყვართ, საჭმელს ზედმიწევნით რეცეპტის მიხედვით ამზადებენ და ცდილობენ, უახლესი სამზარეულო ტექნიკა გამოიყენონ. მათთვის მნიშვნელოვანია, იმ პროცესთა არსი ესმოდეთ, რასაც ადგილი აქვს პროდუქტების შერევისას და დამუშავებისას. ისინი კვების რაციონს წინასწარ გეგმავენ, პროდუქტების სიას ადგენენ და ხშირად მარაგსაც იკეთებენ. ნიშანდობლივია, რომ წვეულებების დროს ზუსტად იციან, რა რაოდენობის პროდუქტი უნდა შეიძინონ, რათა სამყოფიც იყოს და ზედმეტიც არ დარჩეს. ამგვარი ადამიანისთვის პრიორიტეტულია ტრადიციული საკვები და სუფრასთან მოქცევის ეტიკეტი. მას კარგად ესმის საკვებისა და სასმლის შეხამების წესები, იგი სუფრის წევრებთან ადვილად ურთიერთობს, საუბრობს სხვადასხვა საკითხზე და ძალუძს, ცოტა მკვახე ფორმით, თუმცა, საკმაოდ ელეგანტურად მოაგვაროს ზოგიერთი პრობლემა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკვების მომზადება მისთვის არ არის დამამძიმებელი ან შემაწუხებელი, რადგან **თვლის, რომ ოჯახის წევრთა ჯანმრთელობისთვის და ოჯახის სიმყარისთვის აუცილებელია, სახლში მუდამ გემრიელად მომზადებული საჭმელი იყოს.**

11. **პირად ჰოროსკოპში მერწყულის ზოდიაქოში განლაგებული მთვარის შემთხვევაში, ადამიანი უშიშრად აგემოვნებს ახალ უცნობ კერძებს და კულინარიული ექსპერიმენტებისთვის მუდამ მზად არის.** მისი ეს მიდრეკილება უფრო მეტად ძლიერდება, როცა რაიმე სიახლის სურვილი უჩნდება, თუმცა, როცა ამგვარი მონაცემების ადამიანი დაკავებულია სხვა საინტერესო საქმით, ანდა, უბრალოდ, თავს ბედნიერად გრძნობს, მაშინ მზად არის, ეგზოტიკური მიდრეკილებანი დათმოს და რასაც შეჩვეულია და რაც მოსწონს, ის საჭმელი მიირთვას. ნიშანდობლივია ისიც, რომ მისი საყვარელი კერძების ჩამონათვალი ეგზოტიკური სულაც არ არის, მაგრამ ორიგინალური ანდა უჩვეულოა, რადგან ამგვარი ადამიანი საჭმლის მომზადებისას რამეს დაუმატებს ან დააკლებს, რაც კლასიკურ კერძსაც, გარკვეულწილად, გემოს შეუცვლის. ამიტომ მისი ექსპერიმენტი ხან წარმატებულია, ხან კი არა, თუმცა, ამას არ განიცდის, მითუფრო, რომ კარგი კერძის დაგემოვნება რესტორანსა და კაფეებშიც არის შესაძლებელი. შეიძლება ითქვას, რომ ის საჭმლისგან დოგმატურ კულტს არ ქმნის და შეუძლია, ნახევარფაბრიკატები და ხილი შეიძინოს, პაკეტებში გადაანაწილოს და მაცივარში გაყინოს. ასევე შეუძლია, ერთი შეხედვით შეუთავსებელი პროდუქტები თვალის ზომით ერთმანეთს შეუროოს და ძალიან გემრიელი და მიმზიდველი კერძები შექმნას. ამგვარ ადამიანებს ყველაფერი გამარტივებული აქვთ. თუმცა, ამავდროულად ერთი სისუსტეც გააჩნიათ — უყვართ სამზარეულოს თანამედროვე ხარისხიანი ტექნიკური ხელსაწყოები, ამიტომ ბლაგვ დანას, გაფუჭებულ ბლენდერს ან ემალამოტეხილ ქვაბს მის სამზარეულოში ვერ იხილავთ.

12. **პირად ჰოროსკოპში — მთვარის თევზების ზოდიაქოში განლაგების შემთხვევაში, ადამიანი ერთდროულად გურმანიც არის და კარგი მზარეულიც. იგი ძალიან გემრიელ კერძებს ამზადებს. მრავალფეროვან სუნელს იყენებს, ერთმანეთს სხვადასხვა პროდუქტს შეურევს და ხუთ წუთში ძალუძს მეტად გემრიელი კერძის მომზადება.** ამასთან ერთად, შესაძლოა, მან მთელი სული და გული ჩააქსოვოს, ოთხი საათი მოანდომოს რაიმე ეგზოტიკური კერძის მომზადებას, რომელსაც მისი ოჯახის წევრები და სტუმრები უმალ შესანსლავენ. ამგვარი ადამიანი ხშირად საჭმლის მომზადებისას უსმენს მუსიკას. ცდილობს, საკვები ჯანსაღი, დაბალანსებული და ოჯახის ყველა წევრისათვის მისაღები იყოს. თუმცა, ყველაზე გემრიელად ნაკლებ სასარგებლო, ცხიმიან, ცხარე ან ტკბილ საჭმელებს ამზადებს, რომელსაც დიეტოლოგები კრძალავენ, მაგრამ რომელიც რომანტიკასთან, კომფორტთან, ფუფუნებასა და უდარდელობასთან ასოცირდება. **ზოგჯერ გემრიელ საჭმელს სხვა ადამიანთა მოსახიბლად იყენებენ და ჭეშმარიტად მათ მიერ მომზადებულ საკვებზე ძნელია უარის თქმა.** უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცუდი განწყობისას, აღზნებულ ან გაღიზიანებულ მდგომარეობაში საჭმლის მომზადებას ერიდებიან. ზოგიერთ მათგანს კი კულინარიული ექსპერიმენტის შემდეგ ჭურჭლის რეცხვაც ეზარებათ. თუმცა, ეს წვრილმანია. ამგვარად, **პირად ჰოროსკოპში მთვარის ამა თუ იმ ზოდიაქოში განლაგება სხვადასხვა ჩვევასა და უნარს აყალიბებს.** შესაბამისად, თუ ადამიანმა, რომლის **პირად ჰოროსკოპში მთვარე კუროს, კირჩხიბის, ქალწულის ან თევზების ზოდიაქოშია განლაგებული, სადილზე ან ყავაზე მიგიპატიჟათ, აუცილებლად დათანხმდით,** რადგან საჭმელიც და სიტუაციაც მეტად სასიამოვნო აღმოჩნდება. **სასწორისა და მერწყულის ზოდიაქოში მთვარის განლაგების** შემთხვევაში, მასპინძელი დაუვიწყარი ყვავილების ჩაის, ორიგინალურ ცხელ კერძს ან დესერტს შემოგთავაზებთ, ხოლო, თუ დააპირებთ მისვლას ადამიანთან, რომლის **ჰოროსკოპშიც მთვარე ტყუპის, ლომის ან ღრიანკალის ზოდიაქოშია** განლაგებული, წინასწარ დაურეკეთ და შეეკითხეთ, რა წაუღოთ, რადგან, შესაძლოა, რაღაც მაინც აკლდეს.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 20-26 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ეს მშვიდად და დროდადრო ფარულად მოქმედების პერიოდია, რომლის დროსაც სასურველია, საკუთარი მიზნები და იდეები არ გათქვათ. მიღებულ ინფორმაციას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ახალი პროექტის დასაწყებად და ჩანაფიქრის განსახორციელებლად მოემზადეთ. ეცადეთ, ფინანსები წესრიგში იქონიოთ და ფული ტყუილუბრალოდ არ გაფლანგოთ. თავისუფალი დრო კი ჯანმრთელობის გაკაჟებისა და დახარჯული ენერგიის აღსადგენად გამოიყენეთ.

**კურო** (21.04-20.05)
კარგი დროა კარიერული აღმასვლისთვის და შესაძლებლობებისა და ნიჭის გამოსავლენად. ლიდერული პოზიციის დაკავებისას კოლეგებთან სირთულეები გაჩნდება, მაგრამ გარშემო მყოფნი პროფესიულ ზრდაში დაგეხმარებიან. სახლს, ოჯახსა და ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. შორეულ ქვეყანაში ან მივლინებაში გამგზავრება დადებითად ჩაივლის და სასურველ შედეგს მოიტანს.

**ტყუპი** (21.05-22.06)
სამსახურში გაუგებრობას იოლად მოაგვარებთ. ოჯახში ცვლილებები კი ჯობს, გადადოთ, რადგან თქვენი ენერგოპოტენციალი დაბალია და შესაძლოა, ჯანმრთელობა გაიუარესოთ. ბავშვებთან ურთიერთობა სტიმულს მოგცემთ პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე ფიქრისთვის. მოგზაურობა და შეხვედრები შესაძლოა, პრობლემებს დაუკავშირდეს, მაგრამ მთლიანობაში სასურველ შედეგს მოიტანს.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
კარგი განათლება და პროფესიონალიზმი ახალი და შემოსავლიანი სამსახურის მიღების შანსს გაზრდის. გადაადგილებების, კონტაქტების, შეხვედრა-მოლაპარაკებების რაოდენობა გაიზრდება. საქმეთა სიუხვე დროს არ დაგიტოვებთ გართობისთვის. მეუღლე ან შეყვარებული ყოველმხრივ გვერდით დაგიდგებათ და დაგეხმარებათ. შორეული მოგზაურობა, საცხოვრებელი ადგილის ან ინტერიერის შეცვლა ბევრ სიახლეს შემოიტანს თქვენს ცხოვრებაში.

**ლომი** (23.07-23.08)
ფიზიკურ-ემოციური მდგომარეობა შესუსტდება, თუმცა, პროფესიულ საქმიანობასა და მიზნის მიღწევას ეს ხელს არ შეუშლის. შესაძლოა, თქვენი გავლენის სფერო გაიზარდოს ან სოციალური სტატუსი გაუმჯობესდეს. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას კი ფარული საქმით ან დამატებითი სამუშაოთი შეძლებთ. ოჯახის წევრები ყოველმხრივ გვერდით დაგიდგებიან, მაგრამ ნუ გადაიღლებით.

**ქალწული** (24.08-23.09)
საქმიან ურთიერთობაში ხალისსა და ორიგინალურობას შემოიტანთ, რაც ბიზნესში წარმატებასა და პოპულარობას მოგიტანთ. მიღებული ინფორმაცია შემოწმების გარეშე არ გამოიყენოთ და საეჭვო კავშირებსაც მოერიდეთ, რათა არ მოტყუვდეთ. ეს მშვენიერი პერიოდია პირად ცხოვრებაში წარმატებისთვის, სიყვარულის ახსნისთვის, თუმცა, სერიოზულ გადაწყვეტილებას ჯერ ნუ მიიღებთ. ხანმოკლე მოგზაურობა კი თქვენს პერსპექტივაზე სასიკეთოდ აისახება.

## 20-26 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
სოციალურ-ეკონომიკური წინსვლისათვის მეტი აქტიურობა გმართებთ. საქმეში დახმარებას ახლობლები, გავლენიანი პირნი ან თანამზრახველნი გაგიწევენ. მეგობრული ურთიერთობა შესაძლოა, დიდ სიყვარულში გადაიზარდოს, რომანტიკული კავშირი უფრო მეტად ღია და სიამოვნების მომტანი იქნება. შესაძლოა, შვილებმა მეტი დრო მოითხოვონ. მოგზაურობა სასიკეთოდ ჩაივლის და შედეგსაც მოიტანს.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
რომანტიკული და ჰარმონიული პერიოდი გელით. ენერგიითა და შემოქმედებითი იდეებით აღსავსე იქნებით. კარგი დროა სასიყვარულო ურთიერთობისთვის, გართობისა და მხიარული დროსტარებისთვისაც. ახალი საქმე მოგებას მოიტანს. მოგვიანებით საინტერესო ადამიანებთან კონტაქტები გაიზრდება. ოჯახის წევრებთან, შეყვარებულთან, ბავშვებთან ურთიერთობა მეტ სიამოვნებას მოგანიჭებთ. მეუღლეს კი უმჯობესია, წვრილმანთა გამო არ შეედავოთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
სერიოზულ საქმეთა განხილვაში ერუდიციასა და კომპეტენტურობას გამოავლენთ და ამით ავტორიტეტს აიმაღლებთ. შესაძლოა, ახალი საქმე შემოგთავაზონ. ინტრიგებს მოერიდეთ და არცერთ საქმეში არ გარისკოთ. პირადი და სასიყვარულო შეხვედრებისა და გადაადგილებების რაოდენობა გაიზრდება. ჯანმრთელობა სტაბილური გექნებათ. დრო ხელს შეუწყობს გეგმურ კვლევასა და მკურნალობის ჩატარებას.

**თხის რქა** (22.12-19.01)
შემოქმედებითი პოტენციალი მოგემატებათ. ამ პერიოდში ადვილი შესაძლებელია, რაიმე საიდუმლო ამოხსნათ ან ჩახლართულ სიტუაციაში გაერკვეთ. ძალიან რომანტიკული იქნებით, რაც გაზრდის სასიყვარულო პარტნიორის გაცნობისა და ახალი ურთიერთობის დაწყების ალბათობას. მოგზაურობისას ბევრ საინტერესო ინფორმაციას მიიღებთ და შთაბეჭდილებებსაც დააგროვებთ. ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად კი მიზანშეწონილია ფიზიკური ვარჯიში და ბუნების წიაღში სეირნობა.

**მერწყული** (20.01-18.02)
ახლობელთა შემოთავაზებას ყურადღება მიაქციეთ და არსებული შესაძლებლობები გამოიყენეთ, რათა მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. კარგი პერიოდია სამსახურის შესაცვლელად, დამატებითი შემოსავლის მოსაძიებლად ან სახლის კეთილმოსაწყობად. გადაწყვეტილების მიღებასა და მიზნის მიღწევაში გამოცდილი ადამიანები დაგეხმარებიან. მოგზაურობისას დამყარებული ნაცნობობა შესაძლოა, ხანგრძლივ ახლო ურთიერთობაში გადაიზარდოს.

**თევზები** (19.02-20.03)
ენერგია იმატებს, ხოლო შემოქმედებითობის სურვილი და იდეების განხორციელების მოთხოვნილება ბევრ ადამიანთან დაგაკავშირებთ. რაც უფრო მეტი ადამიანი გაგიცნობთ, მითუფრო მეტად წარმატებულად წარიმართება თქვენი საქმეები და გაუმჯობესდება სოციალური მდგომარეობა. კულტურული ღონისძიებები და ბავშვებთან ურთიერთობა უფრო სახალისო და დასამახსოვრებელი იქნება. ამ პერიოდში მოგზაურობაც სასიამოვნო მოგონებებს დაგიტოვებთ.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**20, 22, 24 და 26 თებერვალი**

**5 თებერვალი – სავსემთვარეობა, პიკი – 22.31 საათზე;**
**20 თებერვალი – ახალმთვარეობა, პიკი – 11.09 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 20 თებერვალი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.50 საათზე, ჩადის 18.40 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (08.57) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 08.15 საათზე, ჩადის 18.49 საათზე (მთვარის 30-ე დღე იწყება 09.32 საათზე. **ახალმთვარეობაა, პიკი** — 11.09 საათზე. ამ დროს იწყება მთვარის I დღე და I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 06.00 საათიდან 08.56 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: ახალმთვარეობის** მძიმე კოსმოსური ენერგიების დღეა. მაღალია დეპრესია-აგრესიის, ცუდი აზრების მოზღვავების, კონფლიქტების, ცდუნებების, შეცდომების, ტრავმების, ავარიების ალბათობა. არ არის სასურველი ალკოჰოლური სასმლის, ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმიანობა, ზღვარგადასული თანაგრძნობის გამოვლენა, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, სერიოზული გადაწყვეტილების მიღება, ახალი საქმის დაწყება, ფულის სესხება-გასესხება. სულიერი სიმშვიდე დაიცავით. სასიკეთოა მასაჟი და არომათერაპია. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ქველმოქმედებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ტერფები, ნერვული სისტემა, ლიმფური სისტემა, თვალები. **ქვები:** გიშერი, ალექსანდრიტი, მარგალიტი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 21 თებერვალი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.49 საათზე, ჩადის 18.41 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 08.44 საათზე, ჩადის 20.08 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 09.42 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს სიყვარულისა და ხელოვნების მფარველი **პლანეტა ვენერა** გადაინაცვლებს **ვერძის** ზოდიაქოში (17 მარტი), რაც ურთიერთობისას განაპირობებს აქტიურობას, კომუნიკაბელურობას, მებრძოლ სულისკვეთებას და ასევე სულსწრაფობას, ეგოიზმს, დიქტატორულ ტენდენციებს, აგრესიულობას. კარგი დღეა გენერალური დასუფთავებისთვის, უსარგებლო ნივთების მოსაშორებლად, ქორწინებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, მგზავრობისთვის, შემოქმედებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის. არ არის სასურველი ალკოჰოლური სასმელების, ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, ანალიზის ჩაბარება, ექოსკოპია, ახალი საქმის დაწყება, სესხის აღება ან გაცემა, თავის დაბანა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემა, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 22 თებერვალი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.47 საათზე, ჩადის 18.42 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (09.16) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 09.09 საათზე, ჩადის 21.24 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 09.50 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.05 საათიდან 09.14 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ზედმეტი სიამაყე დაიოკეთ. მოიმატებს აგრესიულობა, კამათისადმი მიდრეკილება. არ არის სასურველი ზედმეტი ლაპარაკი, სულსწრაფობა, ალკოჰოლის მიღება, დიქტატორული თვისებების გამოვლენა, წესების დარღვევა, სტომატოლოგიური პროცედურები, ქორწინება, ხელშეკრულების დადება, სულიერი და ფიზიკური გადაღლა. კარგი დღეა ყელის, ენდოკრინული სისტემის, თირკმლების, შარდის ბუშტის მკურნალობისთვის, მგზავრობისთვის, ხელმძღვანელთან ურთიერთობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, სპორტული ინვენტარის შესაძენად, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

## 23 თებერვალი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.46 საათზე, ჩადის 18.44 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 09.33 საათზე, ჩადის 22.37 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 09.58 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მოერიდეთ სულიერ და ფიზიკურ გადაღლას, სულსწრაფობას, ეჭვიანობას, სიჯიუტეს, ეგოიზმს. ურთიერთობისას იმატებს გონების გაფანტვა, კამათისადმი მიდრეკილება. კარგი დღეა მგზავრობისთვის, ექსკურსიებისთვის, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, მჭრელი საგნების, საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, სპორტული ინვენტარის შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, წესების დარღვევა, პლასტიკური ოპერაციები, სტომატოლოგიური პროცედურები, ალკოჰოლური სასმლის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, ძოწი, წითელი იასპი, ტოპაზი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 24 თებერვალი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში, ამოდის 07.44 საათზე, ჩადის 18.45 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.36) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 09.56 საათზე, ჩადის 23.49 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 10.06 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 11.22 საათიდან 12.36 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** გაუგებარ სიტუაციებსა და საკითხებში გარკვევის დღეა. მოერიდეთ განკითხვას, გაკიცხვას, გარისკვას, სულსწრაფობას, ყვირილს. სასიკეთოა აბაზანა, საუნა, კოსმეტიკური პროცედურების ჩატარება. ორგანიზმს გააძლიერებს კოსმოსური ენერგიები. ურთიერთობა მიიღებს მშვიდ, სტაბილურ იერსახეს. კარგი დღეა ქორწინებისთვის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ავეჯის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ცხოველების შესაძენად, შემოქმედებისთვის, ვაჭრობისთვის. არ არის სასურველი ორპირ ქარში ყოფნა, კისრის მკვეთრი მოძრაობა, აგრესიის გამოვლენა. საფულე აკონტროლეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, მარგალიტი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 25 თებერვალი, შაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.43 საათზე, ჩადის 18.46 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 10.21 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 10.16 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მოერიდეთ დახურულ სივრცეებს და მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე. შესაძლოა, წინა დღის სურვილი აისრულოთ. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, მშენებლობისთვის, ვაჭრობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, უძრავი ქონების, ავეჯის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი კისრის მკვეთრი მოძრაობა, ცივი და გაზიანი სასმლის მიღება, სარისკო ქმედება, სულსწრაფობა, სიჯიუტე. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, მარჯანი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 26 თებერვალი, კვირა

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.41 საათზე, ჩადის 18.47 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (20.04) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 10.50 საათზე, ჩადის 27 თებერვალს 00.59 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 10.29 საათზე, I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 18.42 საათიდან 20.04 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს იკრძალება ბილწსიტყვაობა. მოერიდეთ ვულგარულ საქციელსა და გამოთქმებს, ტყუილს. საქმიანობისას მეტი ყურადღება გმართებთ, ნუ გადაიტვირთებით. ურთიერთობისას მოსალოდნელია ხასიათცვალებადობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, სამშენებლო მასალების, ტექნიკის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, მგზავრობისთვის, შემოქმედებისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედებები, სულსწრაფი გადაწყვეტილებების მიღება, კისრის მკვეთრი მოძრაობა, საქმის გარჩევა, განკითხვა, გაკიცხვა, ძველ საქმეებზე დროს ტყუილუბრალოდ ნუ დახარჯავთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი, ფილტვები, მხრები, ხელები. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, ამეთვისტო, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

# საეკლესიო კალენდარი


25 თებერვალი - ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული

✝ 20 თებერვალი. ორშაბათი. **კეთილმსახურისა მეფისა სოლომონ II-ისა, სამშობლოსთვის თავდადებულისა;** ღირსისა პართენი ლამფსაკიელი ეპისკოპოსისა; ღირსისა ლუკა ელადელისა; აპრიონოს კვიპრელი ეპისკოპოსისა; მოწამისა თეოპემპტოსი და მისთანათა; 6-თა მოწამეთა ფრიგიელთა; ღირსისა პეტრესი, მინოვატელისა; მოწამისა აღათანგელოზისა დამასკოში; მოწამისა ავდატესისა ფრიგიაში; ღირსისა ლუკა სტირიოსელისა; ახალმოწამისა გიორგი კრეტელისა.

✝ 21 თებერვალი. სამშაბათი. დიდმოწამისა თეოდორე სტრატილატისა; წინასწარმეტყველისა ზაქარია ნამგლისმხილველისა, 12-თაგანისა; მოწამეთა: მართასი, მარიამისა და ძმისა მათისა ღირსმოწამისა ლიკარიონ ყრმისა; საბა II-ისა, სერბელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსისა მაკარისა პაფოსის ეპისკოპოსისა; წმიდათა ფილადელფოსი და პოლიკარპოსი; აგათანგელოზისა, დამასკელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა ნიკიფორესი და სტეფანესი; მოწამისა პერგეტესი.

✝ 22 თებერვალი. ოთხშაბათი. მოწამისა ნიკიფორესი, ასურეთის ანტიოქიიდან; მღვდელმოწამეთა: მარკელესი — სიცილიელი ეპისკოპოსისა, ფილაგრესი — კვიპრელი ეპისკოპოსისა და პანკრატისა — ტავრომენიელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა პეტრე დამასკელისა; ღირსისა რომანოზ კილიკიელისა; მოწამეთა ამონისა და ალექსანდრესი კვიპროსიდან. **ნაწილთა აღმოყვანება ღირსისა გაბრიელ სალოსისა, აღმსარებლისა (ურგიაძე).**

✝ 23 თებერვალი. ხუთშაბათი. **ღირსი შიო დიდისა, მღვიმელისა, სასწაულმოქმედისა, შიოობა.** ღირსისა იოვანე ჭიმჭიმელისა, ფილოსოფოსისა; მღვდელმოწამისა ხარლამპი სასწაულთმოქმედისა და მისთანა მოწამეთა: პორფირისა, ბაპტოსისა და სამთა დედათა; ქალწულმოწამეთა: ენათასი, ვალენტინასი და პავლასი; ღირსისა ზენონ მალემსრბოლისა, კესარია-კაპადოკიელისა; ანასტასი იერუსალიმელი პატრიარქისა.

✝ 24 თებერვალი. პარასკევი. მღვდელმოწამისა ვლასისა, სებასტიელი მთავარეპისკოპოსისა; მართლისა თეოდორასი, საბერძნეთის დედოფლისა, წმიდათა ხატთა თაყვანისცემის აღმდგენელისა; პოვნა პატიოსანთა ნაწილთა მართლისა ზაქარიასი, იოანე ნათლისმცემლის მამისა. **ღირსი ნინოსი, სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის განმაახლებლისა.**

✝ 25 თებერვალი. შაბათი. **ყოველთა ღირსთა მამათა და დედათა, ღვაწლით გაბრწყინვებულთა; ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული;** ღირსმოწამეთა: პროხორე ქართველისა, ლუკა იერუსალიმელისა, მოწამისა ნიკოლოზ დვალისა და იერუსალიმის ქართველთა მონასტრებში ცხოვრებულთა ყოველთა ქართველთა მოწამეთა და ღირსთა მამათა.

✝ 26 თებერვალი. კვირა. **ყველიერის, მიტევების კვირიაკე. ადამის განდევნის ხსენება.** ღირსისა მარტინიანე პალესტინელისა; ღირსისა ევლოგისა, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსისა სტეფანესი, ბეროპაში სვიმეონისა, სერბეთის მეფისა, მირონმდინარისა; მოციქულთა და მოწამეთა: აკვილასი და პრისკილასი; წმიდათა მოწამეთა მამისა და ძისა, ჯვარცმით აღსრულებულთა.



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
GIDMEDI
GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

თამარისი Tamarisi
დაინახე:


ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38
571 19 93 93 598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics


მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


## 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. მანტუ; 5. პასტორი; 12. რამლი; 13. როკფორი; 14. სამოა; 15. ჯექსონი; 16. ნესვი; 17. სალიერი; 18. ეროტი; 21. ნერგები; 23. ჟამი; 25. ლი; 26. ვიზიტი; 29. იზმირი; 30. ანგარი; 31. ვალაბი; 32. დონორი; 33. დურუჯი; 34. კრახი; 35. ლარსენი; 36. ლუესი; 37. ფელინი; 40. მაიტა; 41. კარუზო; 42. სტიქია; 46. დემარში; 47. ნაია; 49. ვალიკო; 52. ბაიერნი; 53. ატაშატი; 57. მეი; 58. იტალია; 59. ლატავრა; 60. კლავესინი; 61. რაი; 62. აგნი; 63. ნუნცი; 64. კაროტინი; 65. ონილი.

შვეულად: 1. მასნე; 2. ნამყო; 3. ურანი; 4. ემისია; 5. პიჯინი; 6. საქარინი; 7. ოროველა; 8. ირისი; 9. სკალპი; 10. გოგენი; 11. ღიმილი; 19. რეზიუმე; 20. ტაიფუნი; 22. ბირდაბირი; 23. ჟივილი; 24. მალარია; 27. ზინგერი; 28. ტურნირი; 30. აბრეშუმი; 32. დილას; 34. კიმონო; 37. ფიდია; 38. ლამპა; 39. ნორმა; 41. კივი; 43. ტრისტანი; 44. ქარავანი; 45. აგიტაცია; 48. აბილილი; 50. ლატი; 51. კოლეგა; 54. ტალღა; 55. შევრო; 56. ტესტი; 57. მარიო; 58. ინდი.

პიანოლაბადახშირიკულინარიტანადიმიომარინიტი
კატალოგიკაბალავარიანტიკვატაეპიურანიკაპიკი

| მოწყობილობა – ავტომატურად უკრავს ფორტეპიანოს | წითელი ფერის ძვირფასი ქვა | გამოხარატებული ხის სვეტი მოაჯირზე | აეროპორტი ტოკიოში | საზეიმო წვეულება | ზღვის დიდი კიბო | სინათლის სიკაშკაშის ერთეული |
|---|---|---|---|---|---|---|

| ხმადაბლა (მუს.) | საწვიმარი | „იშვიათის“ ანტონიმი | საჭმლის დამზადების ოსტატი | ახოვანი, წარმოსადეგი ადამიანი | კეთილ-თვისებიანი სიმსივნე | სურდო |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. კანის სიწჯი ტუბერკულოზზე; 5. პროტესტანტების მღვდელი; 12. სამკითხაო ქვიშა; 13. ფრანგული ცხვრის ყველი; 14. ე.წ. ზღვაოსანთა კუნძულები წყნარ ოკეანეში; 15. ამერიკელი მომღერალი მამაკაცი; 16. ბაღჩეული მცენარე; 17. იტალიელი კომპოზიტორი; 18. სიყვარულის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 21. ქართული ფილმი; 23. დრო, ხანი; 25. ჩინელი პოეტი ...ბო; 26. სტუმრობა; 29. ქალაქი თურქეთში; 30. თვითმფრინავების სადგომი და სარემონტო ნაგებობა; 31. პატარა ზომის კენგურუ; 32. სისხლის გამცემი; 33. ქათმების ოჯახის გარეული ფრინველი; 34. სრული მარცხი; 35. დანიელი მოჭადრაკე; 36. სიფილისი; 37. იტალიელი რეჟისორი; 40. ქართული ფილმი — „... ნასოსი“; 41. იტალიელი მომღერალი; 42. ბუნების მძლავრი მოვლენა; 46. ერთი სახელმწიფოს მიმართვა მეორისადმი; 47. ინდური კობრა; 49. კიკაბიძის როლი ფილმში „მიმინო“; 52. გერმანიის საფეხბურთო კლუბი; 53. ატაშეს საგამგებლო; 57. მევიოლინე ვანესა ...; 58. ევროპის სახელმწიფო; 59. ზ. ფალიაშვილის ოპერა; 60. ძველებური კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი — ფორტეპიანოს წინამორბედი; 61. ინდოელი მსახიობი აიშვარია ...; 62. ცეცხლის ინდური ღვთაება; 63. რომის პაპის წარმომადგენელი რომელიმე სახელმწიფოს მთავრობასთან; 64. პიგმენტი, რომელიც შედის სტაფილოში, კვერცხში; 65. NBA-ს კალათბურთელი.

შვეულად: 1. ფრანგი კომპოზიტორი; 2. წარსული დრო; 3. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 4. ქაღალდის ფულის ნიშნების გამოშვება; 5. გამარტივებული ინგლისური ენა; 6. შაქრის სუროგატი; 7. გუთნისდედისა და მეხრეების სიმღერა; 8. ზამბახი; 9. თავის კანი თმებიანად; 10. ფრანგი ფერმწერი; 11. უხმო სიცილი; 19. სტატიის, მოხსენების მოკლე შინაარსი, დასკვნა; 20. გამანადგურებელი ქარიშხალი; 22. განის ხერხი; 23. ჩიტების გუნდის ხმიანობა; 24. ციებ-ცხელება; 27. საკერავი მანქანის შემქმნელი; 28. რაინდთა საბრძოლო ასპარეზობა შუა საუკუნეებში; 30. ჭიის პარკიდან ამოხვეული ძაფი; 32. იგივეა, რაც დილით; 34. იაპონური ეროვნული სამოსი; 37. ძველი ბერძენი მოქანდაკე; 38. გასანათებელი ხელსაწყო; 39. ბელინის ოპერა; 41. ახალზელანდიური უფრთო ფრინველი; 43. იზოლდას სატრფო; 44. აქლემების მწკრივი; 45. აგიტატორის საქმიანობა; 48. ხვიარა დეკორატიული მცენარე; 50. ლატვიის ვალუტა; 51. ამხანაგი პროფესიის მიხედვით; 54. ზვირთი; 55. გარკვეული წესით გამოყვანილი თიკნის ტყავი; 56. გამოცდა, გამოკვლევა (ინგლ.); 57. იტალიელი მომღერალი ... დელ მონაკო; 58. მდინარე ინდოეთში.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| გარკვეული წესით შედგენილი საგნების სია | მონური დამოკიდებულება | რისამე ნაირსახეობა, სახეცვლილება | იხვი (კუთხ.) | ფიგურის პროექციების ბრტყელი ნახაზი | სახის ნაწილი | დასტური |
|---|---|---|---|---|---|---|

| შინაური ცხოველი | მეცნიერება აზროვნების ფორმების შესახებ | საძირკველი | ლათინური შრიფტი | ლექსის სტრიქონი | რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი | საბჭოური მანეთის მეასედი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

**ასავალ დასავალი**

2023 წლის 20 - 26 თებერვალი №9 (1473)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-ღასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-ღასავალი"

**მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი**

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

2 009882 637296

